

178  
1966/3



# სახვტოთა სამკოთელი

საქკოთვედოს კკ ტანკოლუკი კოთიკოვის კომოთეოლუკი

1966

5



№ 5

# საბჭოთა სამართალი

სექტემბერი—ოქტომბერი  
1966 წელი  
გამოცემის XIII

საქართველოს სსრ ემალენი სსსპკატლოს, პროკურატურისა და  
ქართვლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კონსილიის ორგანო  
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი

## ზინაარსი

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება . . . . .	3
ვ. ფარქოძე — საბჭოთა ფედერაციის საერთო ნიშნები და ძირითადი თავისებურებანი	4
ვ. ლორია — აღმინისტრაციული პროცესის ზოგიერთი საკითხის შესახებ . . . . .	13
ბ. ბახტაძე — მცირეწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საფუძველი	20
მ. კობახიძე — ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულებაში . . . . .	29

## დისკუსია, კოლემიკა, რეკლიკა

ვ. შანიძე — სხეულის მძიმე დაზიანების სწორი გავებისათვის . . . . .	35
ვ. კეკელია — ადვოკატის პროცესუალური მოვალეობის შესახებ . . . . .	44
ბ. ხარატიშვილი — ადვოკატის ავტორიტეტის საკითხისათვის . . . . .	49

## სოციალისტური ძვეყნების სამართალი

ბ. ხორვატი — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი სიახლე . . . . .	58
--	----

## რუსთაფელის დაბადების 800 წლისთავისათვის

ი. სურგულაძე — ვექილობის ინსტიტუტის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ . . . . .	68
---	----

## უწინავეთა კორტრებები

ჟ. ისაკაძე — შეუმჩნეველად ყოფნის სურვილი აქვს მულამ . . . . .	72
---	----

## ოთხრობა

გვებაძე — ნაბრალი . . . . .	76
ფორმატოვა . . . . .	83

10.128





## СОДЕРЖАНИЕ

Собрание актива партийной организации Грузии	3
<b>В. Паркосадзе</b> — Общие черты и основные особенности советской федерации	4
<b>В. Лориа</b> — О некоторых вопросах административного процесса	13
<b>Г. Бахталдзе</b> — Основание ответственности за вред, причиненный малолетним	20
<b>М. Комахидзе</b> — Изменения и дополнения в положении коллегии адвокатов Грузинской ССР	29

### ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

<b>В. Шанидзе</b> — К правильному пониманию вопроса тяжкого телесного повреждения	35
<b>В. Кекелиа</b> — О процессуальной обязанности адвоката	44
<b>Г. Харатишвили</b> — К вопросу об авторитете адвоката	49

### ПРАВО СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ СТРАН

<b>Т. Хорват</b> — Новое в судебной практике по уголовным делам Венгерской народной республики	58
--	----

### К 800-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ РУСТАВЕЛИ

<b>И. Сургуладзе</b> — Об институте адвоката в «Витязе в тигровой шкуре»	68
--	----

### ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

<b>Л. Исакадзе</b> — Желает быть всегда незаметной	72
--	----

### РАССКАЗ

<b>Ш. Гветадзе</b> — Трещина	76
Информация	88

#### სარედაქციო კოლეგია

შეკ. № 3854  
ტირაჟი 5200  
შე 11656

ა. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინჭკირველი,  
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,  
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 9-09.62.

გადაეცა წარმოებას 3 XI-66 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XI-66 წ. ან. წუობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

## საქართველოს აკადემიური ორგანიზაციის აქტივის ქიება

27 თქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრებამ განიხილა დამნაშავეობის მდგომარეობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი.

მოხსენება „დამნაშავეობის მდგომარეობა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ა. როდინოვმა

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. მ. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. დ. ვ. გომბინა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ლ. მ. უკლუბა, საქართველოს სსრ პროკურორი ამხ. პ. მ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. ინაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ამხ. ს. მ. ჯორბენაძე, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ამხ. მ. ა. შუმარდნაძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ამხ. ი. პ. რომანოვი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისიის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. თ. ი. მოსაშვილი, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. პაჩიშვილი, თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის მეთაურის მოადგილე ამხ. ა. შ. ჩიმბერაძე, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. ა. ჩირქაძე.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ვ. ი. ლაპუტინმა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ა. როდინოვმა.

განხილულ საკითხზე პარტიული აქტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ამხ. ნ. ბ. შოშინი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ვ. ვ. კულიკოვი.

ვრცელი ანგარიში აქტივის კრების შესახებ გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში.

## საბჭოთა უძღეკასიის სსკითო ნიშნები დ ძიკითაღი თაპისებუკებანი

ღოც. 3. ფარკოსაჟი

სახელმწიფოებრივი წყობილებისა დ პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციის საბჭოთა ფორმას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოებრივ წყობილებათა მსოფლიო სისტემაში. იგი წარმოადგენს ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ისტორიულად პირველ, ხოლო რუსეთის პირობებში საუკეთესო ფორმას. მისი შემოქმედი გახდა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი.

სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმაში იგულისხმება კონკრეტული შინაგანი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტრუქტურა დ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ორგანიზაცია. სახელმწიფოებრივი წყობილება გვხვდება მარტივი ანუ უნიტარული დ რთული ანუ ფედერაციული. სხვადასხვა ეპოქისა დ ქვეყნის პოლიტიკური დ ეკონომიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ჩნდება მართვა-გამგეობის, სახელმწიფოებრივი ორგანოების მოწყობისა დ პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმები. ისტორიულად უფრო ადრეულია სახელმწიფოებრივი წყობილების უნიტარული ფორმა.

თავისი წყობილების სირთულის გამო სახელმწიფოებრივი წყობილების ფედერაციულ ფორმას სხვადასხვა პირობებში შეიძლება ჰქონდეს არსებითად განსხვავებული კონკრეტული ორგანიზაცია.

საბჭოთა ფედერაციის სხვადასხვა ფორმის წარმოშობის შესაძლებლობაზე ლაპარაკი იყო ჯერ კიდევ 1921 წელს ჩვენი პარტიის X ყრილობაზე, რომლის რეზოლუციაში „ეროვნულ საკითხში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ“ საბჭოთა სახელმწიფოს ფედერაციული წყობის საკითხზე ნათქვამი იყო: „რუსეთის გამოცდილებამ ფედერაციათა სხვადასხვა სახეობის გამოყენებაში, საბჭოთა ავტონომიაზე დამყარებული ფედერაციიდან (ყირგიზეთი, ბაშკირეთი, თათრეთი, მთიკლები, დაღესტანი) დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებთან (უკრაინა, აზერბაიჯანი) ხელშეკრულების ურთიერთობაზე დამყარებულ ფედერაციაზე გადასვლითა დ მათ შორის შუალედური საფეხურების დაშვებით (თურქმენისტანი, ბელორუსია) საკვებით დადასტურა ფედერაციის, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების სახილმწიფოებრივი კავშირის საერთო თორმის. მოკლი მახანწეწონილობა დ მოქნილობა“.<sup>1</sup> ეს იდეა სრული საფუძვლით არის ხაზგასმული ა. ი. ლიბეშვილის მიერ საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კურსში.<sup>2</sup>

ა. ი. ლიბეშვინი ახასიათებს რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას, როგორც საბჭოთა ფედერაციული წარმონაქმნის ისტორიულად პირველ ფაზას, ამიერკავკასიის ფიფერაციას — როგორც მის მეორე ფაზას, ხოლო სსრ კავშირს — როგორც საბჭოთა ფედერალიზმის უმაღლეს ფორმას. ი. ნ. ანანოვს ასევე მიაჩნია ამიერკავკასიის ფედერაცია სახელმწიფოს საბჭოთა ფიფერაციული წყობილების განსაკუთრებულ ფორმად.<sup>3</sup> დ. ლ. ზლატოპოლსკი სავსებით ნათლად ამბობს, რომ სსრ კავშირის წარმოქმნის დროს ამ

<sup>1</sup> „სკკპ რიზოლოკივებსა დ გადაწყვეტილებებში“, თბ. 1954 წ. ნაწ. I. გვ. 657-658.

<sup>2</sup> იხ. А. И. Лепешкин, А. И. Ким, Н. Г. Минин, П. И. Романов «Курс советского государственного права». М. 1962, т. 2, стр. 44.

<sup>3</sup> იხ. И. Н. Ананов, «Система органов государственного управления в советской социалистической федерации», М., 1951, стр. 86.

ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა ორი ფედერაცია: ამიერკავკასიისა და რუსეთისა. ამ სამი ფედერაციის — სსრ კავშირის, ოუსეთის სფსრ და ამიერკავკასიის სფსრ — არსი ერთნაირი იყო: ესენი იყვნენ სოციალისტური ფედერაციული სახელმწიფოები.<sup>4</sup> ჩვენ სავსებით ვუჭერთ ძხარს აღნიშნული ავტორების აზრს და მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოებრივი წყობილების საბჭოთა ფედერაციულმა ფორმამ თავის განვითარებაში სამი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გამოხატულება ჰპოვა: სსრ კავშირში, როგორც საბჭოთა ფედერაციის უმაღლესი ფორმა; რსფსრ, როგორც ავტონომიურ საწყისებზე დაფუძნებული ფედერაციის ფორმა; ამიერკავკასიის სფსრ, როგორც საბჭოთა სუვერენული რესპუბლიკების ხელშეკრულების გაერთიანებაზე დამყარებული ფედერაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმებს შორის არსებული სხვაობა არ ნიშნავს, რომ მათ ურთიერთშორის არა აქვთ საერთო ნიშნები და არ ახორციელებენ ბევრ ერთნაირ ამოცანას.

საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოებრივი წყობილების სხვადასხვა ფორმას ურთიერთთან აერთიანებს ძალიან წარმოქმნის საერთო პრინციპები.

ფედერაციული სახელმწიფოებრივი წყობილების ყველა საბჭოთა ფორმას საფუძვლად უდევს პროლეტარიატის დიქტატურა. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის ძაოოვების შედეგად გახდა შესაძლებელი სახელმწიფოებრივი წყობილების ნამდვილად დემოკრატიული ფორმის შექმნა. საბჭოთა ფედერაციის ეროვნული ხასიათისა და ინტერნაციონალური ბუნების პრინციპი ასევე წარმოადგენს საბჭოთა ფედერაციის ყველა, სამივე სახეობის განუყოფელ თვისებას. ამ პრინციპის თანახმად, თითოეულმა კომპაქტურად მცხოვრეაა ეომა თავისათვის აირჩია სახელმწიფოებრივი წყობილების ისეთი ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად მოხერხებული იყო მისთვის და სხვებზე უკეთ უპასუხებდა მის ეროვნულ ინტერესებს.

ცალკეული რესპუბლიკების გაერთიანების ნებაყოფლობითობა და კავშირის ჩვერთა სრული თანასწოროფლებიანობა წარმოადგენს საბჭოთა ფედერაციის ყველა, სამივე სახეობის შექმნის მესამე მნიშვნელოვან პირობას. ამ პირობის გარეშე საერთოდ არ შეუძლია არსებობა არც ერთ ნამდვილ ფედერაციას. იგი განსაზღვრავს საბჭოთა ფედერაციის სამივე სახეობის თვით შინაარსს. ფედერაციული ხელისუფლების სუვერენიტეტისა და მისი წევრების ერთიანობა წარმოადგენს თითოეული ერის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების განხორციელების არსებით გარანტიას. ამიტომაც სუვერენიტეტის ერთიანობის პრინციპი ასევე საერთო ნიშანთვისებას წარმოადგენს საბჭოთა ფედერაციის ყველა სახეობისათვის და ბოლოს, საბჭოთა ფედერაციის ყველა სახეობას ახასიათებს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი.

უმნიშვნელოვანეს პრინციპთა ერთობიდან გამომდინარეობს იმ თუნქიკათა მსგავსება, რომლებიც საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოებრივი წარმოქმნათა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. სახელდობრ: ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და თანასწორობის უზრუნველყოფა ფედერაციის სუბიექტებს შორის, ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის სწორი ორგანიზაცია, მისი მოქნილი და უნარიანი ხელმძღვანელობა, მძიმე ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, მოწინავე ტექნიკის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარება, ქვეყნის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის უზრუნველყოფა, მათი ფაქტიური თანასწორობის განმტკიცება სახელმწიფოებრივი და სოციალურ-საზოგადოებრივი, ეკონომიური და კულტურის საქმიანობის ყველა სფეროში.

საბჭოთა ფედერაციის ყველა, სამივე სახეობის საერთო ამოცანას აგრეთვე წარმოადგენს ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა, დიადი სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების განუწყვეტლივ ამაღლება და საერთაშო-

<sup>4</sup> იხ. Д. А. Златопольский «Образование и развитие СССР как союзного государства», М., 1954, стр. 55.



რისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა უცხოეთის სახელმწიფოებთან სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემიანი სახელმწიფოების ძმვილობიანი თანაარსებობის პრინციპის დაცვის საფუძველზე.

სსრ კავშირი, რუსეთის სფსრ და ამიერკავკასიის სფსრ წარმოადგენენ საბჭოთა სოციალისტური ტიპის ფედერაციებს, აქეთ (ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკას. შესაბამისად, ჰქონდა) თავისი დამოუკიდებელი კონსტიტუცია, რომელიც ამკვიდრებს ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, აგრეთვე თითოეული ფედერაციული წარმონაქმნის, როგორც თავისთავადი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს. ყველა ამ ფედერაციას აქვს თავისი ძოქალაქეობრიობა და ტერიტორია.

საერთო-ფედერაციული კანონის უმაღლესი იურიდიული ძალა ფედერაციის წევრ სახელმწიფოთა კანონებთან შედარებით დამახასიათებელი ნიშანია საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოების სამივე სახეობის ფოოძისათვის. სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო ძართვა-გამგეობის საერთო-ფედერაციული ორგანოების არსებობა, რომელიც ფედერაციული სახელმწიფოს უფლებებს ახორციელებენ ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე, ასევე საბჭოთა ფედერაციის სამივე სახეობისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანია. და ბოლოს, საბჭოთა ფედერაციის სამივე სახეობის საერთო ამოცანასა და საერთო ინტერესს შეადგენს მსოვარი მატერიალური და პოლიტიკური ბაზის შექმნა ჩვენს დიად ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნისმის ასაძენებლად.

საბჭოთა ფედერაციის ამ სამი ფორმის უმნიშვნელოვანეს ნიშანდობლივ თვისებათა ერთიანობა როდი ნიშნავს, თითქოს ამ სახელმწიფოთა სამართლებრივი მდგომარეობა და აგებულების ფორმა ერთნაირი იყოს ყველა პუნქტში, ამოცანასა და დარგში. პირიქით, ფედერაციულ სახელმწიფოებრივი წარმოქმნათა ეს ფორმები განირჩეოდა ერთმანეთისაგან არსებითი სამართლებრივი თვისებებით.

დავიწყოთ სსრ კავშირიდან, როგორც საბჭოთა ფედერაციის უმაღლესი ფორმიდან.

სსრ კავშირი წარმოადგენს საკავშირო სახელმწიფოს, რომლის შემადგენლობაში, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად, შედის რუსეთის სფსრ და 1936 წლამდე შედიოდა ამიერკავკასიის სფსრ. სსრ კავშირი, ხელშეკრულების ფარგლებში, ფლობს ხელისუფლების უზენაესობას; მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი არავის მიერ არ იზღუდება. სსრ კავშირის უმაღლესი კომპეტენცია იმაში მდგომარეობს, რომ მას უფლება აქვს შეცვალოს მის შემადგენლობაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია, ამიერკავკასიის სფსრ, რუსეთის სფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია შეზღუდულია იმ ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით. სსრ კავშირი წარმოადგენს სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების საწყისებზე დაფუძნებულ ერთიან სახელმწიფოს.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის I მუხლის თანახმად სსრ კავშირის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნებოდა: კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში, მთელი დიპლომატიური კავშირურთიერთობის წარმოება, პოლიტიკური და სხვა ხელშეკრულებათა დადება სხვა სახელმწიფოებთან, კავშირის საგარეო საზღვრების შეცვლა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრის შეცვლის თაობაზე საკითხების მორგეულობა. ომის გამოცხადება და საზავო ხელშეკრულებათა დადება, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაცია ეკუთვნოდა მხოლოდ სსრ კავშირს. საგარეო და შინაგანი სესხების დადება ასევე შედიოდა სსრ კავშირის კომპეტენციაში. სსრ კავშირი აჯამებდა და წარმართავდა მთელს სამეურნეო და ეროვნულ-კულტურულ მშენებლობას.

სსრ კავშირის კომპეტენციაში შედიოდა სატრანსპორტო და საფოსტო-სატელეგრაფო საქმის ხელმძღვანელობა, ძირითადი კანონდებლობის დადგენა საკავშირო ძოქალაქეობის დარგში უცხოელთა უფლებების მიმართ, მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებისა და ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტების იმ დადგენილებათა გაუქმება, რომლებიც არღვევდნენ კონსტიტუციის, ერთიანი ფულისა და კრედიტის სისტემის შემოღება. საერთო და ნაციონალური მობილიზაციის უფლება განეკუთვნებოდა სსრ კავშირის განსაკუთრებულ გამგებლობას. სსრ კავშირი ამიერკავკასიის სფსრ და რუსეთის სფსრ იმითაც განირჩეოდა, რომ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შედგებოდა ორი პალატისაგან: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან. ამიერკავკასიის სფს და რუსეთის სფს რესპუბლიკებს კი არა ჰქონიათ ორი პალატა, იმის მიუხედავად, რომ ისინი ფედერაციული სახელმწიფოები იყვნენ.

ამრიგად, სსრ კავშირი, როგორც საბჭოთა ფედერაციის უმაღლესი ფორმა, აღჭურვილია ერთობ ფართო უფლებებით, რითაც იგი არსებითად განსხვავდება საბჭოთა ფედერაციის სხვა ფორმებისაგან. არც ამიერკავკასიის ფედერაციას, არც რუსეთის ფედერაციას არა ჰქონიათ ასეთი ფართო უფლებები და თავისი შინაგანი წყობილებით, თავისი სამართლებრივი მდგომარეობით არ შეეძლოთ იმ სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულება, რომლებიც შედიოდნენ საერთო-საკავშირო სახელმწიფოს კომპეტენციაში და რომელთა შესრულების უნარი მხოლოდ მას შესწევდა.

სსრ კავშირი, როგორც ფედერაცია, არც თავისი აგებულებით, არც თავისი იურიდიული ბუნებით არ შეიძლება გაიგივებულ იქნას არც ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკასთან, არც რუსეთის სფს რესპუბლიკასთან. სსრ კავშირის შემადგენლობაში შეშავალი მოკავშირე რესპუბლიკებს ჰქონდა სუვერენული უფლებები აქვთ; ვიდრე ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში შეშავალ სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს. რაც შეეხება რუსეთის სფს რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკებს, მათ არ გააჩნიათ სუვერენიტეტი.<sup>5</sup>


მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს. სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, სსრ კავშირის შემადგენლობაში შეშავალ თვითმართვად მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა სსრ კავშირის შემადგენლობიდან ცალმხრივი თავისუფალი გამოსვლის უფლება, ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვებს „ცალმხრივი გამოსვლა“. იმის მიუხედავად, რომ ამიერკავკასიის შემადგენლობაში ასევე სუვერენული რესპუბლიკები შედიოდნენ, მათ არა ჰქონდათ ამიერკავკასიის ფედერაციიდან ცალმხრივი გამოსვლის უფლება. ასეთი უფლების განსახორციელებლად აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ ან სომხეთის სსრ ესაჭიროებოდათ ამიერკავკასიის ფედერაციული ხელისუფლების სანქცია.

სსრ კავშირის სუბიექტების კომპეტენცია შეზღუდული იყო. მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციით, ამიერკავკასიის ფედერაციის სუბიექტების კომპეტენცია კი შეზღუდული იყო, როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციით, ასევე ამიერკავკასიის სფსრ კონსტიტუციით.

სსრ კავშირის სუბიექტები უშუალოდ და პირდაპირ შედიოდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის სფსრ სუბიექტები სსრ კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

<sup>5</sup> ამ ბოლო დროს ზოგიერთი მეცნიერი, არც თუ არსებითი მოტივების გარეშე და უსაფუძვლოდ, პაექრობის წესით, აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია სახელმწიფოებრივი სამართლის მეცნიერებაში ამჟამად გაბატონებული შეხედულებანი ავტონომიური რესპუბლიკების არასუვერენულობის შესახებ. ეს პრობლემა ცალკე გამოკვლევის საგანია. ამიტომ ჩვენ ჯერ-ჯერობით წინანდელ პოზიციებზე ვრჩებით.





დერაციის საშუალებით. აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციის მე-3 მუხლში პირდაპირ იყო ნათქვამი: „...აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, გაერთიანებული საქართველოა და სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში, მისი საშუალებით შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“.<sup>6</sup>

სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება ჰქონდათ დაედგინათ შრომის კანონმდებლობის საერთო საწყისები, კანონმდებლობის საერთო საწყისები სახალხო განათლების დარგში, საერთო ღონისძიებები სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში. მათ უფლება ჰქონდათ აგრეთვე განეხორციელებინათ ხელმძღვანელობა რესპუბლიკის შინაგან ვაჭრობაზე, დაენერგათ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის ხელისუფლებით დაწესებული ზომა-წონის სისტემა, დაედოთ სსრ კავშირის საკავშირო ხელისუფლების ნებართვით საგარეო და საშინაო სესხები და ა. შ.

ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს ასეთი უფლებები არ ჰქონდათ და ამიტომ აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ კონსტიტუციებში არ ყოფილა გათვალისწინებული ანალოგიური რწმუნებანი.

ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკებად კი არ იწოდებოდნენ, როგორც მიღებულია ეწოდებოდეს სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოებს, აზამედ ხელშეკრულებით რესპუბლიკებად.

ამიერკავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ მას ჰქონდა საგანგებო, დროებითი ხასიათი, იგი საჭირო იყო გარკვეული მიზნების განსახორციელებლად და დროის გარკვეულ პერიოდში.

სსრ კავშირის ურთიერთდამოკიდებულებას რომ ვაჯამებთ მის წევრებთან. ე. ი. მის მოკავშირე რესპუბლიკებთან, ერთის მხრივ, და ამიერკავკასიის ფედერაციის ურთიერთდამოკიდებულებას მის წევრებთან, ე. ი. ხელშეკრულებით რესპუბლიკებთან, მეორეს მხრივ იმ დასკვნამდე მივიღვართ, რომ უფრო ხანგრძლივი არსებობის პერსპექტივა ჰქონდა სწორედ ფედერაციის საერთო-საკავშირო ფორმას, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკები, და არა ხელშეკრულებით საწყისებზე დამყარებული ფედერაციის ფორმას. ჩვენ ასევე მიგვაჩნია, რომ პირველ რიგში დროს მოჭამს ის ფედერაცია, რომელიც დაფუძნებულია ავტონომიურ საწყისებზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საერთო-საკავშირო ფედერაციას კი, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, ჯერ ყველა პერსპექტივა აქვს შემდგომი განვითარებისათვის ახალი სოციალისტური სახელმწიფოების მიერთების გზით. ამრიგად, საერთო-საკავშირო ფედერაციის წამყვანი როლი საბჭოთა ფედერაციის სხვა ფორმებთან შედარებით აზავითარ ეჭვს არ იწვევს.

ამიერკავკასიის ფედერაცია ზოგიერთი ნიშნით, ემსგავსებოდა სსრ კავშირს, მაგრამ განსხვავდებოდა რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან. მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს. სსრ კავშირისა და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის

<sup>6</sup> «Съезды советов. В документах 1917—1937», т VI стр. 171—172.

სუბიექტები იყვნენ (არჩან) მხოლოდ და მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოები, რუსეთის სფს რესპუბლიკისა კი — ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები, რომელთაც არა ჰქონიათ და არცა აქვთ რუსეთის სფს რესპუბლიკიდან თავისუფალი გასვლის უფლება. რსფსრ ხელისუფლებამ უმაღლესი ორგანოება ამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებსა და დებულებებს ავტონომიური ოლქის შესახებ, რომლებიც მის შემადგენლობაში შედიან, მაშინ, როდესაც სსრ კავშირისა და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს არა ჰქონიათ (სსრ კავშირის არც ახლა აქვს) ასეთი უფლება თავისი წევრების კონსტიტუციების მიმართ. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისა და მის შემადგენლობაში შიშვეალი რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ ორგანოებს შორის ურთიერთობა აგებული იყო თითქმის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოთა ურთიერთ დამოკიდებულების ნიმუშით.

სამართლებრივი ბუნებითა და აგებულებით რსფსრ „...არის თავისებური შეხამება სახელმწიფო წყობილების ფედერაციული ფორმისა ერებისათვის, რომელთა თვითგამორკვევა მოხდა ავტონომიის ფორმით, პოლიტიკური წყობილების უნიტარული ფორმით რუსი ერთი დასახლებული ყველა ადმინისტრაციული ოლქისათვის, რომლის სახელსაც ატარებს რესპუბლიკა. ამიტომაც რსფსრ არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივ ფედერაციად, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია ვიგულისხმით მოკავშირე სახელმწიფოდ. ეს არის განსაკუთრებული სახეობის ფედერაცია: არა მარტო პატარა ერების კავშირის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფორმა, არამედ აგრეთვე მათთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის საშუალება სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ კულტურულ განვითარებაში უფრო დიდი და ძლიერი ერის მხრიდან“.<sup>7</sup> კურსის ავტორთა შეხედულებიდან, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, გააოღას, რომ სსრ კავშირი და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა წარმოადგენენ წმინდა ფედერაციული ტიპის სახელმწიფოებრივ მმართველობას, მაშინ, როდესაც რსფსრ წარმოადგენს შერეული ფორმის სახელმწიფოებრივ მმართველობას, რომელშიც თავისებურად არის შეხამებული მართველამეგობის უნიტარული და ფედერაციული ფორმები.

სსრ კავშირი და ამიერკავკასიის სფსრ რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან იმითაც განირჩევიან, რომ მათი, როგორც სახელმწიფოების არსებობა მთლიანად არის დამოკიდებული ცალკეული ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების არსებობაზე, რომლებიც ცნობილი მიზეზების გამო გაერთიანდნენ ფედერაციულ კავშირში. ცალკეული ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკები რომ არ ყოფილიყო, არც ამ რესპუბლიკების კავშირი იქნებოდა, მაშასადამე, არც სსრ კავშირი იქნებოდა, არც ამიერკავკასიის სფსრ. ამიერკავკასიის სფსრ არ ჰქონია თავისი საკუთარი ტერიტორია. ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიად ითვლებოდა მის შემადგენლობაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები ერთად აღებული. ამ მხრივ ამიერკავკასიის სფსრ მთლიანად ემსგავსება სსრ კავშირს.

ამიერკავკასიის სფსრ 1925 წლის კონსტიტუცია ამიერკავკასიის რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ცაკებს ანიჭებდა ისეთივე უფლებებს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსა და ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატების მიმართ (ფედერაციული სახკომსაბჭოს და

დგენილების გაპროტესტება და ფედერაციული სახალხო კომისარიატების დადგენილებათა შეჩერება), როგორც მინიჭებული ჰქონდათ მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით შესაბამისი საკავშირო ორგანოების მიმართ. როდესაც ამიერკავკასიაში მომზადდა ნიადაგი სსრ კავშირის შემაღვენლობაში აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ უშუალო შესვლისათვის და როდესაც, ამიერკავკასიის ცალკეული ეროვნული რესპუბლიკების ხალხთა ნება-სურვილიდან გამომდინარე ასეთი ღონისძიება განხორციელდა 1936 წელს, ამიერკავკასიის ფედერაციამ, როგორც დამოუკიდებელმა სუვერენულმა სამოკავშირეო სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა.

საესებით სხვანაირად არის საქმის ვითარება რუსეთის სფსრ მიმართ. იგი, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო, წარმოიშვა რუსი ხალხის პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციის სახით. იგი არსებობდა და იარსებებს როგორც რუსული სახელმწიფო ჩვენთვის ცნობილ პერიოდამდე (მთელს მსოფლიოში კომუნისმის საბოლოო გამარჯვებამდე). რუსული სახელმწიფოს წარმოშობა დაკავშირებული არ ყოფილა მის შემაღვენლობაში სხვა ეროვნებანი რაიონების შესვლასთან, და მისი შემდგომი არსებობაც არ იქნება დამოკიდებული ამ ფაქტორზე. ეს მდგომარეობა ავლებს ზღვარს რუსეთის სფს რესპუბლიკასა, ერთის მხრივ, და სსრ კავშირსა და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკას შორის, მეორე მხრივ.

აპრივად, რუსეთის სფსრ-ში, ერთა თვითგამორკვევის უფლების ლენინური პრინციპის შესაბამისად, ძირითადად რუსი ერის გარშემო თვით რუსული საბჭოთა სახელმწიფოს შიგნითვე ნებაყოფლობით და თანასწორუფლებიან საწყისებზე გაერთიანდნენ სხვა, რიცხობრივად შედარებით პატარა ერები, და ამით მათ რუსეთის ახალი სახელმწიფო კი არ შექმნეს, არამედ ძხოლოდ შეცვალეს რუსეთის რესპუბლიკის შინასახელმწიფოებრივი წყობილების ხასიათი. რუსეთის სფსრ წარმოქმნა მოხდა სრულიად სხვა გზებით, ვიდრე სსრ კავშირისა და ამიერკავკასიის სფსრ შექმნა. ამიერკავკასიის საბიუჯეტო და საფინანსო ურთიერთ დამოკიდებულება აგებული იყო იმავე პრინციპით, რომლითაც აგებული იყო მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის საბიუჯეტო კავშირურთიერთობა.

ყოფადღებას იმსახურებს აგრეთვე ის ნიშნები, რომლებიც ახასიათებდა ძხოლოდ ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკას და რომლებითაც იგი ასევე განსხვავდებოდა რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან. აი, ზოგიერთი მათგანი.

რუსეთის სფსრ განსხვავებით, ამიერკავკასიის ფედერაციის შემაღვენლობაში შედიოდნენ სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ამიერკავკასიის ფედერაციის სუბიექტები იყვნენ აგრეთვე ისეთი რესპუბლიკები, რომლებიც თავისი სახელმწიფოებრივი წყობის ფორმით თვითონ ჰქავენონ რუსეთის ფედერაციას, ასეთებია, საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ, რომელთაც თავის შემაღვენლობაში ჰყავთ ავტონომიური (ძხოლო გარკვეულ ეტაპზე არავტონომიური) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები<sup>8</sup>.

ამიერკავკასიის ფედერაცია იყო სუვერენულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნათა ფედერაცია. ეს ნათლად ჩანს ხელშეკრულებაში სასრკ შექმნის შესახებ, რომელიც სასრკ 1924 წლის კონსტიტუციაში შევიდა, როგორც მეორე განყოფილება. ამ დოკუმენტში იმ რესპუბლიკების ჩამოთვლის შემდეგ, რომლებიც გაერთიანდნენ სსრ კავშირში, ამიერკავკასია იხსენიება თავისი სუბიექტებით, მაშინ, როდესაც რუსეთის სფსრ სუბიექტები, ე. ი. ავტონომიური რესპუბლიკები, არ არიან მოხსენებულნი. მოგვყავს ამ დოკუმენტის

8. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 1931 წლამდე და ნახჭევანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 1936 წლამდე.

სრული ტექსტი: „რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ), უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (უსსრ), ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ბსსრ) და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (ასფსრ: აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) ერთიანდებიან საკავშირო სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.“<sup>9</sup>

ამრიგად, ამიერკავკასიის ფედერაციის ხელშეკრულებით რესპუბლიკებს სსრ კავშირის ფარგლებში ჰქონდათ არსებითად განახევებული სამართლებრივი დანასიათება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებთან შედარებით. ამ გაგებით, ამიერკავკასიის ფედერაცია თავისი სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმით ასევე წარმოგვიდგება ფედერაციული წარმოქმნის უფრო მაღალ საფეხურად, ვიდრე რუსეთის ფედერაცია.


ამიერკავკასიის სფსრ, როგორც ცალკე აღებული სახელმწიფო, არ იყო ცალკე ეროვნული სახელმწიფო, რადგანაც ცალკე ამიერკავკასიის ერი, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ეს იყო სამი ერის — აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ერების კავშირის რესპუბლიკა. ამიტომაც თავის ცალკე წარმომადგენლებს საერთო-საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოში იგი არ აგზავნიდა. რუსეთის სფსრ, კი როგორც რუსი ერის სახელმწიფო, სხვა მოკავშირე ეროვნული რესპუბლიკების თანაბრად, აგზავნიდა საერთო-საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოში თავის წარმომადგენლებს, ე. ი. რუსი ერის წარმომადგენლებს.

ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის თავისებურებამ, რუსეთის ფედერაციის ფორმასთან შედარებით, თავი იჩინა ასეთ ფაქტშიც: არსებობის 14 წლის მანძილზე მხოლოდ ერთი წელიწადის განმავლობაში მოქმედებდა ამიერკავკასიის ფედერაციული უმაღლესი სასამართლო და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პროკურატურა. ისინი შეიქმნა 1931 წლის ივნისში, ხოლო 1932 წლის ოქტომბერში უკვე გაუქმდნენ. 13 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის ფედერაციის მართლმსაჯულების რესპუბლიკური ორგანოები არა ჰყოლია. რაც შეეხება რუსეთის სფსრ, მასში საბჭოთა მართლმსაჯულების ფედერაციული ორგანოები შეიქმნა თავიდანვე, ისინი ყოველთვის მოქმედებდნენ და მოქმედებენ დღესაც.

1925 წლამდე ამიერკავკასიის არა ჰქონია ამიერკავკასიის სფსრ ცალკე მოქალაქეობა. ამიერკავკასიის სფსრ პირველ კონსტიტუციაში (1922 წ.) არაფერი იყო ნათქვამი ამიერკავკასიის ფედერაციის მოქალაქეობის დაწესების შესახებ. ეს ინსტიტუტი შემოღებული იქნა მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის საბჭოების შესამე ყრილობის დადგენილებით.<sup>10</sup> ამიერკავკასიის ფედერაციის მეორე კონსტიტუციამ 1925 წელს მე-6 მუხლში ჩაწერა, რომ „ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთათვის წესდება ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკების მოქალაქეობა. ამიერკავკასიის სფს

<sup>9</sup> «Съезды Советов. В документах 1917—1936 гг.», изд. 1960 г., т. III, стр. 42.

<sup>10</sup> «Съезды Советов. В документах 1917—1937 гг.», т. VI, стр. 37.



რესპუბლიკის მოქალაქეები, ისევე როგორც ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემაჯავლი რესპუბლიკების მოქალაქეები, ერთდროულად არიან საკავშირო მოქალაქეები“. რუსეთის სფს რესპუბლიკაში მოქალაქეობრიობის ინსტიტუტის საკითხიც სხვანაირად იდგა. რუსეთის სფს 1918 წლის პირველსავე კონსტიტუციამ მე-18, 49-ე (პუნქტი „ო“), 64-ე და სხვა მუხლებით გაითვალისწინა ამ ინსტიტუტის არსებობა.

ამიერკავკასიის სფს კონსტიტუციის I მუხლის „შ“ პუნქტის შესაბამისად ამიერკავკასიის ფედერაციას უფლება ჰქონდა თავის შემადგენლობაში მიეღო სხვა საკავშირო რესპუბლიკები, ხოლო რუსეთის სფს რესპუბლიკას, თავისი კონსტიტუციის მე-17 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ჰქონდა მხოლოდ ცალკეულ ეროვნებათა საბჭოების ყრილობების გადაწყვეტალებათა დამტკიცების უფლება მათი ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად და ოლქებად გამოყოფის შესახებ.

არსებობს აგრეთვე სხვა ნიშნები, რომლებიც ამიერკავკასიის ფედერაციას ანსხვავებენ რუსეთის ფედერაციასაგან, მაგრამ ჩვენ მათზე არ შევიჩინებთ, რადგანაც აღნიშნულიც უფლებას გვაძლევს გავაცეთოთ დასკვნა, რომ ამიერკავკასიის სფს და რუსეთის სფს წარმოადგენენ საბჭოთა სახელმწიფო წყობილების ორ სხვადასხვა ფორმას. ამას უნდა დავამატოთ ისიც, რომ ნიშნები, რომლებიც სპეციფიკური იყო საბჭოთა ფედერაციის სხვადასხვა ფორმათვის, არ იყო რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული და შეუცვლელი. ისინი იცვლებოდნენ ახალი ამოცანების წარმოშობის კვალბაზე, ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის განვითარებისა და უარავი სხვა ფაქტორის გავლენით. ამასთან ერთად იცვლებოდა საბჭოთა სახელმწიფო წყობილების თითოეული ფორმის სამართლებრივი მდგომარეობა, იცვლებოდა აგრეთვე ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის და ა. შ. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ სსრ კავშირი, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა და რუსეთის სფს რესპუბლიკა — საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის სხვადასხვა ფორმებია.

საბჭოთა ფედერალიზმის ძირითადი ფორმა ამჟამად ორია: პირველი — ეს არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანება სსრ კავშირში და მეორე — ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების გაერთიანება. რაც შეეხება ამიერკავკასიის ფედერაციას, მან, შეასრულა რა თავისი ისტორიული მისია ამიერკავკასიაში ეროვნულ ურთიერთობათა მოწესრიგების, ამ მხარეში ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის საკითხში, შეწყვიტა თავისი არსებობა.

ამრიგად, საბჭოთა ფედერაციის სხვადასხვა ფორმის წარმოშობისა და განვითარების პროცესის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, ამ ფორმათა შინაარსის მოქნილ ხასიათს.

ჩვენი დიდი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესაბამისად და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების კვალდაკვალ შემდგომშიც გაგრძელდება საბჭოების ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმების სრულყოფა და ახალი შინაარსის შესაბამისად ისინი მოიპოვებენ კიდევ უფრო დიდ ძალას.

# ადმინისტრაციული პროცესის საბჭოთაო სისტემის საკითხის შესახებ

3. ლორია,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ადმინისტრაციული პროცესი საბჭოთა პროცესუალური სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესთან ერთად ადმინისტრაციული პროცესი დიდ როლს ასრულებს საბჭოთა სამართლის სუბიექტების უფლებათა დაცვისათვის.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ადმინისტრაციული პროცესის საკითხები შედარებით დაუმუშავებელია. ადმინისტრაციული პრაქტიკა კი მოითხოვს მის ღრმად შესწავლას და წამოჭრილი პრობლემების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. ამიტომ ბუნებრივია, რომ უკანასკნელ პერიოდში ადმინისტრაციული პროცესის დამუშავებას მეტი ყურადღება მიექცა. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. გ. სალიშევას, ა. ე. ლუნევის და სხვათა მონოგრაფიული გამოკვლევები და მთელი რიგი სტატიები.<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, საბჭოთა ადმინისტრაციული პროცესის მთელი რიგი საკითხები ჯერ კიდევ შეუსწავლელია და შემდგომ დაუმუშავებას საჭიროებს. საერთო სტატიის ფარგლებში შეუძლებელია საბჭოთა ადმინისტრაციული პროცესის ყველა ძირითადი საკითხის განხილვა. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, ინტერესს იწვევენ მათი პრაქტიკული გადაჭრის თვალსაზრისით და ამასთან დავას იწვევენ საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის თეორიაში.

პირველ რიგში აუცილებელია შევეხოთ ადმინისტრაციული პროცესის ცნებას და მის ფარგლებს. საბჭოთა იურისტებს შორის ამ საკითხში აზრთა ერთიანობა არაა.

ადმინისტრაციული პროცესის ცნება იხმარება ორი გაგებით: როგორც მმართველობის ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის პროცესი (ფართო გაგება) და ადმინისტრაციული პროცესი ვიწრო გაგებით, როგორც ინდივიდუალური ხასიათის საქმეთა განხილვის პროცესი მმართველობის ორგანოებში.<sup>2</sup> როგორც სამართლიანადაა მითითებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, ადმინისტრაციული პროცესის ფართო გაგება ვერ გამოხატავს მის სპეციფიკურ ნიშნებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იგი ემთხვევა სახელმწიფოს აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის ცნებას მთლიანად. მაგ. ვ. მ. მანოხინის შეხედულება ადმინისტრაციულ პროცესზე წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის საერთო დამახასიათებელი ნიშნების ახსნას. მისი აზრით, ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც წარმოადგენს სათუქვლებს მმართველობის ორგანოთა ფორმირებისათვის მიეკუთვნებიან ადმინისტრაციული მატერიალური სამართლის ნორმებს, ხოლო „ის წესები, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ფორმირების წესს. უნდა განეკუთვნონ პროცესუალურ ნორმებს“<sup>3</sup>. ამრიგად, აღმასრულებელ-განმკარ-

<sup>1</sup> იხ. **Н. Г. Салишева**, Административный процесс в СССР, изд. «Юридическая литература», 1964 г., **А. Е. Лунев**, Административная ответственность за правонарушения, Госюриздат, 1961 г., **И. Ф. Бартыков, П. С. Дагель** и др., Административные правонарушения, рассматриваемые в судебном порядке, изд. «Юридическая литература», 1964 г., и др.

<sup>2</sup> იხ. **Г. И. Петров**, О кодификации советского административного права, Советское государство и право, 1962 г. № 5, стр. 30.

<sup>3</sup> იხ. **В. М. Манохин**, Порядок формирования органов государственного управления, Госюриздат, 1963 г., стр. 7.

გულეხელი საქმიანობის ისეთი მხარე, როგორცაა მმართველობის ორგანიზაცია, აქ გამოცხადებულია ადმინისტრაციულ პროცესად.

ადმინისტრაციული პროცესის ვიწრო გაგებას იძლევიან საბჭოთა ავტორთა უმეტესობა (გ. ი. პეტროვი, ა. ე. ლუნევი, ნ. გ. სალიშჩევა, ვ. ი. პოპოვა, ც. ა. იმპოლსკაია და სხვ.). სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც ადმინისტრაციული პროცესი ვიწრო გაგებითაა წარმოდგენილი. მაგ. პოლონელი იურისტის ეჟი სტაროსციაკის მიხედვით ადმინისტრაციული პროცესი დაკავშირებულია ინდივიდუალურ (ადმინისტრაციულ) აქტების მიღებასთან.<sup>4</sup>

ასეთივე შეხედულება აქვთ ბულგარულ მეცნიერებს პ. სტაინოვსა და ა. ანგელოვს,<sup>5</sup> უნგრულ მეცნიერს ფერენც ტოლდს<sup>6</sup> და სხვ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დემოკრატიის ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია და მოქმედებს ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსები (პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში), რომლებიც განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ პროცესს, როგორც ინდივიდუალური ხასიათის საქმეთა გადაწყვეტის წესს.

ამრიგად, ადმინისტრაციული პროცესის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ მმართველობის ორგანიზაციაში მიერ ინდივიდუალური ხასიათის საქმეთა განხილვის წესს. მაგრამ ზოგიერთი საბჭოთა ავტორი უარყოფს ადმინისტრაციული პროცესის ასეთ გაგებას. მაგალითად, ნ. გ. სალიშჩევა წერს: „ადმინისტრაციული პროცესი ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც კანონით რეგლამენტირებული საქმიანობა დავათა გადასაწყვეტად, რომლებიც წარმოიშვებიან მხარეთა შორის, რომლებიც ურთიერთის მიმართ არ იმყოფებიან სამსახურებრივ დაქვემდებარებაში, აგრეთვე საქმიანობა ადმინისტრაციული იძულების ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით“.<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ ნ. გ. სალიშჩევა ზღუდავს ადმინისტრაციულ პროცესს ინდივიდუალურ საქმეთა ვიწრო წრის განხილვით, კერძოდ, ადმინისტრაციული დაგებისა და ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეთა განხილვით. რაც შეეხება დანარჩენ ინდივიდუალურ საქმეთა განხილვას ნ. გ. სალიშჩევა მას მიაკუთვნებს არა ადმინისტრაციულ პროცესს, არამედ ადმინისტრაციულ წარმოებას.<sup>8</sup> ამასთან უნდა ვიკუთვინდებოდეთ, რომ ადმინისტრაციული წარმოება არ მოიცავს მმართველობას მთლიანად, ვინაიდან, ავტორის თქმით, იგი რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლის ნორმათა განსაზღვრული წესებით. ადმინისტრაციული წარმოება და მმართველობა ავტორის გაგებით დამოუკიდებელი ცნებებია.

ადმინისტრაციული პროცესის ცნების ასეთი განმარტება მიუღებელია. ინდივიდუალური ხასიათის ყველა ადმინისტრაციული საქმის განხილვა მმართველობის ორგანიზაციაში ერთიანი პრინციპების საფუძველზე ხდება, მას ერთიანი საწყისი ახასიათებს. ამიტომ არ შეიძლება ინდივიდუალურ საქმეთა კატეგორიების მიხედვით გავყოთ მმართველობის ორგანიზაციის ერთიანი საქმიანობა, რომელსაც ადმინისტრაციული პროცესი ეწოდება.

ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული პროცესი, ჩვენის აზრით, ერთი და იგივე ცნებებია, რომელთა ქვეშ იგულისხმება ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის წესი მმართველობის ორგანიზაციაში. ასეთი ინდივიდუალური საქმე შეიძლება სხვადასხვა შინაარსისა იყოს. ერთ შემთხვევაში იგი შეეხება ადმინისტრაციულ დავას, ანუ ადმინისტრაციულ კონკრეტულ უფლებათა და მოვალეობათა დადგენას, მეორე შემთხვევაში იგი შეეხება კონკრეტული ადმინისტრაციული უფლების უზრუნველყოფას ან მოპოვებას, მესამე

<sup>4</sup> იხ. **Ежи Старосцяк**, Правовые формы административной деятельности. Госюриздат. 1959 г., стр. 195—224.

<sup>5</sup> იხ. **П. Стайнов, А. Ангелов**, Административное право Народной Республики Болгарии, Госюриздат, 1961 г., стр. 16.

<sup>6</sup> იხ. «Обзор Венгерского права», 1958 г., № 1, стр. 9—12.

<sup>7</sup> იხ. **Н. Г. Салишчева**, Административный процесс в СССР, изд. «Юрид-лит-ра». 1964 г., стр. 16.

<sup>8</sup> იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

მე შემთხვევაში — ადმინისტრაციული იძულების ზომების გამოყენებას.

ადმინისტრაციული პროცესის მეტად შეზღუდულ ცნებას იძლევა ა. ე. ლუნევი. იგი წერს: „ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია ადმინისტრაციული პროცესის გაგება, როგორც ისეთი საქმიანობისა, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოძიებასთან, აგრეთვე მათ განხილვასთან როგორც ადმინისტრაციულ, ისე სასამართლო ორგანოებში“.<sup>9</sup>

როგორც ვხედავთ, ა. ე. ლუნევს ადმინისტრაციულ პროცესად მიაჩნია მხოლოდ ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა განხილვა, ხოლო სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას იგი არ მიაწერს ადმინისტრაციულ პროცესს.

მაგრამ აქ ა. ე. ლუნევი აყენებს მეორე მნიშვნელოვან საკითხსაც. იგი თვლის, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა სასამართლოში ატარებს ადმინისტრაციული პროცესის ხასიათს. ასეთი შეხედულება ადმინისტრაციულ პროცესზე ახალი არაა. მაგალითად, ა. ფ. კლინმანი კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული პროცესი არის მხოლოდ სასამართლო ორგანოების ის საქმიანობა, რომელიც წარმოიშვება ადმინისტრაციულ საქმეთა გადაწყვეტასთან დაკავშირებით<sup>10</sup>.

ეს საკითხი უშუალო კავშირშია ადმინისტრაციული იუსტიციის საკითხთან სსრ კავშირში.

ადმინისტრაციული იუსტიცია შედარებით ვრცლად დამუშავებული საკითხია ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში. ბურჟუაზიული იურისტები მისი ახსნისას გამომდინარეობენ საჯარო და კერძო სამართლის დაყოფიდან. ადმინისტრაციულ იუსტიციად ჩვეულებრივ ითვლება მოქალაქეთა საჯარო უფლებების დაცვა ადმინისტრაციული პროცესის ფორმებში, რასაც ამისათვის სპეციალურად განკუთვნილი ორგანოები ახორციელებენ.<sup>11</sup>

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება ადმინისტრაციული იუსტიციის საწინააღმდეგოდ, როგორც საბჭოთა სამართლისათვის შეუფერებელი ინსტიტუტისა. ამასთან ავტორები გამომდინარეობდნენ იქედან, რომ საბჭოთა მატერიალურ ადმინისტრაციულ სამართალს არა აქვს შესაბამისი ადმინისტრაციული პროცესი, და რომ საბჭოთა სამართალი არ შეიძლება დავყოთ საჯარო და კერძო სამართლად, რის გამოც საბჭოთა სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს ადმინისტრაციული სარჩელი საჯარო უფლებების დაცვის შესახებ<sup>12</sup>. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, შეუძლებელია ლაპარაკი ადმინისტრაციულ იუსტიციაზე, რადგან ხდება უარყოფა თვით ადმინისტრაციული პროცესისა. რომელიც აუცილებელი პირობაა ადმინისტრაციული იუსტიციის არსებობისათვის.

საბჭოთა ადმინისტრაციული პროცესის არსებობა და მისი შემდგომი განვითარება ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ადმინისტრაციული პროცესი არ შეიძლება გავიგივოთ ადმინისტრაციული იუსტიციის ცნებასთან. პირველი გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტის ადმინისტრაციულ წესს, ე. ი. ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც საქმის გადაწყვეტას ადმინისტრაციული პროცესის ხასიათს აძლევენ, ხოლო ადმინისტრაციული იუსტიცია გულისხმობს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ

<sup>9</sup> იხ. **А. Е. Лунев**, Административная ответственность за правонарушения, Госюриздат, 1961 г., стр. 173.

<sup>10</sup> იხ. **А. Ф. Клейнман**, Вопросы гражданского процесса в связи с судебной практикой, — журн. «Социалистическая законность», 1946 г. № 9, с. стр. 12.

<sup>11</sup> იხ. იხ. საკითხზე: **С. А. Корф**, Административная юстиция в России, т. II, кн. III, С.-Петербург, 1910 г., стр. 446—507.

<sup>12</sup> იხ. **С. Н. Абрамов**, В советском праве не может быть административного иска, «Социалистическая законность», 1947 г., № 3; **Л. И. Павлоцкий**, Спорные вопросы особого производства по закону от 11 апреля 1937 г., «Ученые записки Ленинградского юридического института», вып. IV, 1947 г., стр. 156—158; **И. Б. Морейн**, Основные вопросы теории особого производства в советском гражданском процессе, Автореферат канд. диссер., Ленинград, 1951 г. стр. 11, и др.



საქმის გადაწყვეტას ადმინისტრაციული პროცესის ფორმებში. აქედან გამომდინარეობს კითხვა: არსებობს თუ არა ჩვენს სახელმწიფოში სპეციალურად შექმნილი ისეთი ორგანო, რომლის დანიშნულებაცაა ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციული საქმის განხილვა ადმინისტრაციული პროცესის ფორმებში.

ნ. გ. სალინიჩევა აზრით „უთუ ადმინისტრაციულ იუსტიციას გავიგებთ როგორც საერთო სასამართლოების საქმიანობის განსაკუთრებულ სახეს სახელმწიფო მმართველობის სფეროში დავათა გადაწყვეტის ხაზით... შეიძლება დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული იუსტიციის ელემენტები ჩვენში არსებობენ და ვითარდებიან“<sup>13</sup>. ამასთან ნ. გ. სალინიჩევა, მხარს უჭერს რა ა. ე. ლუნევის, თვლის, რომ სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა ატარებს ადმინისტრაციული პროცესის ხასიათს.<sup>14</sup>

არ შეიძლება ერთმანეთში აფუროთ ადმინისტრაციული პროცესი და ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის დაცვის ფორმები. ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის დაცვის სასამართლო წესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო მმართველობაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაცვის ეს წესი ადმინისტრაციული პროცესის ფორმაში გამოიხატება. ისევე როგორც სამართლის სხვადასხვა დარგის სამართლებრივი ურთიერთობის დაცვა შესაძლებელია როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციული წესით, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის დაცვაც შესაძლებელია სასამართლო წესითაც.

ზოგიერთ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა სასამართლოში ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია სახელმწიფო მმართველობაში სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის მიზნით. ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში განხილვა, როგორც ცნობილია, რეგულირდება სამოქალაქო პროცესუალური სამართლის სათანადო ნორმებით (იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 238—252 მუხლები), რომლებიც არაერთაა შემთხვევაში არ შეიძლება ჩავთვალოთ ადმინისტრაციული პროცესუალური სამართლის ნორმებად. სასამართლოს საქმეზე გამოაქვს შესაბამისი განჩინება და, ამრიგად, იყენებს სასამართლო ზემოქმედების ამა თუ იმ ზომას, და არა ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომას, რომლის გამოყენების უფლებაც მას საერთოდ არა აქვს (სასამართლოში გამოყენებული ჯარიმის ყველა სახე სასამართლო ზემოქმედების ფორმას ატარებს და არა ადმინისტრაციულობისას)<sup>15</sup>. ამასთან ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილი განჩინება შეიძლება გაპროტესტდეს სასამართლო ზედამხედველობის წესით და არა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო წესით ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა არ ატარებს ადმინისტრაციული პროცესის ნიშნებს. აქ სასამართლოების როლი ამოიწურება სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფით სახელმწიფო მმართველობაში. ამაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ის ფაქტიც, რომ ადმინისტრაციული წესით არასწორად დაჯარიმების შესახებ საქმეთა განხილვა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ დაჯარიმებულის საჩივრის საფუძველზე და მას არა აქვს უფლება ჩაერიოს ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრებაში მათი გააოტრობის თვალსაზრისით. სხვაგვარად შეუძლებელია საკითხის გავება, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო მოცემულ შემთხვევაში სასამართლოში გამოდის როგორც მხარე და არა როგორც ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე.

ამრიგად, სასამართლო ორგანოებში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა არ ატარებს ადმინისტრაციული პროცესის ხასიათს. აქედან გამომდინარეობს

<sup>13</sup> Н. Г. Салищева, Административный процесс в СССР, изд. «Юрид. лит-ра», 1964 г., стр. 152.

<sup>14</sup> იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 154.

<sup>15</sup> იხ. ამის შესახებ: Г. И. Петров. Советское административное право, ч. об-щая, изд. ЛГУ, 1960 г., стр. 289—290.

ისიც, რომ ჩვენი სასამართლოები არ შეიძლება ჩავთვალოთ ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოებად, მათი საქმიანობა არაა დაკავშირებული ადმინისტრაციულ იუსტიციასთან.

მაგრამ საბჭოთა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში არ არსებობს არც სხვა სპეციალური ორგანო, რომლის დანიშნულებაცაა მხოლოდ ადმინისტრაციულ დავათა და გადაცდომის საქმეთა განხილვა. ჩვენში არ არსებობს სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოები, რომლებიც მხოლოდ აღნიშნული საქმეებით იქნებოდნენ დაკავებულნი. ჩვენი სახელმწიფოს ყველა ორგანო მშრომელთა ინტერესების გამომხატველია, ხოლო სახელმწიფო მმართველობა მიზნად ისახავს ხალხთა ფართო მასების ჩაბმას სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაში. ამიტომ მმართველობის სფეროში წამოჭრილი დავისა თუ დარღვევის გადაწყვეტა ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეებს და მათ მუშაობას მკვეთრად გამოხატული ადმინისტრაციული პროცესის ხასიათი აქვს, მაგრამ ეს კომისიები მაინც ვერ ჩაითვლებიან ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოებად. როგორც ამ კომისიების დებულებაშია აღნიშნული, მათი დანიშნულებაა მშრომელი მასების აღზრდა კანონიერების დაცვის სულისკვეთებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ამდენად ისინი წარმოადგენენ ფუნქციონალურ მმართველობის ორგანოებს.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული იუსტიცია საბჭოთა სახელმწიფოში არ არსებობს.

სასამართლო პროცესში გამოყენებული ზოგიერთი პრინციპი თავისებურ გამოხატულებას პოულობს ადმინისტრაციულ პროცესში, ან სრულიად არ გამოიყენება. მაგალითად, იმის გამო, რომ ადმინისტრაციული კომისია მხარეა გადაცდომის საქმეთა განხილვის პროცესში არ შეიძლება მას აცილება მიეცეს მეორე მხარის მიერ. ხოლო ისეთი პრინციპის განხორციელება, როგორცაა დამცველის მონაწილეობა საქმის განხილვაში, ადმინისტრაციულ პროცესში გამარტივებულ სახეს ღებულობს, კერძოდ, პროცესზე დამსწრე თვითველ პიროვნებას შეუძლია გამოვიდეს დამრღვევის ინტერესების ან სახელმწიფოს დარღვეული ინტერესების დასაცავად.

მაგრამ ინდივიდუალური ხასიათის საქმეთა განხილვას ყოველთვის ახასიათებს ზოგადი კანონზომიერებანი, რომელიც საერთოა როგორც სასამართლო საქმისწარმოებისათვის, ისე ადმინისტრაციული პროცესისათვის. ზოგჯერ სავსებით შესაძლებელია სასამართლო წარმოების ზოგიერთი პრინციპის გამოყენება ადმინისტრაციულ პროცესშიც.

კერძოდ საკითხი ეხება ადმინისტრაციულ პროცესში მოწმეთა და ექსპერტთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის დაწესებას ცრუ ჩვენებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით ა. ე. ლუნევი წერს: „მიზანშეწონილია დაკანონდეს ადმინისტრაციული სანქციების გამოყენების შესაძლებლობა ექსპერტის მიმართ, რომლებიც წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებას მისცემენ“.<sup>16</sup> ვეთანხმებით რა ავტორის ამ მოთხოვნას, უნდა შევიზიზნოთ, რომ ასეთი წესი უნდა ავტოკოლონს მოწმის მიერ ადმინისტრაციულ საქმეზე წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევებზეც.

ადმინისტრაციული პროცესის სხვა საკითხთა შორის გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე საკითხი ადმინისტრაციული წესით საქმის აღძვრის შესახებ.

რამდენადაც ადმინისტრაციული პროცესი წარმოადგენს ინდივიდუალური ხასიათის საქმეთა განხილვის პროცესს, ბუნებრივია მას განსაზღვრული საწყისი მომენტი უნდა ჰქონდეს, ანუ სხვაგვარად. საქმე უნდა იქნის აღძრული და მასზე წარმოება დაწყებული. ზოგი ავტორი ადმინისტრაციული წესით საქმის აღძვრას გამოყოფს ცალკე სტადიად, ზოგი კი აერთიანებს მას ადმინისტრაციულ გამოძიებასთან და ორივეს ერთ სტადიად წარმოავლიდგენს (მაგ. ბ. გ. სალიშჩევა).

რასაკვირველია, ადმინისტრაციული წესით საქმის აღძვრა და საქმის წინას-

<sup>16</sup> А. Е. Лунев, Вопросы административного процесса, «Правоведение» 1962 г., № 2, стр. 49.

წარი გამოკვლევა-გამოძიება ერთი სტადიაა ადმინისტრაციულ პროცესში. ეს გამოძიება ადმინისტრაციული პროცესის მარტივი ხასიათიდან, იქედან, რომ ადმინისტრაციული ინდივიდუალური საქმე მოითხოვს ოპერატიულ გადაწყვეტას, ხოლო მისი მარტივი შინაარსი ამის შესაძლებლობას იძლევა. ადმინისტრაციული წესით საქმის წარმოების დაწყების აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს ინდივიდუალური ხასიათის სათანადო ფაქტის არსებობა, რომლის დამტკიცებაც შეიძლება სათანადო შესწავლის საფუძველზე. ამდენად ადმინისტრაციული წესით საქმის აღძვრა ემთხვევა საქმის შინაარსის დადგენას და იგი არ შეიძლება ცალკე სტადიად წარმოვიდგინოთ ადმინისტრაციულ პროცესში.

ადმინისტრაციული წესით საქმის აღძვრას იწყებს სათანადოდ უფლებამოსილი ორგანო ან თანამდებობის პირი. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ ნ. გ. სალიშჩევას, რომელიც თვლის, რომ „საქმე აღძრულად ითვლება, თუკი შეტანილი საჩივარი (წერილობითი ან სიტყვიერი) რეგისტრირებულია შესაბამის სახელმწიფო ორგანოში კანონით დადგენილ ფორმებში (მაგ. საჩივრის წიგნში)“.<sup>17</sup>

საჩივრის განხილვა ამა თუ იმ ორგანოში შეიძლება ამ საჩივრის რეგისტრაციის გარეშეც და ეს უკანასკნელი ფაქტი გავლენას არ ახდენს საქმის გადაწყვეტის შედეგებზე.

რასაკვირველია, საქმის აღძვრის შემდეგ შესაძლებელია არ დადასტურდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციული ფაქტი, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას. ადმინისტრაციული წესით საქმის აღძვრას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია კონკრეტული ფაქტის დამადასტურებელი მოქმედება (მოცემულ შემთხვევაში თუკი შედგენილია ოქმი ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ). მაგრამ არც ერთი ორგანოსა თუ თანამდებობის პირის მოქმედება არაა დაზღვეული შეცდომისაგან და საქმის ხელმეორედ შემოწმებისა და განხილვის დროს შეიძლება არ დადასტურდეს ფაქტი. ამასთან საქმის პირველადი განხილვისას ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში ადგილი არა აქვს ადმინისტრაციული წესით საქმის აღძვრას და, მაშასადამე, არც ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას და არც მის შეწყვეტას. საქმის შესაწავლად შესრულებული მოქმედებანი ამ შემთხვევაში არ შეიძლება მიეკუთვნოს ადმინისტრაციულ პროცესს (იგი ორგანიზაციული საქმიანობის ფორმას წარმოადგენს). ხოლო ადმინისტრაციულ კომისიაში ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში ადგილი აქვს ადმინისტრაციული წესით საქმის წარმოების შეწყვეტას, ვინაიდან კომისიაში ინდივიდუალური საქმე გადაიციმა მხოლოდ მის აღძვრისა და ფაქტის დამადასტურებელი მოქმედების შესრულების შემდეგ. სწორედ ინდივიდუალური ფაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული პროცესის არსებობის საფუძველს და იქ, სადაც ადგილი არა აქვს ინდივიდუალური ხასიათის მქონე საქმეს, ადმინისტრაციული პროცესი უნდა შეწყდეს რომელიმე სტადიაზე ან საერთოდ არ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული პროცესი.

ადმინისტრაციული წესით საქმის არ აღძვრისათვის საკმარისი არაა სისხლის სამართლის პროცესში არსებული გარემოებანი საქმის არ აღძვრის თაობაზე. მაგ., ამინისტიის აქტის არსებობა განსაზღვრული სისხლის სამართლის საქმეებზე არ ნიშნავს მსგავს ადმინისტრაციულ საქმეებზე ადმინისტრაციული წე-

<sup>17</sup> იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 73.

სით საქმის აღძვრის შესაძლებლობას, როგორც ამას ა. ე. ლუნევი თვლის<sup>18</sup>. ადმინისტრაციული პროცესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდად განსხვავდება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესისაგან ძირითადად თავისი მარტივი ხასიათით, რის გამოც ხშირად სხვადასხვაა ის საფუძვლები, რომლებიც საქმის აღძვრის შესაძლებლობას იძლევიან პროცესის ამ სახეებში.

ადმინისტრაციული პროცესის საკითხების დაძუშავებას დიდად უწლის ხელს ის, რომ ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობა კოდიფიცირებული არ არის. რესპუბლიკური ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსების, ისევე როგორც მომავალი ადმინისტრაციული მატერიალური რესპუბლიკური კოდექსების მიღება, დიდად შეუწყობს ხელს ადმინისტრაციული პრაქტიკის გაუმჯობესებას და ადმინისტრაციული პროცესის თეორიული საკითხების შემდგომ დამუშავებას.

## მსიკანღოვანის\* მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საუბუქები

პ. ზახტაძე

საქართველოს სსრ მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის ორმოცდამეერთე თავი აწესრიგებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობიან ზიანის მიყენების შედეგად. კანონი პირს აკისრებს რა ქონებრივ პასუხისმგებლობას მის მართლსაწინააღმდეგო ქმედობის შედეგებაათვის, ამით ქმნის მართლზომიერი ქმედობის მატერიალურ სტიმულს.

სამოქალაქო პასუხისმგებლობას აქვს ორი მიზანი: აღადგინოს დაზარალებულს მატერიალური მდგომარეობა და აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინოს ზიანის მიყენებელ პირზე. საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის ეს მეორე — აღმზრდელობითი ფუნქცია სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ეს ფუნქცია სტიმულს აძლევს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს იმოქმედონ ისე, რომ არ მიაყენონ სხვა ზიანი.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება დავეთანხმოთ რ. ხალფინას, რომელიც სთვლის, რომ ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობა, სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან განსხვავებით, ქმნის პირის პასიურ ვალდებულებას არ მიაყენოს ზიანი გარეშე მყოფთ.<sup>1</sup>

სინამდვილეში ეს ვალდებულება ყოველთვის არ ატარებს „პასიურ“ ხასიათს. პირიქით, რიგ შემთხვევებში ეს ვალდებულება მეტად აქტიურ ხასიათს იძენს; მოითხოვს პირისაგან აქტიურ მოქმედებებს და სწორედ ამ პირის პასიურობას, უმოქმედობას უკავშირებს ზიანის დადგომას:

განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში ჩართვით პირი შესაძლოა ჩაყენებული იქნეს ისეთ პირობებში, რომ იგი გაბატონდება სოციალისტური მართლწესრიგის მიერ დაცული ობიექტებისათვის საშიშ ძალებზე. გამოერთვება რა ამ კანონზომიერებიდან და მისცემს რა ამით ამ ძალებს საშუალებას განვითარდნენ საზოგადოებრივად საშიში მიმართულებით, პირი თავისი უმოქმედობით განაპირობებს შედეგის დადგომას.<sup>2</sup>

სამოქალაქო პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მაშინ ახდენს აღმზრდელობით ზემოქმედებას. თუ იგი ბრალის პრინციპს ემყარება. იგულისხმება, რომ პირი, განიცდის რა თავისი ბრალეული მოქმედების უარყოფით შედეგებს, აკეთებს სათანადო დასკვნებს და ცდილობს შემდეგში აღარ ჩაიდინოს ასეთი მოქმედება. ბრალის პრინციპზე უარის თქმას კი მივყავართ პირის მიმართ უარყოფით მატერიალური შედეგების დადგომამდე მაშინაც, როდესაც მას არ შეეძლო თავიდან

\* მცირეწლოვანში ვგულისხმობთ თუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირს.

<sup>1</sup> Халфина Р. «Воспитательная роль гражданско-правовой ответственности в период развернутого строительства коммунизма» («Сов. гос. и право», 1963 г. № 6, стр. 75).

<sup>2</sup> Церетели Т. — Причинная связь в уголовном праве, 1957 г. стр. 205.

აეცდინა ზიანი, ე. ი. როდესაც ზიანის დადგომა მისი ნებისაგან არ იყო დაშორებული. პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევაში ვერ შეასრულებს აღმზრდელობით ფუნქციას.<sup>3</sup>

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე კანონმდებელი, როდესაც მიყენებული ზიანისათვის თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის პასუხისმგებლობას საფუძვლად დაუდო ბრალის პრინციპი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანი პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მისი მშობლები, შვილად აძყვანნი ან მეურვე, თუ ისინი ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანის მიყენებაში მათ ბრალი არ მიუძღვით.

ბრალის პრინციპს ემყარება აგრეთვე სასწავლო დაწესებულების, სააღმზრდელო ან სამკურნალო დაწესებულების პასუხისმგებლობა მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის.

464-ე მუხლში მშობლის ბრალი პრეზუმირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ბრალი არსებულად იგულისხმება მანამ, სანამ მშობელი არ დაამტკიცებს, რომ მისი ბავშვის მიერ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის.

ბრალს, როგორც ცნობილია, ორი ფორმა აქვს — განზარხვა და გაუფრთხილებლობა.

სისხლის სამართლის მიხედვით ცნობილია, რომ თუ პირი დანაშაულებრივი შედეგის დასადგომად განზრახ მოქმედებას ჩაადენინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველს, მაშინ ეს პირი პასუხს აგებს როგორც ამსრულებელი. ითვლება, რომ შედეგი უშუალოდ მისი მოქმედებითაა დამდგარი. ბავშვი აქ მხოლოდ დანაშაულის იარაღის როლს ასრულებს.

იგივე წესი უნდა იქნას გამოყენებული სამოქალაქო დელიქტის დროსაც. თუ ზიანი მცირეწლოვანის მიერ მიყენებულია მშობლის განზახვით, მაშინ მშობელმა პასუხი უნდა აგოს არა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 464-ე მუხლით, არამედ ამავე კოდექსის 457-ე მუხლით, როგორც ზიანის უშუალოდ მიმყენებელმა, რადგან, ასეთ შემთხვევაში მცირეწლოვანი მხოლოდ იარაღია ზიანის მიყენებაში.

ამრიგად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 464-ე მუხლში იგულისხმება მშობლის ბრალის ძხოლოდ ერთი ფორმა — გაუფრთხილებლობა. (ცხადია, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალს ვიგულისხმებთ კონკრეტული ზიანის მიმართ და არა საერთოდ აღზრდის მიმართ. აღზრდა განზრახვად შეიძლება ცუდი იყოს, მაგრამ ეს ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო არ არის. ჩვენ გვინტერესებს ბრალი კონკრეტული შედეგის, კონკრეტული ზიანის მიმართ. ბრალმა სწორედ ამ ზიანში უნდა ჰპოვოს გარეგანი გამოხატულება: ბრალი არის დამოკიდებულება ქმედობის გარეგან თვისებებთან და იმ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, რომლის მიყენებაზეც მიმართულია მოქმედება.<sup>4</sup>

<sup>3</sup> Халфина Р. — Воспитательная роль гражданско-правовой ответственности в период развернутого строительства коммунизма («Сов. гос. и право», 1963 г. № 6, стр. 77). მშობლებთან ერთად იგულისხმება მშვილებლები და მეურვე.

<sup>4</sup> Макашвили В. Г. — Уголовная ответственность за неосторожность, 1957 г. стр. 7.

მთელი რიგი ავტორები თვლიან, რომ მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენების დროს მშობლის ბრალი გამოიხატება ბავშვის არასათანადო აღზრდაში.

თქმა, რომ მშობლის ბრალი მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენებისას ცუდ აღზრდაში გამოიხატება, ნიშნავს იმას, რომ ვალიაროთ, ზიანის მიყენება მცირეწლოვანის პიროვნების გამოვლინებაა. ეს კი არასწორია. არ შეიძლება ვილაპარაკოთ ბავშვის „პიროვნებაზე“ და ამ „პიროვნების გამოვლინებას, მაშინ ჩვენ, ნებით თუ უნებლიეთ, გადმოვიტანთ ბავშვზე შინაგან სამყაროს და განვიხილავთ ამ ქმედობას როგორც მთელი მისი პიროვნების გამოვლინებას, მაშინ ჩვენ, ნებით თუ უნებლიეთ, გადმოვიტანთ ბავშვზე დებულებებს ბრალის შესახებ. მართლაც, ბრალი გამოიხატება პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებაში მართლსაწინააღმდეგოდ მიყენებულ შედეგთან. ეს კი იძლევა საშუალებას ჩადენილი ქმედობა დავუკავშიროთ პირის შინაგან სამყაროს და განვიხილოთ ქმედობა როგორც მთელი მისი პიროვნების გამოვლინება.<sup>5</sup>

ცხადია, არ შეიძლება უგულებელვკოთ ბავშვის ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედებისადმი, რადგან ის ობიექტურად არსებობს, მაგრამ მას ჯერ ერთი, ბრალის შინაარსი არა აქვს და, მეორეც, რაც ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა, იგი არ არის ბავშვის „მთელი პიროვნების გამოვლინება“, რადგან თვით ეს პიროვნება, როგორც ჩამოყალიბებული რამ, ჯერ არ არსებობს.

ბავშვის შინაგანი ბუნება (მომავალი „პიროვნება“) ასე ვთქვათ, ძიებაშია, მას ჯერ ძირითადი მიმართულება საბოლოოდ არა აქვს არჩეული და ამ „ძიებაში“ თუ ბავშვი პირს ზიანს მიაყენებს, არ შეიძლება საბოლოო დასკვნა გავაკეთოთ მის ავ-კარგიანობაზე. (სწორედ ამიტომ არის დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ გარკვეული ასაკის მიღწევისას).

ბავშვის ვერავითარი კარგი აღზრდა, შინაგანი ბუნების, ფსიქიკის ჩამოუყალიბებლობის გამო ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ გარედან ჩართული რაიმე ფაქტორი არ გადასწევს მას უარყოფითი მიმართულებით.

გარე ფაქტორზე მითითება კი მშობლის ბრალს ყოველთვის ვერ მოხსნის, რადგან იგი შეიძლება არ იყოს ისე აშკარა, როგორც, მაგალითად, მოზრდილი დამნაშავეს ბოროტი ზემოქმედება, არამედ თავისთავად ისეთი დადებითი ფაქტორებიც კი, როგორიცაა წიგნი, კინო და სხვა.

გაზეთი „იზვესტია“ გააულ წელს აღნიშნავდა, რომ მოსკოვის კინო-თეატრებში ამერიკული ფილმის „შესანიშნავი შვიდეულის“ გამშვების შემდეგ საგრძნობლად იმატა არასრულწლოვანთა შეიარაღებისა და თავდასხმების რიცხვმა.

შეიძლება ვთქვათ, რომ მშობელს ასეთ ფილმზე ბავშვი არ უნდა გაეშვა. მაგრამ, ცნობილია, რომ ჩვეულებრივად, მშობელს ნაკლები საშუალება აქვს ფილმი ჯერ თვითონ ნახოს და ისე შეურჩიოს ბავშვს. მეორეც, ამ ფილმის ნახვა ბავშვებს არც ფორმალურად ეკრძალებოდათ.

ან, შეიძლება ითქვას, რომ მშობელს მორალურად უფრო მყარი ბავშვი რომ აღეზარდა, ეს ფილმი მასზე უარყოფილ გავლენას ვერ მოახდენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ის რჩება გაუთვალისწინებელი, რომ ბავშვის შინაგანი ბუნებისათვის, ფსიქიკისათვის სწორედ რომ უმყარობაა დამახასიათებელი. ამის გამო-რიცხვა ბავშვის ბუნების გამორიცხვას ნიშნავს.

<sup>5</sup> Макашвили В. Г. — Уголовная ответственность за неосторожность, 1957 г. стр. 5.

როგორც პროფ. ა. პიონტკოვსკი აღნიშნავს, დანაშაულის ჩადენა თვით მოზრდილი პირის მიერაც კი არ არის ყოველთვის მისი შინაგანი ბუნების გამოხატვა და ის შეიძლება განსაკუთრებულ გარემოებათა დამთხვევის შედეგი იყოს.<sup>6</sup>

მაშინ რაღა უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ ბავშვის მიერ ზიანის მიყენება ყოველთვის არის მისი შინაგანი ბუნების გამოვლენა? სხვანაირად რომ ვთქვათ, ბავშვის მიერ ზიანის მიყენება ყოველთვის როდის აღზრდის ავ-კარგიანობის შედეგი.

ამასთან, დანაშაული რომ არც ჩაითვალოს პირის შინაგანი ბუნების გამოვლინებად და მიჩნეული იქნეს „შემთხვევითად“, რისთვისაც დაედოს მას პირობითი მსჯავრი ან სულაც გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, ეს მას არ გაათავისუფლებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან. ზიანის მიყენება ასეთ „შემთხვევით“, განსაკუთრებულ გარემოებებში მაინც იწვევს მატერიალურ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ის არის ამ პირის შინაგანი ბუნების გამოხატულება.

ანალოგიურად, თუ მცირეწლოვანმა ზიანი მიაცენა ისეთ გარემოებებში, როდესაც ჩანს, რომ ეს მოქმედება ამ პირზე მშობლის ზოგად აღმზრდელობითი ზემოქმედების გამოხატულება არ არის, მაინც დადგება მშობლის მატერიალური პასუხისმგებლობა.

მშობლის უფლება ამტკიცებს, რომ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის, სრულიადაც არ ნიშნავს უფლებას იმის მტკიცებისა, რომ ზიანის მიყენება ბავშვის ბუნების გამოვლინება არ იყო და ეს „შემთხვევით თავმოყრილ განსაკუთრებულ გარემოებათა შედეგია“.

ამის მტკიცება მშობლის პასუხისმგებლობას არ მოხსნის. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მშობლის პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს ის გარემოება, რომ მოცემული ბავშვის ბუნება კარგი თვისებისაა და რომ ეს კარგი ბუნება სწორედ მისი — მშობლის კარგი აღმზრდელობითი გავლენის შედეგია.

მშობლის ბრალს თუ იმაში დავინახავთ, რომ ის ცუდი აღმზრდელია, ეს ფორმალურს გახდიდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 464-ე მუხლით მშობლისათვის მინიჭებულ უფლებას ამტკიცოს, რომ მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის.

შესაძლებელია დავადგინოთ, რომ მოცემული მშობელი ცუდი აღმზრდელია, მაგრამ შეუძლებელია იმის დადგენა, რომ იგი კარგი აღმზრდელია. აღზრდის ისეთი გარეგანი ნიშნები, როგორცაა კარგი კვება, ჩაცმა, ბავშვის კარგი აკადემიური მოსწრების მიღწევა და სხვა, ჯერ კიდევ როდის ამტკიცებს, რომ მშობელი კარგი აღმზრდელია.

ეს გარეგნული ნიშნები რიგ შემთხვევებში შესაძლოა ფაქტიურად ცუდ აღზრდას ფარავდნენ ან ცუდი აღზრდის საშუალებებაც კი იყვნენ.

აღზრდა პირველ რიგში სულიერ ურთიერთობებში გამოიხატება, რაც საბუთებს არ ტოვებს.

ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებები მოზარდის ამა თუ იმ ქცევის მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო წყაროა.

<sup>6</sup> Пионтковский А. — Учение о преступлении по советскому уголовному праву, 1961 г. стр. 247.



ოჯახური აღზრდის ზეგავლენა არ შეიძლება განვიხილოთ იზოლირებულად იმ სხვა ფაქტორებისაგან, რომელთა გავლენითაც ყალიბდება პიროვნების მორალური სახე. ამ ფაქტორებს შეუძლიათ მოახდინონ უარყოფითი ოჯახური პირობების გავლენის ნეიტრალიზება ან პირიქით, გააძლიეროს ეს გავლენა, ანდა, უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ოჯახის დადებითი ზეგავლენის მიუხედავად. ყოველ სოციალურად ნაკლოვან ოჯახში აუცილებლად როდი გაიზრდება სამართლის დამრღვევი. ამასთან, შესაძლოა ასეთი მოხდეს, მიუხედავად სრულიად ჯანსაღი ოჯახური პირობებისა.<sup>7</sup>

არ არის სწორი მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენება ყოველთვის მიზეზობრივად დაუფკვეშიროთ ოჯახურ აღზრდას.

ასეთ შემთხვევებში ერთმანეთში ურევენ კონკრეტული ზიანის მიზეზსა და ზიანის მიყენების ზოგადი შესაძლებლობის წარმოშობის ხელისშემწყობ პირობებს.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისას ეს გარკვეულია: როდესაც დახაშაულის მაზეზებზე ვლაპარაკობთ ეს არ არის ის მიზეზი, რომელიც იგულისხმება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კონკრეტულ მიზეზობრივ კავშირში.

მართლაც, ერთია დანაშაულის მიზეზი (დანაშაულის, როგორც მთლიანი მოვლენის, დანაშაულის მთელი შემადგენლობის), მეორეა კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგის მიზეზი. ასე მაგალითად, ლოთობა შეიძლება მკვლელობის მიზეზი იყოს, ხოლო მოცემული პირის სიკვდილის მიზეზი კი იქნება მკვლელის მოქმედება და არა ლოთობა.

ასევე აღზრდის ავ-კარგიანობა ერთ-ერთი მიზეზია მცირეწლოვანის ქცევისა საერთოდ, მაგრამ ეს კიდევ ვერ იძლევა პასუხს იმაზე, თუ მშობლის უშუალოდ რომელი ქმედობა არის მიზეზი ბავშვის მიერ მიყენებული ზიანისა. სამართლებრივად საინტერესო მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს მშობლის კონკრეტულ ქმედობასა და მიყენებულ ზიანს შორის და ამიტომ. არ შეიძლება დავეკმაყოფილოდეთ მხოლოდ მცირეწლოვანის მოქმედების მიზეზობრივი ხასიათის დადგენით.

ცუდი აღზრდა ზოგადად, მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენების ალბათობას ქმნის. ეს ალბათობა გამორიცხული არ არის დადებითი ოჯახური აღზრდისასაც. ზიანის მიყენების მიზეზი კი არის მშობლის ის კონკრეტული ქმედობა, რომელიც ქმნის ამ ზიანის დადგომის არა ალბათობას, არამედ რეალურ შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ დავადგინოთ მშობლის სახელდობრ რომელი ქმედობაა მცირეწლოვანის მიერ მიყენებული ზიანის მიზეზი, საჭიროა დაუბრუნდეთ მშობლის ბრალის შინაარსის გარკვევას. როგორც აღვნიშნეთ, მშობლის ბრალი გაუფრთხილებლობაში გამოიხატება.

გაუფრთხილებლობის ცნება განსაზღვრულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლში: დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფმტუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვა-

<sup>7</sup> Сахаров А. — О личности преступника и причинах преступности в СССР, 1961 г. стр. 105.

ლისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა ვთვალიწინებინა და შეეწლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი.

გაუფრთხილებლობის ეს განსაზღვრა მთლიანად გამოსადეგია სამოქალაქო სამართლისათვისაც.

მაგრამ ისმის კითხვა: პირის ვარაუდს თავიდან აიციდნოს შედეგი როდის აქვს ქარაფშუტული ხასიათი და როდისაა ვარაუდი საფუძვლიანი, რომელიც გამორიცხავს პირის ბრალს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გაირკვეს დაარღვია თუ არა პირმა მასზე დაკისრებულ ვალდებულება, იყოს წინდახედული იმ ობიექტების მიმართ, რომლებთანაც დაკავშირებულია მისი მოქმედება. ამრიგად, დახაზულებრივი თვითმედოვნებისათვის პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს წინდახედულობის განსაზღვრული ნორმების შეუსრულებლობა, ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის დროს.<sup>8</sup>

როგორც ჩანს, გაუფრთხილებლობისას ადგილი აქვს სიფრთხილის განსაზღვრული ნორმების შეუსრულებლობას და გადაჭარბებული იქნებოდა ამ ნორმებში მთელი აღმზრდელობითი ურთიერთობები ვიგულისხმით.

ცხადია, რომ სწორი მხოლოდ ის იქნება, რომ მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენებისას მშობლების ბრალიც ვეძიოთ ურთიერთობათა განსაზღვრული ნორმების შეუსრულებლობაში, რამაც შექმნა მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენების რეალური შესაძლებლობა.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არა თუ არ ზღუდავს მშობლის პასუხისმგებლობას, არამედ, პირიქით, საგრძნობლად ზრდის კიდევ მას, რადგან ასეთ შემთხვევაში მშობლისათვის საკმარისი არ არის ბრალის უარსაყოფად ამტკიცოთ ის, რომ იგი ცუდი აღმზრდელი არ არის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლში მშობლის ბრალი ნაგულისხმევია, მაგრამ ეს სრულიად არ უხსნის სასამართლოს იმის ვალდებულებას, რომ შეეცადოს დაადგინოს კონკრეტულად მშობლის ქცევის რა ხარვეზში გამოიხატა მისი ბრალი. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია 464-ე მუხლის აღმზრდელობითი ფუნქცია მშობლამდე არც დავიდეს.

ამრიგად, რომელი ნორმებიანის „განსაზღვრული ნორმები“, რომელთა შეუსრულებლობა ბრალად შეერაცხვის მშობელს მისი მცირეწლოვანი შვილის მიერ ზიანის მიყენებისას? მშობლის რომელი კონკრეტული მოქმედებაა ზიანის მიზეზი? †

მშობლის ყოველი მოქმედება გარკვეულ ავკარგიან აღმზრდელობით შემოქმედებას ახდენს ბავშვზე. ყოველ მოქმედებას მშობელი განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადის, მაგრამ ბრალი ამ განზრახვებისა და გაუფრთხილებლობის ჯამი, კარჩაკეტილი შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობა როდია. ბრალი ფსიქიკური დამოკიდებულებაა მოქმედების და შედეგის მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრალი აუცილებლად უნდა გამოვლინდეს პირის მოქმედებაში. მოქმედების (უმოქმედობის) გარეშე არ შეიძლება ბრალზე ლაპარაკი.

ამ გაგებით აღზრდა მოქმედება არ არის. მშობელი აღზრდის ბავშვს არა

<sup>8</sup> Макашвили В. — Уголовная ответственность за неосторожность. 1957 г. стр. 23.



რაიმე კონკრეტული მოქმედებით ან მოქმედებათა წინასწარ შემუშავებული სისტემით, არამედ მთელი თავისი ცხოვრების წესით, თავისი პიროვნებით. აღზრდა მშობლის პიროვნების, მთლიანად როგორც ასეთის, შემოქმედებაა ბავშვზე. აღზრდა არ ნიშნავს ისეთ ღონისძიებათა ჩატარებას, რომელთაც შეუძლიათ ერთბაშად მოგვცენ სასურველი შედეგი. ბავშვის აღზრდა არა მარტო მრავალმხრივი, არამედ ხანგრძლივი პროცესიცაა.

აღზრდის პროცესს გარკვეული დასასრული არა აქვს — ის გრძელდება მოზრდილთა მიმართაც. ამასთან, კანონი, აწესებს რა ასაკს, რომლიდანაც პირი ქმედობაუნარიანი ხდება, ამით მიუთითებს მშობელს, რომ მას გარკვეული ვადა ეძლევა, რათა მოამზადოს საზოგადოების ღირსეული წევრი. ამიტომ, როდესაც ჩვენ 2—5 წლის ბავშვის მიერ ზიანის მიყენებისას მშობელს ბრალს ვდებთ არასაკმაო აღზრდაში, მას სრული საფუძველი აქვს გვიპასუხოს, რომ უმართებულოა მოვთხოვოთ მას, რომ 2—5 წლის ასაკის ბავშვის მიმართ მას უკვე დასრულებული ჰქონდეს ის აღმზრდელი მუშაობა, რომელიც თვით კანონით გაცილებით მეტ წლებზეა გათვალისწინებული. მართლაც, იდეალურ მშობლის შვილიც კი არ შეიძლება 2—5 წლის ასაკში ისე აღზრდილად ჩავთვალოთ, რომ ეს აღზრდა გამორიცხავდეს ბავშვის მიერ ზიანის მიყენებას. ამ შემთხვევაში სრულიად უგულვებელყოფილი იქნებოდა ბავშვის ფსიქიკის ობიექტური თავისებურებები, მისი უმყარობა და სხვა.

სწორედ ბავშვის ფსიქიკის თავისებურებები, მისი ჩამოუყალიბებლობა, უმყარობა, რომლებიც იდეალური აღზრდის დროსაც კი არ გამორიცხავენ ბავშვის მიერ ზიანის მიყენებას, მოითხოვენ მშობლისაგან უფრო მეტსა და უფრო კონკრეტულს, ვიდრე ზოგადად აღზრდაა.

ეს არის ზედამხედველობა, რომელსაც აუცილებლად საჭიროებს ყველა მცირეწლოვანი, იდეალურად აღზრდილი ბავშვების ჩათვლით.

ბავშვის ქცევაზე მრავალი მიზეზი მოქმედებს, მაგრამ თუ მშობელი ზედამხედველობას უწევს მას, ამით იგი თრგუნავს ისეთ მიჯღენათა გავლენას, რომელთაც ბავშვზე უზედამხედველობის შემთხვევაში შეეძლოთ გამოეწვიათ ბავშვის მიერ ზიანის მიყენება. „ზედამხედველობის“ გამოთიშვა მიზეზობრიობის ჯაჭვიდან ხელს უხსნის სხვა მიზეზებს, რათა იმოქმედონ ბავშვის ქცევაზე. ეს შემოქმედება კი შეიძლება უფრო ძლიერი აღმოჩნდეს ვიდრე აღზრდითი ჩვევები. მეორეს მხრივ „ზედამხედველობით“ შეიძლება დაითრგუნოს თვით უარყოფითი აღზრდის ჩვევებიც.

ამრიგად, სწორედ უზედამხედველობა არის გადამწყვეტი, ძირითადი მიზეზი მცირეწლოვანის ცუდი ქცევისა და მის მიერ ზიანის მიყენებისა.

მაგრამ რატომ აგებს პასუხს უზედამხედველობისათვის სწორედ მშობელი (მეურვე, შვილად ამყვანი) და არა სხვა ვინმე?

მშობელი, რომელიც ზედამხედველობას არ უწევს ბავშვს, უმოქმედობს იურიდიული გაგებით. უმოქმედობა მიზეზობრივი ხასიათისაა მაშინ, როდესაც:

ა) განსაზღვრული ქმედობა კანონზომიერად მოსალოდნელი იყო პირისაგან იმ ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად, რომლებიც მას დაკისრებული ჰქონდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა კონკრეტულ სფეროში.

ბ) მოცემულ პირს შეეძლო მისგან მოსალოდნელი ქმედობის შესრულება.

გ) ამ მოსალოდნელ და შესაძლო ქმედობის შესრულებას შეეძლო აცდინა მოცემული საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა.<sup>9</sup>

აწრივად, მცირეწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს ის, ვისაც ამ მცირეწლოვანზე ზედამხედველობა ევალებოდა. ასეთი ვალდებულება კი სწორედ მშობელს (შვილად ამყვანს, მეურვეს) აწევს. ხოლო მაშინ როდესაც მცირეწლოვანი სასწავლო, საადმინისტრაციო ან სამკურნალო დაწესებულებების ზედამხედველობაში იმყოფება, მიზეზობრიობის ჯაჭვში მშობლის ადგილს ეს დაწესებულება იჭერს: მას ევალება ზედამხედველობა.

მცირეწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის მშობლის პასუხისმგებლობა რომ დასაბუთდეს, საჭიროა გაიჩვენოს „ზედამხედველობის“ ზუსტი შინაარსი. არ არის საერთო აზრი „ზედამხედველობის“ შინაარსის გაგებაში. აქ ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე — „ზედამხედველობის“ ზედმეტად ვიწრო გაგებასთან და ზედმეტად ფართო გაგებასთან.

ზოგი ავტორის მიერ „ზედამხედველობა“ გაგებულია როგორც ბავშვზე მეთვალყურეობა უშუალოდ ზიანის მიყენების მომენტში. ცხადია, რომ ასეთი გაგებისას „უზედამხედველობა“ მშობლის პასუხისმგებლობის საფუძვლად არ გამოდგება: არ შეიძლება მშობელი ვალდებული გახდეთ ყოველ კონკრეტულ მომენტში უშუალოდ თვალყური ადევნოს ბავშვს, თავზე ადგეს მას;

„ზედამხედველობის“ ფართოდ გაგებისას მასში გულისხმობენ მთლიანად აღზრდის პროცესს ე. ი. ფაქტიურად აღზრდასთან აიგივებენ მას.

ზედამხედველობისა და აღზრდის ასეთ გაიგივებას მიეყვარათ ბრალის სამართლებრივი ცნების მორალურ ბრალში გათქვეფამდე.

ზედამხედველობისა და აღზრდის გაიგივების შემდეგ მოულოდნელი აღარ არის, როდესაც ლ. შაიდანიკი ასეთ დასკვნას აკეთებს: „ბავშვის მიერ ზიანის მიყენებელი ქმედობის ჩადენის კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა გამოირიცხოს იყოს მშობლის ბრალი ბავშვზე არასათანადო ზედამხედველობაში, მაგრამ იგი, შესაძლოა წინ უსწრებდეს ზიანის მიყენების მომენტს და მდგომარეობდეს ბავშვის არასათანადო აღზრდაში.<sup>10</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღზრდაში ბრალი არ არის სამართლებრივი, ეს ბრალი მორალურია და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად არ გამოდგება.

ზედამხედველობის ვალდებულებაში უნდა ვიგულისხმოთ მშობლის ვალდებულება უზრუნველყოს ბავშვის ყოფნა ისეთ ვითარებაში, რომელიც გამოირიცხავს ზიანის მიყენებას. მშობლის ბრალი გამოიხატება იმაში, რომ იგი მცირეწლოვანს ჩააყენებს ან მიატოვებს ისეთ ვითარებაში, როდესაც იქმნება ბავშვის მიერ ზიანის მიყენების რეალური საფრთხე.

ბავშვმა რომ სახლიდან ასანთი გაიტანოს და მეზობლის ქონებას ცეცხლი წაუჩიოდოს, მშობლის ბრალი არც იმაში გამოიხატება, რომ იგი ცეცხლის წაქიდების მომენტში თავზე არ ადგა ბავშვს (ზედამხედველობა ვიწრო გაგებით) და

<sup>9</sup> Церетели Т. В. — Причинная связь в уголовном праве, 1957 г. стр. 205.

<sup>10</sup> Майданик Л. — Ответственность за вред, причиненный недееспособными («Соц. законность», 1962 г. № 7, стр. 33).  
 об. აგრეთვე Майданик, Сергеева — Материальная ответственность за повреждение здоровья. 1962 г. стр. 78.

არც იმაში რომ ის საერთოდ ცუდად ზრდიდა ბავშვს (ზედამხედველობაში თუ გაგებით).

მშობლის ბრალი კონკრეტულად აქ იმაში გამოიხატება, რომ მან თავისი დაუდევრობით ასანთი ბავშვისათვის ხელმისაწვდომი გახადა, ე. ი. იმაში, რომ თავისი დაუდევრობით ბავშვი ჩააყენა ისეთ ვითარებაში, როდესაც შეიქმნა რეალური საფრთხე მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენებისა.

ხომ არ ამცირებს „ზედამხედველობის“ ასეთი გაგება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 464-ე მუხლის მასტიმულირებელ, აღმზრდელობით ფუნქციას? სრულიადაც არა, რადგან მშობლის ვალდებულება კონტროლი გაუწიოს იმას, თუ ბავშვი რა ვითარებაში იმყოფება, მისი საერთო აღმზრდელობითი ვალდებულების ნაწილია.

მშობლის პასუხისმგებლობის საფუძვლის ასეთი გაგება ზრდის ამ პასუხისმგებლობის დონეს, რადგან იგი უსპობს მშობელს იმის საშუალებას, რომ თავისი ბრალი უარყოს ბავშვის ზოგადად კარგ აღზრდაზე მითითებით.

ზოგადად გაგებულ ბავშვის კარგი აღზრდა, საკმარისი არ არის მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენებისას მშობლის ბრალის უარსაყოფად. ბრალის უარსაყოფად მშობელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ბავშვის იმ კონკრეტულ ვითარებაში ჩაყენებას ან მიტოვებაში, რომელშიც შეიქმნა მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენების რეალური შესაძლებლობა.

ამრიგად, მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენების რეალურ საფრთხეს. რეალურ შესაძლებლობას თვით მშობლის კონკრეტული ქმედობა ქმნის — ის ქმედობა, რომლის შედეგად წარმოიშობა ბავშვის მიერ მატერიალური ზიანის მიყენების რეალური საფრთხე.

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

1. თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ბრალის პრინციპზეა აგებული.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 464-ე მუხლით პასუხისმგებელი პირის ბრალი გარეგან გამოხატულებას პოულობს კონკრეტულ ქმედობაში: იმაში, რომ ეს პირი მცირეწლოვანს ჩააყენებს ან მიატოვებს ისეთ კონკრეტულ ვითარებაში, რომლითაც იქმნება ზიანის მიყენების რეალური საფრთხე.



# სვლიდახანი და დამაჯიხანი საქაროველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულებაში

მ. კოვახიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
იურიდიული კომისიის ადვოკატურის განყოფილების გამგე,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით 1965 წლის 28 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ 1965 წლის 19 ოქტომბერს.

მოქმედ დებულებაში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები.

დებულების მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ „გ“ და „დ“ პუნქტებით დადგენილია ის გზები, რომლებითაც ადვოკატთა კოლეგიები მათზე დაკისრებულ ამოცანებს ასრულებენ.

კერძოდ, მე-5 მუხლის „დ“ პუნქტით დადგენილი იყო სასამართლოსა და არბიტრაჟში სამოქალაქო საქმეების განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა მოქალაქეთა, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დავალებით.

ამჟამად ამ პუნქტს დაემატა, რომ მოქალაქეთა, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციების დავალებით კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადვოკატი მონაწილეობს ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობის გზით.

ამრიგად, ამ პუნქტის შესაბამისად ადვოკატი არა მარტო სასამართლოში და არბიტრაჟში ღებულობს მონაწილეობას სამოქალაქო საქმეების განხილვაში, არამედ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციულ ორგანოებშიც.

მოქმედი დებულების მეექვსე მუხლში ზოგადად იყო ნათქვამი, რომ ადვოკატთა კოლეგიების საერთო ხელმძღვანელობას და მათი საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია. ამჟამად ეს მუხლი ჩამოყალიბებულია ახალი რედაქციით და ზუსტად არის განსაზღვრული იურიდიული კომისიის უფლება-მოვალეობანი ადვოკატთა კოლეგიების ხელმძღვანელობის საქმეში. ამ მუხლით დადგენილია, რომ იურიდიული კომისია ამოწმებს ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმისა და იურიდიული კონსულტაციების საქმიანობას, აგრეთვე ცალკეული ადვოკატების მუშაობას და ისმენს მათი საქმიანობის ანგარიშს; ახორციელებს კონტროლს ადვოკატთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისადმი; გააჩნდა ადვოკატურიდან იმ პირებს, რომლებიც თავიანთი მორალური და საქმიანი თვისებებით არ არიან ღირსნი იყვნენ ადვოკატურაში; აწყობს ადვოკატთა ატესტაციას საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით; ამტკიცებს ადვოკატთა კოლეგიების რიცხობრივ შემადგენლობას; გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის ზომებს კოლეგიების პასუხისმგებელი მუშაკებისა და



ადვოკატების მიმართ, განაზოგადებს ადვოკატთა კოლეგიების მუშაობის პრაქტიკას და ავრცელებს ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმის, იურიდიული კონსულტაციებისა და ცალკეული ადვოკატების მუშაობის დადებით გამოცდილებას; განიხილავს ადვოკატთა საჩივრებს დისციპლინურ საქმეებზე და უფლება აქვს გააუქმოს მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი; გამოსცემს ინსტრუქციებსა და სხვა აქტებს ადვოკატურის საქმიანობის საკითხებზე.

საბჭოთა ადვოკატურის არსებობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც საკანონმდებლო წესით ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ავტონომიური ოლქის აღმასკომს დაეკისრათ კონტროლის გაწევა ადვოკატურის საქმიანობისადმი.

ამიტომ ადვოკატთა კოლეგიების მოქმედებულეებს დაემატა ახალი მუხლი — 6-ა. ამ მუხლით დადგენილია, რომ აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტი კონტროლს უწევენ ადვოკატურის საქმიანობას, ამტკიცებენ იურიდიული კონსულტაციების დისლოკაციას, წინადადებით შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიულ კომისიაში იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ამ უკანასკნელის კომპეტენციას ეკუთვნის.

მოქმედი დებულების მე-9 მუხლს, რომლითაც ადვოკატთა კოლეგიაში წევრად მიღებას, კოლეგიიდან გათავისუფლებას და გარიცხვას ახდენს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, დაემატა ორი აბზაცი იმის შესახებ, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიღების ყოველ შემთხვევას ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში შვიდი დღის ვადაში აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას. ამ უკანასკნელს კი უფლება აქვს წევრად მიღების შესახებ ცნობის მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში გაათავისუფლოს ადვოკატურიდან ის პირი, რომელიც მიღებულია ადვოკატთა კოლეგიების დებულების დარღვევით.

მოქმედი დებულების მე-12 მუხლს დაემატა ახალი აბზაცი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებით ადვოკატი თანახმად მისი თხოვნისა შეიძლება გადაყვანილ იქნეს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქმედ ადვოკატთა ერთი კოლეგიიდან მეორეში და ამ შემთხვევაში მას შეუნარჩუნდება მუშაობის უწყვეტი სტაჟი.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მოქმედი დებულების მე-13 მუხლი. ამ მუხლით ადრე ზოგადად იყო დადგენილი იურიდიული კომისიის თავმჯდომარის უფლებები ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ კოლეგიის წევრად მიღებაზე უარის თქმის, კოლეგიიდან ამორიცხვის ან გარიცხვის თაობაზე საჩივრის გადაწყვეტის დროს.

ამჟამად ამ მუხლით დადგენილია მხოლოდ კოლეგიის წევრად მიღებაზე უარის თქმის ან კოლეგიიდან გათავისუფლების თაობაზე საჩივრის შეტანის წესი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში. იურიდიულ კომისიას ასეთ საჩივართან დაკავშირებით შეუძლია გააუქმოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილება კოლეგიის წევრად მიღებაზე უარის თქმის ან კოლეგიიდან გათავისუფლების შესახებ, ან გადასცეს საჩივარი ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს ხელახალი განხილვისათვის.

იურიდიული კომისიის გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა დებულების მე-15 მუხლი, უფრო სრულყოფილია ამ მუხლის პირველი აზნაცი, გარდა ამისა მას დაემატა ახალი, მეორე აზნაცი, რომ ადვოკატი მოვალეა მიიღოს აქტიური მონაწილეობა საბჭოთა კანონმდებლობის პრობაგანდაში, დახმარება გაუწიოს ამხანაგურ სასამართლოებსა და ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს.

დებულების მე-16 მუხლს, რომელიც ადგენს თუ რა დროს არ შეუძლია ადვოკატს მიიღოს დავალება, დაემატა, რომ იგი ვერ მიიღებს დავალებას თუ აღრეამა თუ იმ საქმეში მონაწილეობდა, როგორც თარჯიმანი, თანამოწმე ან სასამართლო სხდომის მდივანი.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა დებულების 24-ე მუხლი. ამ მუხლით დადგენილია, რომ აფხაზეთის და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიები იწვევენ საერთო კრებებს, ხოლო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგია — კონფერენციას.

დებულების 25-ე მუხლით დადგენილია, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრთა კონფერენცია მოიწვევა იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი დაადგენს.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრების ნაცვლად კონფერენციის მოწვევის დაწესება იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგია თავის რიგებში აერთიანებს 500-ზე მეტ ადვოკატს და საერთო კრებაზე მათი მოწვევა დაკავშირებული იყო დიდ სიძნელებთან.

ამ მუხლითვე დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონსა და მოქმედ დებულებას, იგი შეიძლება გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა დებულების 26-ე მუხლი, რომლითაც რეკლამენტირებულია ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) უფლება-მოვალეობანი.

ამ მუხლის „ა“ პუნქტით დაწესებულია, რომ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის არჩევნები ხდება ღია კენჭისყრით.

დებულების 26-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტები აგებულებისა და შინაარსის მსგავსების გამო გაერთიანდა ერთ „გ“ პუნქტად. ამ მუხლის „დ“ პუნქტში განსაზღვრულია პროფკავშირულ ორგანოებთან დამოკიდებულება და აღნიშნულია, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია) ადვოკატთა კოლეგიის შინაგანაწესს ამტკიცებს პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მოქმედი დებულების 28-ე მუხლი, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების უფლება-მოვალეობებზე.

ამ მუხლში შეტანილი დამატებებიდან მნიშვნელოვანია „გ“, „თ“ და „ი“ პუნქტები, სადაც აღნიშნულია, რომ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმები უწევენ საჭირო სამართლებრივ დახმარებას ამხანაგურ სასამართლოებს და ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს; აწყობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიულ მომსახურებას; საადვოკატო პრაქტიკის განვითარების საფუძველზე შეისწავლიან დანაშაულებრივ გამოვლინებათა და კანონი-



რების სხვა დარღვევათა მიზეზებს და წინადადებანი შეაქვეთ სათანადო ორგანიზაციებში სამართლის ნორმების დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭრის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმის არსებობის მანძილზე პირველად გადაწყდა მათი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმზე საკანონმდებლო წესით დაქვემდებარების საკითხი, და ამის გამო მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის უფლება-მოვალეობანი, მოქმედ დებულებას დაემატა ახალი მუხლი 28-ა.

ამ მუხლით დადგენილია, რომ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს აფხაზეთის ასსრ და აჭრის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების საქმიანობას, განიხილავს საჩივრებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების გადაწყვეტილებებზე და უფლება აქვს გააუქმოს მათი გადაწყვეტილებანი, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს და ამ დებულებას.

დებულების 34-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა მხოლოდ შეეჩერებინა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ის დადგენილება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას და დებულებას და მიეცა ნითითება აღნიშნული დადგენილების გადასინჯვის შესახებ.

ამჟამად ადვოკატთა კოლეგიების 34-ე მუხლის შესაბამისად დადგენილია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას შეუძლია გააუქმოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ის გადაწყვეტილება, რომელიც არ შეესაბამება კანონს და დებულებას.

დებულების 35-ე მუხლის მეორე აბზაცში შეტანილ იქნა არსებითი ხასიათის ცვლილებები და ამის გამო ამ მუხლს დაემატა ახალი, მესამე აბზაცი, რომლის ძალით იურიდიული კონსულტაციების ადგილსამყოფელს ადგენენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ქალაქებსა და რაიონებში ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმები, რასაც შემდგომში ამტკიცებენ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებსა და რაიონებში — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, რასაც ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომი, ხოლო საქართველოს სსრ იმ ქალაქებსა და რაიონებში, რომლებიც არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის გაერთიანებაში — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, რასაც შემდგომში ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა დებულების 38-ე მუხლის „ვ“ პუნქტი. დადგენილია, რომ იურიდიული კონსულტაციის გამგე ანაწილებს სამუშაოს ადვოკატთა შორის საქმის სირთულის, ადვოკატის დატვირთვისა და კვალიფიკაციის მხედველობაში მიღებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში კლიენტის პერსონალური მოთხოვნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის №581 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „დებულება საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ“.

ამ დებულების მე-7 პუნქტში აღნიშნულია, რომ ადვოკატთა შორის სამუ-

შოს განაწილებას ეწევა იურიდიული კონსულტაციის გამგე თანაბრად აღდგენა. ტთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ამ პუნქტის შესაბამისად სრულიად გამორიცხული იყო ცალკეულ შემთხვევებში კლიენტის პერსონალური მოთხოვნა. ამიტომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბოსთან არსებული იურიდიული კომისიის წარდგინებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბკოს 1966 წლის 9 მარტის №136 დადგენილებით საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ დებულებიდან ამოღებული იქნა მე-7 პუნქტი და ამ საკითხთან დაკავშირებით მოქმედებს, მხოლოდ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულების 38-ე მუხლის „ვ“ პუნქტი.

ამ პუნქტის შესაბამისად კონსულტაციის გამგე კვლავ ვალდებულია კონსულტაციაში შემოსული ყველა საქმე გაანაწილოს არაპერსონალური მოთხოვნით, ადვოკატის დატვირთვისა და მისი კვალიფიკაციის მხედველობაში მიღებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც კონსულტაციის გამგე დარწმუნდება კლიენტის პერსონალური მოთხოვნის სისწორეში, მაშინ აკმაყოფილებს მის მოთხოვნას.

დებულების 39-ე მუხლს, რომელიც ეხება კოლეგიის პრეზიდიუმის უფლებებს ადვოკატთა წახალისების საქმეში, დამატა, რომ კოლეგიის პრეზიდიუმს ადვოკატთა წახალისების ღონისძიებები შეუძლია გამოაყენოს ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს დაეკისრა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა, მოქმედ დებულებას დამატა ახალი მუხლი 45-ა. ამ მუხლით დადგენილია, რომ დისციპლინური სასჯელის დადების ან კოლეგიიდან გარიცხვის შესახებ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დაგენილების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში, ხოლო ამ უკანასკნელის დადგენილებისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბკოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში.

იურიდიული კომისიის გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა დებულების 46-ე მუხლი. დებულების ამ მუხლში აღნიშნულია, რომ თუ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ამ დებულების 41-ე მუხლში ჩამოთვლილ დისციპლინურ სასჯელის ღონისძიებებს ჩათვლის არასაკმარისად, როგორც უკიდურესი ზომა, გამოყენებული იქნება ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხვა.

იმ საფუძველს, რომელიც შეიძლება დაედოს ადვოკატის გარიცხვას, დამატა ახალი პუნქტი, რაც ადრე დებულებაში არ იყო. სახელდობრ, ადვოკატის გარიცხვას შეიძლება საფუძველად დაედოს საადვოკატო საქმიანობისათვის ადვოკატის მიერ იურიდიული კონსულტაციის გარეშე ფულადი ანაზღაურების მიღება.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, მოქმედი დებულების 1, 10, 11, 12, 14, 20, 23-ე და 47-ე მუხლებში შეტანილია ზოგიერთი სხვა ცვლილება, დამატებულია ან ამოღებულია ზოგიერთი სიტყვები.

იმის გამო, რომ ადვოკატთა შრომის ანაზღაურება მოწესრიგებულია ახალი დებულებით „საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ“, ადვოკატთა კოლეგიების მოქმედი დებულებიდან ამოღებულია 21-ე და 37-ე მუხლები.

ასეთია მოკლედ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც შეტანილ იქნა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულებაში.

---

## სხეულის მძიმე დაზიანების სწორი გაგებისათვის

პროფ. ვ. შანიძე

ჩვენ შესაფერისად შევისწავლეთ ჟურნალ „საბჭოთა სამართლი“-ს 1966 წ. პირველ ნომერში გამოქვეყნებული ანდრო გელოვანის წერილი „სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების სწორი გაგებისათვის“. როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორს მიზნად დაუსახავს შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სხეულის მძიმე დაზიანების სწორად გაგებას. ჩვენი აზრით, დასახული ამოცანა არამც თუ გადაწყვეტილი არ არის, არამედ ზოგიერთი მცდარი დებულებებისა და განმარტებების გამო ამ საკითხის გაგებაში შეტანილია ერთგვარი გაუგებრობა. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ დაგვეკმაყოფილებინა ავტორის თხოვნა — წერილში წამოყენებულ საკითხებს ყურადღებით მოვპყრობოდით და გამოვხმაურებოდით. ამ წერილზე პასუხი მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იმ მოსაზრებითაც, რომ მასში მოცემულ საკითხებს ასე თუ ისე, მხარს უჭერს უზრუნავის სარედაქციო კოლეგია და იურიდიული მეცნიერების, ჩვენი გამოცდილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებიც, რომლებსაც სარეცენზიოდ გადაეცათ იგი.

არავისთვის საკამათო არ არის ის საკითხი, რომ „სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესები“ განკუთვნილია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებისათვის, ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის დროს სხეულის დაზიანების ხარისხის სწორად განსაზღვრის უზრუნველსაყოფად, მაგრამ, რადგან მასში მოცემულია ბიოლოგიური საკითხების თავისებური გამუქება, რომელიც გარკვეულად სცილდება მედიცინის საზღვრებს, ამიტომ საჭიროდ არის მიჩნეული, ასეთი წესების გამოქვეყნება შეთანხმებული იყოს ისეთ კომპეტენტურ ორგანოებთან, როგორიცაა ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, საქართველოს სსრ პროკურატურა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია. ნათქვამიდან სავსებით გასაგებია, რომ ამ „წესებში“ არსებული იურიდიული ნორმების დაცვის საკითხი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ზემოთ მითითებულ ორგანოთა მიერ. ამ მოსაზრებით და ძირითადად იმის გამო, რომ იურიდიული საკითხების გადაწყვეტა ჩემი სპეციალური ცოდნის ფარგლებიდან გამოდის, მე მხოლოდ შევეცდებით განვმარტო ზოგიერთი ბიოლოგიური საკითხები და ამით პასუხი გავცე წერილში მოყვანილ ზოგიერთ უმართებულო შენიშვნებს.

ავტორის წერილი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. პირველი ნაწილი შესავალია, სადაც მოკლედ განხილულია სხეულის დაზიანების არსი — ბიოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით, ხოლო მეორე ნაწილი სპეციალურია, სადაც კრიტიკულად განხილულია „წესებში“ მოცემული კონკრეტული საკითხები.

ავტორი სრულიად გასაგები მიზეზით წერილის შესავალში, კერძოდ პირველ აბზაცში, უშვებს მეტად უხემ შეცდომას და თვითნებურად განმარტავს სხეულის დაზიანების არსს, მიუხედავად იმისა, რომ „წესების“ პირველ მუხლში ეს საკითხი მკვეთრად და სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული.

„სხეულის დაზიანებად ჩაითვლება ადამიანის ორგანოთა სხვადასხვა ტემის, ორგანოების და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა, გამოწვეული ფიზიკური (მექანიკური, თერმული და სხვ.) და ქიმიური ზემოქმედებით“, ხოლო ანდრო გელოვანის განმარტებით გამოდის, რომ „სხეულის დაზიანება წარმოადგენს ადამიანის ორგანოების ქსოვილთა ანატომიური მთლიანობის დარღვევას ან ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლას როგორც გარეშე ძალების მოქმედებით, ისე შინაგან მოვლენათა განვითარების შედეგად“. ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რას გულისხმობს ავტორი „შინაგან მოვლენათა განვითარებაში“. თუ აქ ჯანმრთელობის მოშლის (დაავადების) ენდოგენური ფაქტორებია ნაგულისხმები, რა კავშირშია იგი სხეულის დაზიანებასთან, გაუგებარია. საკვებით ცნობილია ის ელემენტარული ფაქტი, რომ სხეულის დაზიანება ხდება მხოლოდ და მხოლოდ გარეშე მავნე ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების ზეგავლენით, ორგანიზმში გამოწვეული ანატომიური და ფუნქციონალური ცვლილებების გამო, რომელიც ჯანმრთელობის მოშლით (დაავადებით) ხასიათდება. ამდენად სხეულის დაზიანების ეს განმარტება დეზ-მარიენტირებელია.

ასეთი მცდარი შეხედულებებიდან გამომდინარე, იქვე მეორე აბზაცში უშვებს კიდევ მეორე მნიშვნელოვან შეცდომას, სადაც განმარტავს, რომ „...სხეულის დაზიანება წმინდა ბიოლოგიური მოვლენაა (?) და მის წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდება სამედიცინო საშუალებათა გამოყენებით“. სხეულის დაზიანება განა ბიოლოგიური მოვლენაა? იქნებ ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ სხეულის დაზიანების შედეგად ირღვევა ორგანიზმის ნორმალური ბიოლოგიური პროცესები, ადგილი აქვს ჯანმრთელობის მოშლას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდება სამედიცინო საშუალებათა გამოყენებით. ეს სულ სხვაა. მაგრამ მკითხველისათვის სრულიად გაუგებარია, როგორ უნდა განვხორციელოთ ბრძოლა სხეულის დაზიანების წინააღმდეგ, სამედიცინო საშუალებათა გამოყენებით. სხეულის დაზიანების წინააღმდეგ ბრძოლა, უნდა მოხდეს სხვა საშუალებათა გამოყენებით და არა სამედიცინო საშუალებათა გამოყენებით. ამ წერილში შეუძლებელია და არც არის საჭირო მივუთითოთ ბრძოლის იმ საშუალებებზე, რომლებიც ამცირებს ასეთ ხელყოფას. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ სხეულის დაზიანების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გათვალისწინებული ღონისძიებანი.

შემდეგ აბზაცში ავტორი განმარტავს, რომ „სხეულის დაზიანება სისხლის სამართლის თვალსაზრისით, მისთვის დამახასიათებელი მხარეების ძიხედვით კი არ ემთხვევა სხეულის დაზიანებას სამედიცინო თვალსაზრისით, არამედ მასთან შედარებით გაცილებით დიდი მოცულობისაა“. ჩვენთვის გაუგებარია რა მიზნით არის აქ მოტანილი ეს მოსაზრება. რას ნიშნავს — „შედარებით გაცილებით დიდი მოცულობისაა“, გაუგებარია. ისმება კითხვა, ამ შემთხვევაში ადგილი ხომ არ აქვს თავისი საგნის გადაფასების ელემენტს. არა გვგონია, რომ სხეულის დაზიანება იურიდიული თვალსაზრისით უფრო დიდი მოცულობის იყოს, ვიდრე სამედიცინო ან სასამართლო-მედიკური თვალსაზრისით. მართო ის ფაქტი, რომ სხეულის დაზიანება, ჯანმრთელობის თავისებური მოშლა — დაავადებაა, აქედან გამომდინარე მრავალი თავისი მნიშვნელობით და შედეგებით, ადგილი გასაგები იქნება, სხეულის დაზიანება სისხლის სამართლის თუ სამედიცინო თვალსაზრისით არის დიდი მოცულობის.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, რომ „ეს „წესები“ საქანონმდებლო ხასიათის მქონე ნორმების შემცველი არ არიან...“ ეს ჩვენს მიერ სწორედ ასეა გაგებული. უფრო მეტიც, ჩვენ კარგად გვისმის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის შინაარსი და ამ „წესების“ საფუძველზე გამოტანილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მტკიცების ერთ-ერთ მასალად ითვლება. სავალდებულო არ არის სასამართლოსათვის და ამდენად ექსპერტიზის დასკვნასაც კი არა აქვს არავითარი საქანონმდებლო მნიშვნელობა.

ავტორს „...ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია სასამართლო-სამედიცინო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ამ „წესებს“ საქანონმდებლო ხასიათის ფუნქციაც გააჩნია“ და იმოწმებს 1959 წელს ჩემს მიერ გამოცემული წიგნიდან „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი“ ამოღებულ წინადადებას იმის შესახებ, რომ „ეს წესები არა მართო განმარტავს, არაჩედ ავსებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში გათვალისწინებულ სხეულის დაზიანების შემადგენლობაში“, ჩვენი აზრით, „წესების“ კრიტიკული გარჩევის დროს მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია სახელმძღვანელოებში (იხილეთ 7 წლის წინათ გამოქვეყნებული) მოტანილი მოსაზრებებით ვეკამათოთ სრულიად ცალკე დამოუკიდებლად გამოქვეყნებულ, რომელიმე ნაშრომს და მით უფრო სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის გამიზნულ წესებს, სადაც ფაქტები მოტანილია გარკვეულ კონკრეტულ ასპექტში, ყოველგვარი ზოგადი გამარტებების გარეშე. ამ მოსაზრების გამო ეს ეს შენიშვნა აქ უადგილოა, თუმცა თუ საკითხს არსებითად შევხვებით, საქართველოს სსრ ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის შემადგენლობაში გათვალისწინებულ ზოგიერთ ბიოლოგიურ საკითხებს ესაჭიროებოდათ შესაფერისი სასამართლო-სამედიცინო განმარტება, რომელზედაც პასუხს ვერც სისხლის სამართლის კომენტარიებში ეპოულობდით. ამიტომ ჩვენს მიერ ადრე გამოთქმული ზემოთ მითითებული მოსაზრება თავის დროზე გამართლებულად უხდა ჩაითვალოს.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ავტორი რატომ უპირისპირებს საქართველოს სსრ და რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1961 წლის 4 აპრილს დამტკიცებულ „წესებს“ და განმარტავს, რომ ეს უკანასკნელი წესები „...დანაშაულთა შემადგენლობაში არავითარ შევსებას და დამატებითი ხასიათის მქონე განმარტებებს არ ახდენსო“ განა ჩვენი „წესები“ — რომელიმე მუხლი ან შენიშვნა ახდენს რაიმე შევსებას და დამატებებს საქართველოს სსრ მოქმედ სსკ გათვალისწინებულ შესაფერის მუხლებზე. ჩვენი „წესები“ პრინციპულად (ძირითადადში) არაფრით არ განსხვავდება საბჭოთა კავშირის რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებული წესებისაგან, რადგან ყველა მათგანის შედგენას თავის დროზე საფუძველად დაედო სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ორი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში, შემუშავებული წესების პროექტი.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს „წესები“ შეიცავს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რის გამოც, დიდი ხანია, შექმნილია სპეციალური კომისია — ახალი, ყველა რესპუბლიკისათვის მისაღები, საერთო „წესების“ შესაქმნელად. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ უკვე შემჩნეული ხარვეზების დამოუკიდებლად და ნაადრევად გამოსწორება (რაზედაც სრულიად არ ძიუთითებს



წერილის ავტორი) ამჟამად არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. თუმცა შიშველი შემჩნეული ნაკლოვანებანი ჩვენს მიერ უკვე შესწორებული იქნა „წესების“ პირველი გამოცემის (1960 წ. მაისი) შემდეგ, 1965 წლის 20 აპრილის გამოცემაში.

საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილში ლაპარაკია „რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვაზე“. სიტყვა „რომელიმე“ უსათუოდ მოითხოვს განმარტებას და ამის გამო „წესებში“ სამართლიანად არის ორგანოები დაყოფილი ორ ჯგუფად (მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი). ავტორი იძლევა ორგანოს ორიგინალურ, თვითნებურ განმარტებას და მიუთითებს, რომ „ორგანო სხეულის ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მთელი ორგანიზმისათვის აუცილებელ საარსებო ფუნქციას ასრულებს“, როცა ბიოლოგიაში ცნობილია, რომ ორგანო არის განსაკუთრებული ფორის, აგებულების და ფუნქციის მქონე სხეულის ნაწილი. გელოვანისებური განმარტებით გამოდის, რომ ისეთი ორგანოები, როგორცაა კბილები, თითები, ცხვირი, ყურის ნიჟარა და სხვ. არსებობისათვის აუცილებელია, თითქოს ამ ორგანოების გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია. კანონმდებლობით სხეულის მძიმე დაზიანებას მიეკუთვნება რომელიმე ორგანოს დაკარგვა. მაშინ გამოდის, რომ კბილის, ხელის ან ფეხის ერთი ან ორი თითის დაკარგვა. უნდა შეფასდეს როგორც სხეულის მძიმე დაზიანება. რომ ასეთი გაუგებრობა არ მოხდეს, საჭიროა ორგანოების ორ ჯგუფად დაყოფა (აქვე შევნიშნავთ, რომ ამ მხრივ „წესები“ განმარტავს და ავსებს სსკ 110 მუხლის ამ შემადგენლობას).

იქვე ავტორი განმარტავს, რომ „ადამიანის სხეულს მრავალი ორგანო გააჩნია და ყოველი მათგანი ემსახურება ორგანიზმის არსებობას. არც ერთ მათგანს არ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს მეორესთან შედარებით, მათი ფუნქციონალობის მიხედვით...“ გამოდის, რომ თავის ტვინს, გულს, ცხვირს, ყურს, თითებს და კბილებს ადამიანის არსებობისათვის განსხვავებული მნიშვნელობა არა აქვს. გულის დაზიანება და თითის მოწყვეტა, ან კბილის ამოგდება თანაბარია ადამიანის არსებობისათვის.

ცნობილია, რომ სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრას საფუძვლად უდევს ეკონომიური სარჩული ან სიცოცხლის საშიშროება. პირველი გამოიხატება დაზიანებასთან დაკავშირებით შრომის უნარის დაკარგვის ოდენობაში (ხარისხში). კანონი ამ შემთხვევაში თვლის ჯანმრთელობის ისეთ მოშლას, რაც დაკავშირებულია „შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან, სულ ცოტა ერთი მესამედით“. სიტყვა „მყარი“ ზოგადი ცნებაა და მოითხოვს განმარტებას. ამიტომ „წესებში“ მითითებულია იმ ავადმყოფურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმდინარეობის ხანგრძლიობა არანაკლებ 12 კვირას უდრის.

ავტორი გვისაყვედურებს, რომ კანონში არ წერია „რომელმაც გამოიწვია მყარი და მძიმე დაავადება“. ეს შენიშვნა სწორია. კანონში სიტყვა „დაავადება“ არ არის ნახსენები, მაგრამ „ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა“ განა დაავადება არ არის? ან შრომის უნარის დაკარგვა ავადმყოფობით არ არის გამოწვეული? ამრიგად, თუ გვეცოდინებოდა, რომ ჯანმრთელობის მოშლა დაავადებაა და შრომის უნარის დაკარგვაც დაავადების საფუძველზე წარმოიქმნება, ასეთი უსამართლო შენიშვნაც არ გაკეთდებოდა.

„წესების“ მე-6 პარაგრაფში ჩამოთვლილია საერთოდ (ზოგადად) როგორც სიცოცხლისათვის საშიში, ისე საკმაო ინვალიდობის გამოწვევე, სხეულის მძიმე დაზიანების ცალკეული სახეები. მაგრამ სრულიად სამართლიანად ამ დაზიანებათა ზოგიერთი შემთხვევები სხვა დაზიანებებთან (შოკი, კოლაფსი,

ცხიმოვანი ემბოლია და სხვ.) ცალკე არის გამოტანილი ამ პარაგრაფის მეშვიდე შენიშვნაში, როგორც სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებანი, რითაც განსაკუთრებით ამ ზიანის ბიოლოგიურ თავისებურებას ხაზი აქვს გასმული. ამ მოსახრებით ეს განმარტება „ზედმეტად არ უნდა იქნეს მიჩნეული“.

ა. გელოვანს ყოვლად უსაფუძვლოდ მიაჩნია „...ცალი თვალიდან მხედველობის სრული დაკარგვა ან ცალ მხარეზე სრული დაყრუება, მიჩნეული იქნეს სხეულის მძიმე დაზიანების ნიშნად“. ჯერ ერთი, „წესებში“ არსად არ არის მითითებული, რომ ცალ მხარეზე სრული დაყრუება სხეულის მძიმე დაზიანებაა (სმენის ორმხრივი დაკარგვაა მძიმე დაზიანება), მეორეც ის, რომ ცალი თვალიდან მხედველობის სრული დაკარგვის დროს, როცა მეორე თვალზე ნორმალური მხედველობაა, პიროვნებას შრომის უნარი დაკარგული აქვს 35%-ით (ე. ი. ერთი მესამედით მეტი). ასევე ორივე მხარეზე დაყრუების დროს შრომის უნარი დაკარგულია 50%-ით. ამიტომ ამ ნიშნის (ე. ი. საკმაო ინვალიდობის გამოწვევის პრინციპის) მიხედვით ეს დაზიანებანი მიეკუთვნება სხეულის მძიმე დაზიანებათა ჯგუფს.

ა. გელოვანი 32-ე გვერდზე ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მიზეზით სულიერ ავადმყოფობად ასახელებს ტრავმულ ეპილეფსიას. ეს დაავადება ნერვულ სნეულების ნომენკლატურას წარმოადგენს და არავითარი კავშირი არა აქვს ფსიქიკურ დაავადებასთან. სულ სხვაა, როცა ტრავმულ ეპილეფსიას თან დაერთვის ჭკუასუსტობა, მაშინ დაავადების ეს ფორმა სულით ავადმყოფად ითვლება. საერთოდ ფიზიკური თუ ფსიქიკური ტრავმით გამოწვეული სულით ავადმყოფობის შემთხვევაში უნდა მოხდეს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა. იგი ჩვენს კომპეტენციაში შემავალი საკითხი არ არის. ამიტომ „წესებში“ მითითებულია მხოლოდ ფიზიკური ტრავმით გამოწვეულ ფსიქიკური და ნერვული დაავადების შესახებ და არა ფსიქიკური ფაქტორით განვითარებული დაავადების შესახებ, რის გამოც წერილის ავტორი ზედმეტად შეწუხდა და მიგვიითხა იმ აქსიომაზე, რომ თურმე „სულიერი ავადმყოფობა შეიძლება მიყენებული იქნეს არა მარტო ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, არამედ ფსიქიკური ტრავმის მეშვეობითაც“.

წერილის ავტორი 33-ე გვერდზე, რატომღაც, მწვავედ მიგვითითებს, რომ „წესებში“ „...ნებისმიერად, რასაკვირველია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ლაპარაკია არა „შრომის უნარის დაკარგვაზე“, არამედ „დაქვეითებაზე“, მაშინ, როცა სიტყვა „დაქვეითება“ არსად არ არის გამოყენებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის დადგენა ხდება ამ საქმით დაინტერესებული პირებისათვის ცნობილი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის მიხედვით და ამ მოტივით იგი „წესებში“ ნახსენები არ არის.

ყველა ასეთი შენიშვნების შემდეგ წერილის ავტორი დასკვნით ნაწილში ეხება პროცესუალური სამართლის სფეროში შექმავალ საკითხებს, რომელიც მოითხოვს ამ დარგის სპეციალისტის ყურადღებას. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა შევეხოთ ავტორის მიერ წამოყენებულ მხოლოდ ზოგიერთ ზოგად დებულებას.

ცნობილია ის ფაქტი, რომ საგანი სასამართლო მედიცინა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, წარმოიშვა მართლმსაჯულების მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, მისი პრაქტიკული ნაწილი სასამართლო-სამედიცინო ექს-



პერტიზა ემსახურება სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს სპეციალური ბიოლოგიური საკითხების გადაწყვეტაში.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენცია მკვეთრად არის ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაფერის მუხლებში. ამდენად ექსპერტის კომპეტენცია შემოსაზღვრულია მისი სპეციალობის ფარგლებით. ექსპერტს არ ევალება საკითხის იურიდიული განმარტება. ასე, მაგალითად, ექიმს არ შეუძლია სიკვდილის გვარეობის—მკვლელობის, თვითმკვლელობის, თუ უბედური შემთხვევის დადგენა, რადგან ეს წმინდა იურიდიული საკითხია, ხოლო რაც შეეხება სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის დადგენას, როგორც ამას თვით ა. გელოვანი მიუთითებს, საქართველოს სსრ სსს კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნით, სავალდებულოა ამის შემდეგ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რატომ არ უნდა მოგვეტანა კანონით გათვალისწინებული ეს ვალდებულება „წესების“ მე-3 მუხლის „დ“ პუნქტში „სხეულის დაზიანების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმოებისას ექსპერტიზის აქტის დასკვნაში, როგორც წესი, აუცილებლად უნდა განისაზღვროს დაზიანების სიმძიმის ხარისხი“.

ექიმის მიერ სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა, ჩვენი აზრით, არ არის სხვის კომპეტენციაში შეჭრა. ჩვენ ასეთ შემთხვევაში ვიძლევიტ განმარტებას სხეულის სიმძიმის შესახებ (მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი) და არა დანაშაულის ხასიათზე. სხეულის მძიმე დაზიანება საქართველოს სსრ სსს. სამ. კოდექსის მიხედვით შეიძლება იყოს: განზრახ მძიმე (მუხლი 110), განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე ილიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხლი 113), განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს (მუხლი 114) და მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით (მუხლი 115).

სამედიცინო დასკვნაში არ ხდება სხეულის დაზიანების ზემოთ მითითებული განსაზღვრა, აქ ლაპარაკია მხოლოდ სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხზე — ამ სუფთა ბიოლოგიურ ფაქტორზე. ხოლო რაც შეეხება ამ დაზიანების მიყენების ხასიათს (როგორია დანაშაულის სუბიექტური მხარე) და მათ შორის საკითხის გადაწყვეტას, დაზიანება მიყენებულია თავისი ხელით (ასოთმავნებლობა), თუ სხვისი ზემოქმედებით სასამართლო-პროკურატურის კომპეტენციაში შემავალი საკითხია და არასოდეს მას ექიმი არ გადაწყვეტს.

სასამართლო მედიცინა საერთო მედიცინის საფუძველზე დაამუშავებს ისეთ სპეციალურ საკითხებს (მათ შორის სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრას), რომელიც საერთოდ და კერძოდ სამკურნალო მედიცინისათვის სრულიად ზედმეტია. ამდენად, ამ სპეციალური ცოდნის საფუძველზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს სრული უფლება აქვს განმარტოს სხეულის დაზიანების ხარისხი და ამიტომაც იგი სავალდებულოა კანონმდებლობითაც.

ყველა აქედან გამომდინარე ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, საიდან მოიტანა წერილის ავტორმა 35-ე გვერდზე მითითებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში თითქოს განსაზღვრულია, რომ „...ჩადენილი ქმედობით პიროვნების ჯანმრთელობას მიყენებული აქვს სხეულის მძიმე დაზიანება, მაშინ, როცა ავტორისათვის კარგადაა ცნობილი ჩვენი დასკვნების შინაარსი, სადაც ჩვეულებრივ იწერება: 1. რა დაზიანებაა, 2. რა იარაღითაა მიყენებული და 3. რა ხარისხისაა დაზიანება. ასე მაგალითად, ჩვენი დასკვნები ყოველთვის ასეთი შინაარსით იწერება: „დაზიანება მიყენებულ-

ლია რაიმე მკვრივი და ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიშ მძიმე კატეგორიათა ჯგუფს“ და სხვ. ამდენად, სასამართლო-სამედიცინო შემოწმების აქტის დასკვნაში ჩვენ არასოდეს არ გამოგვიყენებია გამოთქმა „ჩადენილი ქმედობით პიროვნების ჯანმრთელობას მიყენებული აქვს...“ აქვე ავტორი იძლევა რჩევას, ექიმმა განსაზღვროს დაზიანების სიცოცხლისათვის საშიშროება ან საკმაო ინვალიდობის გამოწვევა (დაბრმავება, დაყრუება და სხვ.) და არ მიუთითოს დაზიანების სიმძიმეზე, რადგან ასეთის შერჩევა შეუძლია მოახდინოს იურისტმა. ეს შეიძლება დაგვეშვა მხოლოდ ზოგიერთი დაზიანების შემთხვევაში, მაგრამ არა ყოველთვის. ასე მაგალითად, როცა ადგილი აქვს სხეულის აშკარა სტაბილურ დაზიანებას (დაყრუებას, დაბრმავებას, კიდურების დაკარგვას და სხვ.) ძნელი არ არის გაერკვე სხეულის დაზიანების სიმძიმეში, მაგრამ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეუძლია სხვადასხვა ხასიათის კლინიკური ნიშნების მქონე თავის ტვინის შერყევა იურისტმა შიაკუთვნოს მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი ხარისხის დაზიანებას, რადგან „წესების“ №9 მუხლის მიხედვით იგი შეიძლება იყოს მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სასამართლო მედიკებს არაფრით არ გვანტერესებს სხვა დარგის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტა დავიჩემოთ, ისედაც ჩვენი საკუთარი საქმეც ბევრია მოსავარებელი. ამ მოსაზრებით აქ გვინდა შევჩერდეთ სიკვდილის გვარეობის განსაზღვრაზე. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს არ ევალება სიკვდილის გვარეობის — მკვლელობის, თვითმკვლელობის და უბედური შემთხვევის დადგენა, რადგან ეს წმინდა იურიდიული საკითხია. მიუხედავად ამისა, ბევრი სასამართლო მედიკი (გამოჩენილი პროფესორები ი. ს. საბოუნეიკოვი, ა. მ. გამბურგი, მ. ი. რაისკი და სხვ.) დიდი ხნიდან ეწევიან მცდარ პროპაგანდას იმის შესახებ, რომ ექსპერტი მოვალეა განსაზღვროს სიკვდილის გვარეობა. მიუხედავად ხანგრძლივი პოლემიკისა და მკაცრი კრიტიკისა, ამჟამადაც არა თუ ექსპერტთა შორის, არამედ იურისტთა შორისაც არიან ისეთები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ უბედულეობას. უფრო მეტიც, ზოგიერთი გამომძიებელი დადგენილებაში სხვა საკითხებთან ერთად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტისაგან მოითხოვს მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის საკითხის გადაწყვეტას.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, — მიუთითებს პროფ. მ. ი. ავდევი, — არ წარმოადგენს პროცესის პასიურ მონაწილეს, არამედ იგი არის მართლმსაჯულების აქტიური მონაწილე დანაშაულის დადგენაში, ამიტომ იგი თავისი პირადი ინიციატივით სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს სწორი გამოძიებისათვის.

1956 წლის 29 თებერვალს საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კომინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ დამუშავებული ექნა ცირკულარული წერილი № 306, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციის შესახებ სიკვდილის გვარეობის განსაზღვრის საკითხში.

წერილში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანებში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციის საკითხი საერთოდ და განსაკუთრებით კი ნაძალადევი სიკვდილის გვარეობის (მკვლელობა, თვითმკვლელობა, უბედური შემთხვევა) განსაზღვრასთან დაკავშირებით, არა იშვიათად ხდება იურისტთა და სასამართლო მედიკთა მსჯელობის საგანი და რომ ყველა არ იზიარებს დებუ-



ლებას — სიკვდილის გვარეობის გადაწყვეტაში სასამართლო სამედიცინო ექსპერტის ჩაურევლობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის შეკითხვაზე — აქვს თუ არა უფლება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს განსაზღვროს სიკვდილის გვარეობა გვამის გამოკვლევის მონაცემებზე და სპეციალურ ცოდნაზე დაყრდნობით, საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტრო, უმაღლესი სასამართლო და პროკურატურა არ იძლევიან პირდაპირ პასუხს და თავიანთი მსჯელობით ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ უფრო კონკრეტულად გამოხატავენ საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ 1952 წლის 13 დეკემბერს დამტკიცებულ და საბჭოთა კავშირის პროკურატურასთან, იუსტიციის სამინისტროსთან და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან შეთანხმებულ ინსტრუქციას — „საბჭოთა კავშირში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმოების შესახებ“ — 35-ე პუნქტს, რომელშიც ნათქვამია „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს.. შეუძლია უარი განაცხადოს ისეთ კითხვებზე პასუხის მოცემაზე, რომლებიც სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს ან არ შედის სასამართლო სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში“.

აქედან გამომდინარე, პროფ. ვ. პროზოროვსკი აღნიშნავს, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს უფლება აქვს წარადგინოს მოტივირებული დასკვნა სიკვდილის გვარეობის შესახებ, მხოლოდ, მაშინ, როდესაც ეს დასკვნა დამყარებულია მის სპეციალურ ცოდნაზე (თეორიული მომზადება და პრაქტიკული გამოცდილება) და გამომდინარეობს გვამის გაამოკვლევის შედეგებიდან. ამავდროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი არ არის ვალდებული უპასუხოს ამ კითხვას და არც გამომძიებელს და არც სასამართლოს არა აქვთ უფლება მოსთხოვონ მას ასეთი დასკვნა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ პრაქტიკაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს ვუკრძალავთ გვამის გამოკვლევის დროს სიკვდილის გვარეობის განსაზღვრას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილის გვარეობის განსაზღვრის დროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები ისე, როგორც ამას წარსულში ჩვენც ვაწარმოებდით, ვიძლეოდით სავარაუდო დასკვნას მხოლოდ სიკვდილის გვარეობაზე (მკვლელობა, თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა) და არა მკვლელობის რომელიმე ნაირსახეობის განსაზღვრაზე.

ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით სავარაუდოა, რომ ა. გელოვანის მიერ წამოყენებული ასეთი ორიგინალური წესით ექსპერტიზების წარმოება, დიდ გაუგებრობას გამოიწვევს ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის საქმეში.

ჩვენ ვეთანხმებით ანდრო გელოვანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, ორსულობის შეწყვეტა ყოველთვის უნდა შეფასდეს როგორც სხეულის მძიმე დაზიანება მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა ასეთი — ორსულობის ნაადრევ ხანაში, თუ მოგვიანებით, ორსულობის მეორე ნახევარში. ჩვენ წესებში მითითებული განმარტება არ გამომდინარეობს 110 მუხლის შემადგენლობიდან, რადგან კანონმდებლობის მიერ ორსულობის ნაძალადევ შეწყვეტას საფუძვლად კი არ უდევს სიცოცხლის საშიშროება ან მნიშვნელოვანი ინვალიდობის გამოწვევა, არამედ „ორსულობის შეწყვეტას“ საფუძვლად უდევს სოციალური (შვილყოლის) ფაქტორი.

ჩვენ „წესების“ შემუშავების დროს როცა ასეთს ვაკუთვნებდით სხეუ-

ლის მძიმე დაზიანებას, საფუძვლად ვუდებთ მას სიცოცხლის საშიშროების ფაქტორს და რადგან ასეთი შეიძლება დადგეს მხოლოდ ორსულობის მეორე ნახევრიდან, ამიტომ ორსულობის შეწყვეტა (აბორტი თუ ნაადრევი მშობიარობა) ორსულობის მეორე ნახევრიდან, ე .ი. ხუთი თვის შემდეგ ჩავთვალეთ როგორც სხეულის მძიმე დაზიანება, რაც უსათუოდ სწორი არ არის და მოითხოვს შესწორებას. ჩვენ წესებში დაშვებული ეს შეცდომა ჩვენს მიერ ა. გელოვანის წერილის გამოქვეყნებამდე იქნა შემჩნეული და ამის შესახებ ყველა ექსპერტს მიეცა შესაფერისი განმარტება და ამ მხრივ ნაწილობრივ გამოსწორდა ეს მნიშვნელოვანი შეცდომა. ახლო მომავალში, ჩვენ ვფიქრობთ, ამ შესწორებით ახლად გამოვცეთ ჩვენი წესები.

დასასრულს გვინდა გავიგოთ, რა მოთხოვნილება წარედგინება სასამართლო-პროკურატურის ორგანოების მიერ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს სხეულის დაზიანებათა ექსპერტიზის წარმოების დროს. ამიტომ ჩვენ დიდი კმაყოფილების გრძნობით მოვიხმენდით ამ საკითხში ყოველმხრივ განსწავლულ პირთა რეკომენდაციებს, მითითებებს თუ შენიშვნებს, რადგან ა. გელოვანის წერილი ზემოთ მოყვანილი, ზოგიერთი მოკლედ მითითებული შენიშვნების საფუძველზე, სამწუხაროდ, ვერ გვეხმარება „სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების სწორ ვაგებაში“.

## ადვოკატის პროფესიული მოვალეობის შესახებ

### 3. კვალი

ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში ყველაზე არსებითია დაცვითი პოზიციის შერჩევა. ეს თითქმის ყოველთვის სადავო საკითხი ნათლად და გარკვევით არის გადაჭრილი საფუძვლების 23-ე და საქართველოს სსრ სსსკ 46-ე მუხლების მიხედვით.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც არასწორადაა გაგებული ადვოკატის დაცვითი პოზიციის საკითხი. ზოგიერთი ისევ ცდილობს ამ საკითხის გაბუნდოვნებას.

კანონის მიხედვით „**დამცველი** მოვალეა გამოიყენოს კანონში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გამოირკვეს გარემოებანი, რომელიც ამართლებს ბრალდებულს ან ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას... ადვოკატს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ბრალდებულის დაცვაზე იმის შემდეგ, როცა მან ეს იკისრა“.

ამრიგად, კანონით ადვოკატს არა აქვს სხვა პროცესუალური მოვალეობა გარდა ბრალდებულის ინტერესების დაცვისა. ამდენად, დამცველის საქმიანობა და მოქმედება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კოლიზიაში იყოს ბრალდებულის ინტერესებთან. ადვოკატის დაცვითი პოზიცია ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს ბრალდებულის ინტერესებიდან. **ადვოკატი ვერ დაადგება დაცვის ისეთ პოზიციას, რომელიც შელახავს ბრალდებულის ინტერესს და საზარალო იქნება მისთვის.**

ამ ელემენტარული თეზისის წინააღმდეგ სხვა მოსაზრების წამოყენება იქნებოდა ბრალდებულის ინტერესების შელახვა და დაცვაზე ხელის აღება, რაც საბოლოო ანგარიშით ეწინააღმდეგება კანონს. ზოგიერთის აზრით, ადვოკატი არაფრით არაა შეზღუდული დაცვის პოზიციის განვითარებაში. ნამდვილად კი ადვოკატი თავის დაცვით პოზიციაში ვერ დაუპირისპირდება ბრალდებულის ინტერესს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს თავის პროფესიულ სახეს, ბრალდებულს მოევლინება მეორე ბრალდებულად და ბრალდებული ფაქტიურად დაცვის გარეშე რჩება.

საფუძვლების 23-ე და საქართველოს სსრ სსსკ 46-ე მუხლების შესაბამისად ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე, როცა ის იკისრებს კლიენტის დაცვას და ჩაებმება საქმეში. როგორ უნდა დააღწიოს თავი ადვოკატმა ისეთი კლიენტის დაცვას, რომლის დაცვითი პოზიცია ეწინააღმდეგება ადვოკატის პოზიციას. გამოსავალი თურმე იმაში ყოფილა, რომ თანახმად საქართველო სსრ სსსკ 45-ე მუხლისა **ბრალდებულს ან სამართალში მიცემულს უფლება აქვს უარი თქვას დაცვაზე წარმოების ყოველ მომენტში.**<sup>1</sup>

საქართველოს სსრ სსსკ 45-ე მუხლში ლაპარაკია ბრალდებულისა და სამართალში მიცემულის პროცესუალურ უფლებაზე და არა ადვოკატის უფლებაზე.

<sup>1</sup> იხ. უკრანალი „საბჭოთა სამართალი“, 1963 წელი, № 5, გვ. 40.

თუ კლიენტმა არ მოისურვა ადვოკატის ჩამოცილება ადვოკატს ხომ არა აქვს უფლება თავისი ინიციატივით უარი თქვას დაცვაზე. ამდენად, სსსკ 45-ე მუხლის მომარჯვება გამოსავალი არ არის. კანონის შესაბამისად ადვოკატი მოვალეა დაადგეს თავისი დაცვისქვეშ მყოფი პირის სასარგებლო პოზიციას. მას უფლება არა აქვს დაცვისა პოზიციიდან გადაიხაროს საბრალდებო პოზიციისაკენ. ადვოკატი მოვალეა დამაჩერებლად, მტკიცედ და საფუძვლიანად გამოიყენოს ყველა მასალა, რაც ამართლებს სამართალში მიცემულს, ან ამსუბუქებს მის მდგომარეობას.

საბჭოთა პროცესუალური სამართლის მიხედვით ადვოკატი არ არის თავისი კლიენტის ისეთი მსახური, რომლის ყოველი სურვილი სავალდებულოა მისთვის. ადვოკატს აქვს საკუთარი გზა, საკუთარი აზრი ყველა საქმეში, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა მიემართებოდეს კლიენტის ინტერესების რეალური დაცვისაკენ.

„ადვოკატი აქტიურად და თამამად უნდა იბრძოდეს სამართალში მიცემულის უფლებების განხორციელებისათვის. ამაში მდგომარეობს მისი როლი და დანიშნულება სასამართლოში. ამიტომ, ადვოკატის მთელი პროცესუალური მოქმედება, რასაც ის ახორციელებს სასამართლოში, მიმართული უნდა იყოს მხოლოდ სამართალში მიცემულის დაცვისაკენ. იმაზე ფიქრი, რომ ადვოკატი გამოავლენს რა სამართალში მიცემულის გამამართლებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებს, ის იმავე დროს ვალდებულია ამხილოს ამა თუ იმ ზომით, ეს ნიშნავს, რომ ადვოკატის სახით შევქმნათ დამატებითი ბრალმდებელი, რაც სრულიად არ ესაჭიროება სასამართლოს“<sup>2</sup>. ეს მოსაზრება გაზიარებულია ამ საკითხზე უკანასკნელ ხანს გამოცემულ ლიტერატურაში და გამომდინარეობს კანონიდან.

ამასთან ადვოკატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი ემსახურება არა მარტო მისი დაცვისქვეშ მყოფის ინტერესებს. რომ იგი ერთდროულად საზოგადო მოღვაწეა, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების მატარებელი. ადვოკატს უნდა ახსოვდეს, რომ ყველაზე ძვირფასი და მაღალი იდეა მისთვის არის ჭეშმარიტება, სიმართლე. თუმცა ადვოკატის პროცესუალური მოვალეობაა დაიცვას კლიენტის ინტერესი და არასოდეს მისი ინტერესის საწინააღმდეგო პოზიციას არ დაადგეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადვოკატისათვის ყოველთვის მისაღებია მისი კლიენტის დაცვის პოზიცია. ხშირად ეს პოზიცია არც კლიენტს არგებს და არც მართლმსაჯულების განხორციელებას უწყობს ხელს. ადვოკატი, ჩვენი აზრით, სრულიად თავისუფალია საქმის ფაქტიური მასალის იურიდიულ შეფასებაში და ის უნდა ემორჩილებოდეს ამ შემთხვევაში თავის შინაგან რწმენას, რაც უფრო არგებს კლიენტს, ვიდრე შიშველი მოსაზრება დაპირისპირებული ბრალდების დამამტკიცებელ მასალებთან. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის მეორე პროკურორად მოველინოს ბრალდებულს. ადვოკატი შეიძლება თავისი მოსაზრებით დაშორდეს ყოველად უვარგის და უსწორო პოზიციას კლიენტისას, მაგრამ ფაქტიურად ის კლიენტის ინტერესიდან გამომდის და ერთი წუთითაც არ ღალატობს თავის პროცესუალურ მოვალეობას.

საინცერესოა ამ საკითხზე ვ. დ. არსენიევის აზრის: „ადვოკატი სასამართლოში საქმის კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით ავითარებს მოსაზრებებს ბრალდებულის ბრალის მთლიანად ან ნაწილობრივ დაუმტკიცებლობის შესახებ,

<sup>2</sup> А. Л. Ривлин, «Задача адвоката в суде первой инстанции по уголовному делу», 1964 г. стр. 4.

ან მის უდანაშაულობაზე მისი ბრალეულობის შემამსუბუქებელ ან უმცირეს ფელ მტკიცებებზე. წამყვანი ადვოკატის დაცვის პოზიციაში არის ბრალდებულის ინტერესი, სხვა მოვალეობა დამცველს არ აკისრია კანონით და მას ვერ შეეცვლის სხვა რაიმე ინტერესი“.<sup>3</sup>

პროფესორ ფონინცის აზრით: „ადვოკატი არაფრით არაა შეზღუდული აიღოს უიმედო საქმე... არ არის წესისა და ეთიკის დარღვევა ადვოკატმა მიიღოს ისეთი საქმე და დაიცვას ისეთი ბრალდებული, რომლის უდანაშაულობას ის არ იზიარებს“<sup>4</sup>. პროფ. ი. ფონინცის ეს დებულება სავსებით სწორია, მაგრამ წინასწარ დაუჯერებლობა ბრალდებულის უდანაშაულობისა ეწინააღმდეგება საბჭოთა სამართლის უაღრესად დემოკრატიულ პრინციპებს — უდანაშაულობის პრეზუმპციას.

არამც თუ ადვოკატი, თვით სასამართლოც ვერ დაუშვებს სამართალში მიცემულის მიმართ წინასწარ დანაშაულის პრეზუმპციას მანამდე განაჩენს არ დაადგენს; მაშ რა უფლება აქვს ადვოკატს ეჭვი შეეპაროს მისი დაცვისქვეშ მყოფის უდანაშაულობაში, როცა ეს უკანასკნელი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას; როგორ შეიძლება ადვოკატმა შთააგონოს ბრალდებული, რათა აღიაროს დანაშაული. ეს იქნება დამცველის ჩაყენება ცუდი გამოძიებლის როლში. ამავე დროს როგორ შეიძლება დამცველმა ხელი აფათუროს კლიენტის პოზიციაზე ბრალდების უარყოფის შესახებ. ასეთი პოზიცია დაცვის ინსტიტუტის აშკარადისკრედიტაცია იქნება.

ზოგს ღღემდე ვერ გაუგია, რომ ადვოკატის პოზიცია ყოველთვის ცალმხრივია და მიმართულია კლიენტის ინტერესის დაცვისაკენ. ადვოკატისათვის ყოველგვარი ჭეშმარიტების გამოკვლევა კი არ არის სავალდებულო, არამედ მხოლოდ ბრალდებულისათვის სასარგებლო ჭეშმარიტებისა, რაც მიმართულია კლიენტის გამართლებისაკენ ან მისი მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ. ეს დებულება კანონით უკვე განსაზღვრულია. მეტად საინტერესოა აზრი აქვს გამოთქმული ამ საკითხზე ი. დ. პერლოვს.

„დამცველს უფლება არა აქვს გამოარკვიოს საქმეში ისეთი გარემოება, რომელიც ამხელს ბრალდებულს დანაშაულის ჩადენაში, ან ამძიმებს მის ბრალს, ადიდებს მის პასუხისმგებლობას. დამცველის საქმიანობა ცალმხრივია მოსამართლის, პროკურორის, გამოძიებლისა და იმ პირებისაგან განსხვავებით, ვინც გამოკვლევას აწარმოებს“<sup>5</sup>.

პერლოვი შემდეგ კიდევ უფრო ანვითარებს ამ დებულებას. „ცნობილია, რომ სასამართლოში ადვოკატი მოწოდებულია დაცვისათვის და არა იმისათვის, რომ ბრალი დადოს... ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, ადვოკატის მოქმედება ცალმხრივია. ის სასამართლოს და წინასწარი გამოძიების ორგანოების ყურადღებას მიაქცევს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებიც ლაპარაკობენ ბრალდებულის სასარგებლოდ და მას არა აქვს უფლება მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რომელიც ამხელს ბრალდებულს ან ამძიმებს მის მდგომარეობას“<sup>6</sup>.

<sup>3</sup> В. Д. Арсеньев, «Вопросы общей теории судебного доказательства», 1964 г. стр. 72—73.

<sup>4</sup> И. Я. Фойницкий, «Курс уголовного судостройства», 1902 г. стр. 451.

<sup>5</sup> И. Д. Перлов, «Уголовное судостройство в СССР», 1959 г. стр. 65—66.

<sup>6</sup> გაზ. „Известия“, 1959 წ. 13 აგვისტო.

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ადვოკატის პროცესუალური მოვალეობა არსებითად განსხვავდება პროკურორის მოვალეობისაგან. ადვოკატი უდავოდ დამოუკიდებელი ფიგურაა საქმეში, რომელიც გარკვეული უფლებით არის აღჭურვილი. ადვოკატს შეუძლია თავისუფალი შეფასება მისცეს საქმეში არსებულ მასალებს, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს პროკურორის შეფასებისაგან.

პროკურორმა შეიძლება არ დაუჯეროს ბრალდებულის ან მოწმეთა ჩვენებებს, მაგრამ ადვოკატი არ არის შეზღუდული იგივე ჩვენებები სიმართლედ მიიჩნიოს და გამოიყენოს ბრალდებულის სასარგებლოდ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის შეგნებულად, განზრახ, თავისი რწმენის გარეშე მოქმედებს. სასამართლოსათვის დამაჯერებელი იქნება სწორედ ის მტკიცება, რომელიც წარმოდგენილი იქნება ამა თუ იმ მხარის მიერ, როგორც ობიექტურ ჭეშმარიტებაზე დამყარებული.

ზოგიერთს ჰგონია, ადვოკატი ლახავს თავის ავტორიტეტს იმით, რომ „ჭუჭყიან“ საქმეში მხარს უჭერს მის დაცვისქვეშ მყოფს, რომელიც უარყოფს დანაშაულს, თუმცა ზოგიერთი მასალით „იმხილება“.

დიდი იურისტი ა. ფ. კონი ამაზე ასე ლაპარაკობს:

„დამცველისათვის არ არსებობს სუფთა და „ჭუჭყიანი“ საქმე. მან პროკურორის საბრალდებო მოსაზრებას უნდა დაუპირისპიროს მთელი ძალა და სიმართლე მთელი დიალექტიკისა“.<sup>7</sup> ზოგიერთი მსჯელობს ასე: ადვოკატის დაცვის პოზიცია უნდა ემყარებოდეს მის შინაგან რწმენას.

როგორც ვიცით ადვოკატის შინაგანი რწმენა დამნაშავეა თუ უდანაშაულო ბრალდებული, მზამზარეულად არ ეძლევა. მისი გამომუშავება ხდება საქმის წინასწარ და სამსჯავრო განხილვის პროცესში. შინაგანი რწმენა ანარეკლია ობიექტური ჭეშმარიტების. ეს უკანასკნელი კი უნდა გამომუშავდეს შემეცნების პროცესში. სანამ ეს პროცესი არ დამთავრებულა როგორ შეიძლება ლაპარაკი რაიმე დამთავრებულ შინაგან რწმენაზე. ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნება, როგორც არსებული სინამდვილის ასახვის პროცესი, უნდა იძლეოდეს იმავე სინამდვილის ფაქტთა სისტემის იურდიული მნიშვნელობით შეფასების საფუძველს. ჯერ კიდევ გარეგანი ჭვრეტა მოვლენებისა, ფაქტებისა არა კმარა იმისათვის, რომ გამომუშავდეს შინაგანი რწმენა. საჭიროა ფაქტთა სისტემაში არსებითის ზოგადის შეცნობა, როგორც იურდიული მნიშვნელობის მქონე ობიექტური ჭეშმარიტებისა. ასეთი დიდი აზროვნებითი პროცესების გარეშე ჭეშმარიტი შინაგანი რწმენის გამომუშავება შეუძლებელია, ამიტომ სრულიად უადგილოა საკითხის დაყენება იმის შესახებ, რომ ადვოკატმა წინასწარ აწარმოოს მოლაპარაკება თავის დაცვისქვეშ მყოფთან მათი დაცვითი პოზიციის შესახებ და დაითანხმოს კადეც ის. კიდევ მეტი, ადვოკატს არ უნდა სჭირდებოდეს ბრალდებულთან თათბირი და შეთანხმება დაცვის პოზიციაზე როცა ის ჩაებმება პროცესში, რადგან ადვოკატი დამოუკიდებელია და მან როგორც იურისტმა უკეთ იცის, თუ როგორი პოზიცია არგებს მისი კლიენტის ინტერესს და როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს მან. ეს იმპერატული უფლება მოვალეობაა მისი. ამაზე ამბობს სწორედ ვლადიმიროვი: „ადვოკატმა ბევრი უნდა იცოდეს და ყველაფერი უნდა ესმოდეს“.<sup>8</sup>

<sup>7</sup> А. Ф. Кони, Избранное сочинение, 1958 г. том I, стр. 56.

<sup>8</sup> Л. Е. Владимир, «Адвокат войн», 1911 стр. 78.



ადვოკატმა უნდა შეძლოს მრავალი მტკიცებიდან მთავარის, არსებითის გამოყოფა და ბრალდებულის სასარგებლო ჭეშმარიტების ჩვენება. ყოველი ფაქტი უნდა გაშუქდეს ღრმა თეორიული, მეცნიერული ანალიზით და დასაბუთდეს ლოგიკურად. სწორედ ამაზე ამბობს კონი: „უნდა გააყეთოთ ისე, რომ სიტყვა შედარებით ცოტა იყოს, ხოლო აზრი, გრძნობა და ემოცია ბევრი“.<sup>9</sup>

რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს ბრალდებული ადვოკატმა არ უნდა აიცრუოს გული მის დაცვაზე და ბოლომდე მიიყვანოს დაცვა, იმ რწმენით და იმედით, რომ მისი დაცვისქვეშ მყოფს შეუმსუბუქოს ტვირთი, სიმართლით და სამართლიანობის გზით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელ სესიაზე მარნეულში 1959 წელს ვიცავდი ძმების გ. და ი. ჩ-ნების და მათი დეიდაშვილის ვ. გ-ს ინტერესებს. პროკურორმა გ. ჩ-ნის მიმართ მოითხოვა უმაღლესი სასჯელი, ორის მიმართ კი ათ-ათი წლით პატიმრობა, მი კი მოვითხოვე ვ. გ-ს გამართლებას. სასამართლომ სსკ 144 მუხლის „ა“ პუნქტით გ. ჩ-ნს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი, ორ დანაჩენს კი ათ-ათი წელი პატიმრობა. საკავშირო უმაღლესმა სასამართლომ საკავშირო პროკურორის პროტესტის საფუძველზე გ. ჩ-ნს დახვრეტა შეუკვალა ათი წლის პატიმრობით, ი. ჩ-ნს 5 წლის პატიმრობა დაუტოვა, ვ. გ-ნის მიმართ კი საქმე შეწყვიტა წარმოებით. ეს მაგალითი იმის მაჩვენებელია, რომ ადვოკატმა ბოლომდე უნდა იბრძოდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ადვოკატის დაცვის პოზიცია ყოველთვის უნდა იყოს მტკიცე, ურყევი და პრინციპულა მიმართული მხოლოდ ბრალდებულის ინტერესების დაცვისაკენ. სხვა დანიშნულება და მოვალეობა ადვოკატს არა აქვს და არც აკისრია კანონით.

<sup>9</sup> А. Ф. Конн, Избранное сочинение, 1958 г. том I, стр. 137.

# ადვოკატის ავტორიტეტის საკითხისათვის

## 3. ხარაბიზილი

ჩვენში ადვოკატი სამწუხაროდ არ სარგებლობს ისეთი მაღალი ავტორიტეტით, როგორც ექიმი, ინჟინერი, პედაგოგი, აგრონომი და სხვა პროფესიის აღმამანები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ყოველწლიურად დიდი კონკურსია, მაგრამ თითქმის არც ერთ შემსკლელს განზრახული არა აქვს, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ ადვოკატურაში იმუშაოს. თვალს თუ გადავაგვლებთ საქართველოს ადვოკატთა შემადგენლობას და შევისწავლით მისი კონტინგენტის ზრდა-განახლებას, დავინახავთ, რომ იგი ძირითადად იზრდება არა ახალი სპეციალისტებით, რომლებმაც ეს ესაა დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და თავიანთი სურვილით მოვიდნენ აქ სამუშაოთ, არამედ სასამართლო-პროკურატურის ორგანოების ყოფილი მუშაკებით.

ადვოკატურისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ახალი ამბავი არ არის, მას დიდი ისტორია აქვს. ფეოდალურ და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ადვოკატებს ავიწროებდნენ და დევნიდნენ სახელმწიფოს მეთაურები. ისინი ადვოკატებს საზოგადოების და სახელმწიფოს მტრებად აცხადებდნენ. ადვოკატისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ფართო ასახვა ჰპოვა დასავლეთ ევროპის, რუსულ და ქართულ კლასიკურ მხატვრულ ლიტერატურაში. საბჭოთა მწერლებს ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ ადვოკატის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიას“, სადაც ორიოდე სიტყვაა ნათქვამი ადვოკატის პროფესიის შესახებ, მაგრამ საკმაოდ გამკიცხავი და დამამცირებელი.

რით უნდა ავხსნათ უარყოფითი დამოკიდებულება ადვოკატურისადმი წარსულში, როგორ უნდა გავავოთ დღევანდელ პირობებში ადვოკატის დაბალი ავტორიტეტი სხვა პროფესიებთან შედარებით?

ადვოკატურა, ისევე როგორც კლასები და სახელმწიფო ისტორიული კატეგორიაა. დაცვის ინსტიტუტი მამინ წარმოიშვა, როდესაც გაბატონებული კლასის სახელმწიფომ დააწესა თავისი სამართალი და დაიწყო დასჯა ყველა იმ პირისა, რომელიც ყოფაქცევის დაწესებულ ნორმებს — კანონს არღვევდა. ადვოკატი გამოდიოდა რა ასეთი პირის დამცველად, იმთავითვე უპირისპირდებოდა სახელმწიფოს ინტერესებს. დამოკიდებულება ადვოკატურისადმი განსაკუთრებით გამწვავდა პოლიტიკური პროცესების გამო, როდესაც ადვოკატებმა სასამართლოებში დაიწყეს არსებული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლთა დაცვა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-მა, რომელიც რუსეთის ისტორიაში ცნობილია თავის უადრესად რეაქციული პოლიტიკით, დეკაბრისტების დასჯით, კატეგორიულად განაცხადა: *Пока я буду царствовать, России не нужны адвокаты, проживем и без них.*

საფრანგეთში ყველაზე ადრე დაამხეს მონარქიული წყობილება და შექმნეს სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის სახელმწიფო, მაგრამ ადვოკატურას ამ ახალი ტიპის სახელმწიფომაც ბრძოლა გამოუცხადა იმავე მიზეზითა და საფუძ-



ვლით, როგორც მას ებრძოდნენ ნიკოლოზ I და სხვა მონარქები. ნაპოლეონ ბონაპარტი წინ აღუდგა საფრანგეთში ორგანიზებული ადვოკატურის ჩამოყალიბებას და როდესაც მას წარუდგინეს ადვოკატურის დაარსების პროექტი, მან ასეთი რეზოლუცია წააწერა: „ვინემდის მე ვატარებ ხმალს, ხელს არ მოვაწერ ასეთ ბრძანებულებას. პირიქით მსურს, რომ ყველა ადვოკატს მოვაჭრა ენა, რომელსაც მთავრობის წინააღმდეგ გამოიყენებსო“. ასევე მოიქცა უფრო ადრე რევოლუციონერი რობესპიერი, რომლის ბრძანებითაც ვილიოტინირებულ იქნა ადვოკატი, რომელიც შეეცადა დაეცვა ლუდოვიკო XVI-ის ქვრივი, დედოფალი მარია ანტუანეტა.

ექსპლოატატორული სახელმწიფოები საზოგადოების მცირე ნაწილს — ექსპლოატატორთა ინტერესებს იცავს და ანტაგონისტურადაა განწყობილი საზოგადოების ფართო მასებთან. ამ დროს ადვოკატურა იცავს რა ექსპლოატატორულ სახელმწიფოთა კლასობრივ და პოლიტიკურ მტრებს, ყალიბდება მოწინავე და პროგრესული საქმისათვის მებრძოლ პროფესიად და ადის საზოგადოებრივი მოღვაწის რანგში. თვითმპყრობელური რუსეთის ცნობილი სასამართლო-მოღვაწე ა. ფ. კონი თავის მოგონებაში აგვიწერს ვერა ზასულიჩის სასამართლოს პროცესს. ვ. ზასულიჩმა პეტერბურგის მმართველი გენერალი ტრეპოვი იმისათვის დასჭრა, რომ ამ უკანასკნელმა გააროზგვიანა პოლიტიკური პატიმარი, ხალხოსანი ბოგოლიუბოვი, ნაფიცმსაჯულთა სასამართლომ ა. ფ. კონის თავმჯდომარეობით ვ. ზასულიჩი გაამართლა. ავტორი გადმოგვცემს იმ აღტაცებას, რომლითაც საზოგადოება შეხვდა განაჩენის გამოტანის შემდეგ ვ. ზასულიჩის ადვოკატს — ალექსანდროვს. „ალექსანდროვი ვერ ასწრებდა ყველსათვის ხელის ჩამოთმევას და ჩამოვიდა თუ არა კიბეებიდან ხალხმა ხელში აიტაცა და ასე ხელში აყვანილი გამარჯვების სადღესასწაულო შეძახილებით მიიყვანეს ლიტენის ქუჩამდისო“. ასეთივე აღტაცებით შეხვდა რუსეთის მოწინავე საზოგადოება ბეილისის დამცველ ადვოკატებს და ასევე ხელში აყვანილი მიჰყავდათ ქუჩებში ფრანგებს ადვოკატები მანო და მორნარი 1894 წელს, როდესაც საფრანგეთის სასამართლომ გაამართლა დრეიფუსი, რომელიც ანტისემიტური მოძრაობის გაღრმავების მიზნით საბრალდებო სკამზე დასვა საფრანგეთის მონარქისტულ-კლერიკალურმა ბურჟუაზიამ და რეაქციურმა სამხედრო წრეებმა. დრეიფუსის დაცვის საქმეში ადვოკატებს გვერდში ამოუდგა საფრანგეთის მთელი მოწინავე საზოგადოება, დიდი რომანისტის ემ. ზოლას მეთაურობით.

მაგრამ ადვოკატები მართო პოლიტიკურ პროცესებში არ მონაწილეობდნენ, იცავდნენ დამნაშავეებსაც — მკვლელებს, ქურდებს, ხულიგნებს, მოძალადეებსა და სხვებს. აქ კი საზოგადოება განზე გაუდგა ადვოკატურას და გაიციხა მათი საქმიანობა, დიდმა მწერალმა მ. სალტიკოვ-შჩედრინმა რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა პეტერბურგის პრესაში ისეთი განათლებული ადვოკატის წინააღმდეგ, როგორც იყო სპასოვიჩი. სპასოვიჩმა დაიცვა ლოთი და მორალურად გახრწნილი მამა, რომელსაც დაუმტკიცა, საკუთარი ქალიშვილისადმი არაადამიანური მოპყრობა. მ. სალტიკოვ-შჩედრინის წერილებს რუსეთის მთელი მოწინავე საზოგადოება გამოეხმაურა.

„ძმების კარამაზოვების“, „დანაშაული და სასჯელის“ ავტორმა ფ. დოსტოვესკიმაც ადვოკატის მიერ ასეთი საქმის დაცვა ზნეობის საწინააღმდეგო აქტად ჩათვალა და პრესაში ასეთი სიტყვებით გამოეხმაურა მ. სალტიკოვ-შჩედრინის სტატიებს:

«Мне кажется, что избежать фальши и сохранить честь и совесть адвокату также трудно, вообще говоря, как и всякому достигнуть райского состояния».

მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსები და მაღალი რანგის ინტელიგენცია დასცინოდა ადვოკატურას კიდევ ერთი მიზეზით. ეს მიზეზი ის იყო, რომ ადვოკატურის ერთ ნაწილს აკლდა მეცნიერების ცოდნა და განათლება, რაც აშკარად ედებოდა სასამართლოს პროცესებზე წარმოთქმულ სიტყვაში. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამდელ რუსულ და ქართულ ადვოკატურას ჰყავდა სიტყვის მრავალი ბრწყინვალე ოსტატი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ არა მარტო სპეციალური ცოდნით, არამედ ზოგადი, საერთო განათლებითაც და მათი სიტყვების მოსამენად საგანგებოდ მოდიოდა საზოგადოების დიდი ნაწილი, მასში ამავე დროს მოკალათებული იყვნენ ბევრი ამ პროფესიისათვის შეუფერებელი პირებიც, გაუნათლებელი ადამიანები. ლ. ტოლსტოიმ კატუშა მასლოვას პირით ასეთ ადვოკატს „დურაჩოკი“ უწოდა, მ. სალტიკოვ-შჩედრინმა კი „ბალაიკინი“ აურჩია ადვოკატს გვარად, რაც სიმბოლურად მოლაყბეს ნიშნავს. უმეცარი და გაუნათლებელი ადვოკატების მეშვეობით საზოგადოებაში შეიქმნა აზრი, რომ ადვოკატის პროფესიის დაუფლებისათვის არაა საჭირო ბევრი შრომა და მეცნიერებისა და კულტურის შესწავლა. მაგალითად აკაკი წერეთელმა ადვოკატის თეორიული და იდეური მომზადებისათვის საკმარისად ჩათვალა გაზეთების კითხვა. პიესა „კინტოში“ აკაკის გამოყვანილი ჰყავს ქალაქელი ბატონი ალექსანდრე და იმერელი მოსამსახურე ბიჭი ალმასხანი. ბატონი შეისწრებს, როდესაც მოსამსახურე გაზეთს კითხულობს და მათ შორის იმართება დიალოგი:

„ალმასხანა — განა ფულისათვის კი არ ჩამოვსულვარ აქ ბატონო! ისეთი აზნაურიშვილი გახლავარ იმერეთში, რომ თქვენი მოწონებული! წიგნის სასწავლად ვიახელით.

ალექსანდრე — ლაქიაობაში?

ალმასხანა — კი, ბატონო. ჩვენში კი ვინც რაიმე იცის სულ ლაქიაობაში აქვს ნასწავლი.

ალექსანდრე — ბევრს მოასწრებდნენ.

ალმასხანა — რატომ, ბატონო? ვისაც კი გულისყური ემარჯვება, იმდენს კიდევ ისწავლის, რომ გაზეთებში წეროს და წიგნებში გამოსცეს. და ვინც ლაზლანდარაა, არც ის დარჩება ხელცარიელი, სულ რომ არა იყოს რა ადვოკატათ მაიც გამოდგება“.

ა. წერეთელი ისე შორს წავიდა ადვოკატის მოღვაწეობის უარყოფითად შეფასებაში, რომ ადვოკატობის პროფესიას მღვდლობა ამჯობინა და ლექსში „ბოდვაში“ ასე თქვა:

„იმერელი კიკოლიკა:  
 მოციქულად მზადდებოდა  
 ადვოკატად გაიტლიკა“.

საყვარელი პოეტის ასეთი შეხედულება ადვოკატზე უნდა მივაწეროთ იმ შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის პირად ცხოვრებაში. როგორც ცნობილია აკაკიმ ცოლად შეირთო ციმბირის ოქროს მადნების მრეწველი ვ. ბაზილევსკის ძმისშვილი ნატალია ბაზილევსკაია, რომელმაც გათხოვების შემდეგ საქმე აღძრა სასამართლოში ბიძის წინააღმდეგ, ვარდაცვლილი მამის დატოვებულ ქონებაზე. აკაკი პირადად აწარმოებდა სასამართლოში ცოლის სამემკვიდ-



რეო საქმეს და მოწინააღმდეგის ადვოკატების მოხერხებული ფანდებით პროცესზე დამარცხდა.

ქართველმა ნიჭიერმა ბელეტრისტმა ჭ. ლომთათიძემაც გაამათრახა ადვოკატის უცოდინარობა და გაუნათლებლობა თავის ნოველაში „ერთი სადამო ბატონ ადვოკატთან“. ხსენებულ ნოველაში აღწერილია ადვოკატის სამუშაო კაბინეტი: „მდიდრულად მორთული თაროები გატენილი იყო წიგნებით. სქელსქელი და მძიმე ტომები სხვა და სხვა ავტორთა, რომელთა შეძენა ჩვეულებათა აქვთ ამ ხელობის კაცებს, ბატონ ადვოკატზე ნაკლებად არ იყვნენ მოწყენილნი; დიდი ხანია, რაც პატრონის ხელი არ მიჰკარებიათ, მხოლოდ დროგამოშვებით უზრდელი მოსამსახურე თუ წაუხსახუნებდა ქოჩორზე ტილოს, დანარჩენ დროს კი ეს უმეტეს ნაწილად ბრძოლისა და ქარიშხლის მქადაგებელი წიგნები, ეწყვნენ ერთსა და იმავე ადგილას და შესცქეროდნენ კედლებს“. და მწერალი ადვოკატის კაბინეტის აღწერას ამთავრებს ასეთი სიტყვებით: ადვოკატმა „საწერი სტოლიც ისე დადგა, რომ ზურგი წიგნებისაკენ ქონდა შექცეული“.

კლასიკოსების გამოთქმაში ბევრია გადაჭარბებული და ზედმეტად ნათქვამი, მაგრამ არის ჭეშმარიტების ელემენტებიც. მაგრამ მწერლობის უარყოფითი დამოკიდებულება ამ პროფესიისადმი გამოწვეული იყო ადვოკატურის არა მარტო სუსტი მხარეებით, არამედ მათდამი არაკეთილ დამოკიდებულებას ასაზრდოებდა სხვა მიზეზებიც.

წარსულში, დასავლეთ ევროპაში, რუსებსა და საქართველოში ბევრი იყო პოწინავე და დიდად განათლებული ადვოკატი, რომელთაც შესძლეს ასულიყვნენ ეპოქის მეცნიერებისა და კულტურის სიმაღლეზე, ისინი თავიანთი ენციკლოპედიური განათლებით და ცოდნით იმდროინდელი საზოგადოების პირველი ხალხი იყვნენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი შემოქმედებითი სტილი — კრიტიკული რეალიზმი. მოვლენათა სოციალური და ფსიქოლოგიური ბუნების გახსნა და გამორკვევა ეახდა მწერლის კრიტიკა ამა თუ იმ ფაქტის ასახსნელად. მოწინავე ადვოკატები ბრწყინვალედ დაეუფლნენ მხატვრული მწერლობის ამ მეთოდს, თავი დაანებეს საბრალდებო საქმის იურიდიულ ანალიზს, ფორმალურ მტკიცებათა განმარტებას და სასამართლოს უხსნიდნენ იმ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს, რომლებმაც ბრალდებული დანაშაულამდე მიიყვანა. ადვოკატები ფ. დოსტოვესკის და ლ. ტოლსტოის თვალთა წვდებოდნენ ბრალდებულის სულის კუნჭულებს, ხსნიდნენ მის ღრმა ფსიქოლოგიურ სამყაროს და იქ მომქმედ ძალებს. საქმის ასეთ ფსიქოლოგიურ ანალიზს სჭირდებოდა საქმის შინაარსის მხატვრული თხრობა, პოეტური და პროზაული ენა და ადვოკატის სიტყვა გადაიქცა საინტერესო მხატვრულ მოთხრობად. ასეთი ადვოკატები, როგორც იყვნენ რუსეთში პლევაკო, კარაბჩევსკი, არსენიევი, ალექსანდროვი, ანდრონიკაშვილი, სპასოვიჩი და მრავალი სხვანი გვერდში ამოუდგნენ დიდ მწერლებს და გახდნენ მათი ნამდვილი კონკურენტები. მაგალითად ადვოკატ პლევაკოს სიტყვები, წარმოთქმული ოფიცერ ბერტენიევის დასაცავად, რომელმაც რომანულ ნიადაგზე მოკლა ვარშავის დრამატული თეატრის მსახიობი ქალი ტ. ვისნოვსკაია, ან თავად გრუზინსკის დასაცავი სიტყვა, რომელიც საბრალდებო სკამზე დასვეს ცოლის საყვარელის მკვლელობისათვის, თავიანთი მხატვრული ღირსებით, მოვლენათა ფსიქოლოგიური ანალიზით, თხრობის მხატვრული ძალით, არ ჩამოუვარდება



ლ. ტოლსტოის, ი. ტურგენევის და სხვა ცნობილ მწერლების საყოველთაოდ აღიარებულ რომანებს. მწერლებმა ადვოკატში დაინახეს თავიანთი პროფესიის მეტოქე და სხვა დადა სხვა პოზიციებიდან დაუწყეს მათ კრიტიკა. ეს გარემოებაც უთუოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მწერლების არაკეთილი დამოკიდებულებისა ადვოკატურისადმი.

ამ მოკლე ისტორიულ ექსკურსიის შემდეგ დავუბრუნდეთ ადვოკატურის ავტორიტეტის საკითხს ჩვენს პირობებში და ავხსნათ, თუ რითაა გამოწვეული მისი დაბალი ავტორიტეტი საზოგადოებაში.

საბჭოთა სახელმწიფოში არ არის ანტაგონისტური კლასები, სახელმწიფო გამოხატავს არა რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებს, რის გამოც ყოველი დარღვევა კანონისა, ასეთივე ზომით არის დარღვევა და შელახვა საზოგადოების ინტერესებისა. ამიტომ ძირითადი წინააღმდეგობა სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ადვოკატურას შორის, როგორც ეს წარსულში იყო, გამორიცხულია.

ამ წინააღმდეგობის მოხსნის მიუხედავად, თანამედროვე ადვოკატურა მაინც შეიცავს ორ, ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო თვისებებს, დადებითსა და უარყოფითს. სახელდობრ: ადვოკატურის მოღვაწეობა დადებითია როდესაც ის იბრძვის სამართლისა და ჭეშმარიტებისათვის, უარყოფითია როდესაც უხდება გამოსვლა პირიქით, სამართლისა და ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

როდისაა ადვოკატის მოღვაწეობა დადებითი და როდის გამოდის ის სამართლისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლის როლში?

საგამომძიებლო ორგანოების და სასამართლოების სუსტი და ხშირად არა ობიექტური მუშაობის შედეგად, ბევრ შემთხვევაში პასუხგებაში აძლევენ და დამნაშავედ ცნობენ სრულიად უდანაშაულო პირს, ან ბრალდებას აკვალიფიურებენ იმგვარად, რომ იგი არ შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს. უამრავი შემთხვევაა, როდესაც ადვოკატის მოღვაწეობის შედეგად ზემდგომ სასამართლო ორგანოებში უქმდება სახალხო სასამართლოების და უმალღეს სასამართლოს განჩინებები, საკასაციო კოლეგიების და პრეზიდიუმის განჩინებანი, ბევრ შემთხვევაში საქმეები წარმოებით წყდება დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო, ან ბრალდების კვალიფიკაცია და დანიშნული სასჯელის ზომა იცვლება მსჯავრდებულთა სასარგებლოდ.

ადვოკატის ასეთი საქმიანობა ე. ი. როდესაც ის აღწევს საქმეში კანონიერ შედეგს, დადებითია და ყველა შემთხვევაში იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას და პატივისცემას.

ადვოკატის პრაქტიკულ საქმიანობაში არის მეორე მხარეც, უარყოფითი. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც ადვოკატს სასამართლო პროცესზე ბრალდებულის დაცვის დროს უხდება ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა, რაც ბუნებრივად წარმოშობს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას ამ პროფესიისადმი. საზოგადოება განსაკუთრებით მწვავედ ავლინებს თავის ანტიპათიას ადვოკატურისადმი, როდესაც დანაშაული ჩადენილია პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ღირსების წინააღმდეგ.

რას ნიშნავს ადვოკატის მიერ ჭეშმარიტების უარყოფა?

ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდება, ვთქვათ საქართველოს სსრ სსკ 104-ე მუხლით, სასამართლო პროცესზე საქმის ერთობლივი მასალებით აბსოლუტურად მტკიცდება და სადაო აღარაფერია. საზოგადოება აღშფოთებულია ჩადენილი დანაშაულის საშინელებით, მაგრამ ბრალდებული მკაცრი

სასჯელის შიშით თავს დამნაშავედ არ ცნობს, უარყოფს ბრალდებას და აყენებს სრულიად უსაფუძვლო ვერსიას, რომლის დაჯერებაც არ შეიძლება. ადვოკატი კი, როგორც წესი, მიჰყვება ბრალდებულის ამ დაუჯერებელ ვერსიას და გამამტყუნებელი ფაქტების გვერდის ავლით, მოითხოვს ბრალდებულის გამართლებას. ასეთია მოვალეობა ადვოკატისა. ასეთი დაცვა წარმოადგენს ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფას და სასამართლოსათვის ხელისშეშლას, რომ ბოროტმოქმედი დაისაჯოს კანონის შესაბამისად. საზოგადოება ადვოკატის ასეთ დაცვით პოზიციას ხსნის არა მისი პროფესიული ვალდებულებით, არამედ მატერიალური დაინტერესებით და თვლიან, რომ ადვოკატს შეუძლია ყველაფერი თქვას, ყველაფერი იკადროს, დაიცვას ყოველგვარი დანაშაული ფულის გულისათვის. ჩვენი საამაყო ვაჟაც ადვოკატის ასეთი გამოსვლების გამო ადვოკატს თვლიდა ყოველად უბრინციბო და უსინდისო პერსონად, რომელიც ყოველგვარ უსამართლობას ჩადის და „ქებათა ქებაში“ ასე ჩამოაყალიბა ადვოკატის მოქალაქეობრივი და ზნეობრივი სახე:

„და ატრიალებს როგორც სურს  
ყველგან სამართლის ჩარხსაო,  
ქორს ქათამს წააღებინებს,  
პატრონს შეაჭმევს ძაღლსაო,  
ამ საქმეს წესიერად თვლის  
მიტომ არ იხრის წარბსაო“.

რუსული დემოკრატიული პოეზიის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენელიც, როგორიც ნ. ნეკრასოვი იყო, რომელიც ხშირად მოსულა ალტაცებაში, როდესაც ადვოკატები დიდი ნიჭიერებით იცავდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს, განზე გაუდგა ადვოკატურას და მათი გამოსვლები სისხლის სამართლის დამნაშავეთა დასაცავად ახსნა ფულით და მატერიალური სარგებლობით.

«И Садров гонимый неумеренный,  
Воскликнул мой присяжный поверенный:  
«Перед вами стоит гражданин  
Чище снега альпийских вершин».

არც ვაჟა და არც ნეკრასოვი არ იყვნენ სწორი თავიანთ შეხედულებებში და სინამდვილეში ადვოკატის ჭეშმარიტების წინააღმდეგ მებრძოლი პოზიცია, ახსნილი უნდა იქნეს ადვოკატის არა მატერიალური დაინტერესებით, არამედ ბრალდებულსა და ადვოკატს შორის კანონით დამყარებულ ურთიერთობით. ადვოკატი ის პირია, რომელიც ბრალდებულის მოწვევით იცავს მის ინტერესებს. მათ შორის წინასწარ იღება ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ბრალდებული ან მისი ჭირისუფალი ადვოკატს უხდის შრომით გასამარჯელოს და ადვოკატი კი ღებულობს ვალდებულებას დაიცვას ბრალდებული. ამის შემდეგ, უკეთუ ადვოკატი აღიარებს რაიმე ზომით მაინც ბრალდებულის ზრალს, როდესაც ეს უკანასკნელი აბსოლუტურად არ ცნობს თავს დამნაშავეთ, ამით ის არღვევს ხელშეკრულებას და ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას ასეთ დამცველზე და მოიწვიოს სხვა, რომელიც უარყოფს მის ბრალდებას.

ჩვენ ყველას გვახსოვს წარსულში ჩატარებული ფართო დისკუსია ცნობილ საბჭოთა იურისტებს შორის ადვოკატის დაცვის პოზიციის შესახებ, რის შედეგ-

გადაც განსაზღვრული იქნა, რომ ადვოკატი ვალდებულია გაჰყვეს ბრალდებულის გამამართლებელ ვერსიას, რომელსაც თვითონ ბრალდებული აყენებს, რომ ასეთ შემთხვევაში ადვოკატს არა აქვს უფლება იცნოს ბრალი, რომ ეს წარმოადგენს ბრალდებულის დატოვებას დაცვის გარეშე. პროფ. სტროგოვიჩი სწორია, როდესაც ადვოკატს თვლის „ბრალდებულის წარმომადგენლად სისხლის სამართლის პროცესში“.

ადვოკატურის საზოგადოებრივი ავტორიტეტის ამღლებების მიზნით, ზოგიერთი თვლის, რომ არ ვაყვეთ ბრალდებულის უმართებლო ვერსიას, მაგრამ არც დაცვაზე ვთქვათ უარი და საქმეში ვიპოვოთ „რაღაც დასაცავი“. ეს არის მითითება იმაზე, რომ სასამართლოს მიეუთითოთ საშეღვათო პირობებზე და მოვითხოვოთ სასჯელის შემსუბუქება. საქმიდან ასეთი „გამოსავლის“ პოვნა არ არის მართებული და ყოველთვის შესაძლებელიც. პირველყოფლისა იმიტომ, რომ ადვოკატს, რომელმაც უკვე იკისრა ბრალდებულის დაცვა, აღარა აქვს არავითარი უფლება იცნოს ბრალდებულის ბრალი, და მოითხოვოს სასჯელის შემსუბუქება. ადვოკატის ასეთი პოზიცია არ იქნებოდა დაცვა და ის უფრო ბრალდების მხარის დაჭერას წარმოადგენს. დავუშვათ, რომ ადვოკატი წავიდა ამ გზით, დაარღვია ხელშეკრულება დაცვის შესახებ და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება, მაგრამ ხომ არის ისეთ შემთხვევებიც, როდესაც დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმის გამო სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოების პოვნაც არ შეიძლება და აბსოლუტურად გამორიცხულია ყოველგვარი საშეღვათო გარემოებანი. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ორ შემთხვევას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკიდან. ეს არის ახლო წარსულში განხილული საქმეები მსჯავრდებულების გ. ხუჭუას და ვ. სკრეპკოვას საქმეები. პირველმა გააუბატურა ახლო მეზობლის 11 წლის გოგონა და შემდეგ საშინელი წამებით მოკლა ის; მეორემ კი დაადარჩო საკუთარი 6 წლის შვილი, მხოლოდ იმისათვის, რომ თავისუფლად მიეღო საყვარელი ბინაში. სასამართლო-სამედინო ექპერტიზის დასკვნებით ორივე მსჯავრდებულები სრულიად ნორმალურ ადამიანებად იყვნენ ცნობილი და ადვოკატს ევალება, რომ ასეთი დამნაშავენი დაიცვას, მოითხოვოს მათთვის სიცოცხლის შენარჩუნება, როდესაც მთელი საზოგადოება მოითხოვს მათს სიკვდილით დასჯას. ვანა არსებობს რაიმე საშეღვათო ასეთ შემთხვევაში, ვანა შეიძლება რაიმე ზომით დაცვა იმისა, ვინც ასეთი მხეცური საქციელი ჩაიდინა? ჩვენის ღრმა რწმენით, მათი დაცვა არ შეიძლება და ადვოკატი პროფესიული ვალდებულების გამო იძულებულია გამოვიდეს დამცველის როლში და წინ აღუდგეს საზოგადოების გულისწყრომას, სამართალს და ადამიანის მორალს.

სისხლის სამართლის პროცესში, მოქმედი კანონის მიერ არც ერთი მხარე ისე შეზღუდული არ არის, როგორც ადვოკატი. პროკურორს უფლება აქვს მოქალაქე მისცეს პასუხისმგებაში, დაპატიმროს ის და საქმე განსახილველად გადასცეს სასამართლოს, მაგრამ უკეთეს სასამართლო გამოძიებით არ დამტკიცდება ბრალდებულის დანაშაული, იმავე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდებულის გამართლება და განთავისუფლება. ადვოკატს კი პროკურორის თანაბარი უფლება არა აქვს. ის ეცნობა წინასწარ გამოძიების მასალებს, წარდგენილი ბრალდება საეჭვოდ ეჩვენება და ამ მოსაზრებით თანახმა ხდება დაიცვას ბრალდებული. სასამართლო პროცესზე კი, დანაშაული მთელი თავისი სიმძიმით აშკარა გახდა, ადვოკატი აღარაა განწყობილი მის დასაცავად და შინაგანი რწმენით, ის საზოგადოების და ბრალდების მხარეზეა, მაგრამ მას



უკვე აღარა აქვს უფლება უარი თქვას დაცვაზე და ვალდებულია მაინც დაიცვას ბრალდებული. საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ადვოკატს „უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ბრალდებულის დაცვაზე მის შემდეგ, რაც მან ეს იკისრა“. რატომ ევალება ადვოკატს ასეთი მძიმე მოვალეობა, რომ გამოეთიშოს ფართო საზოგადოების განწყობილებას და თავისი რწმენის წინააღმდეგ დაიცვას ბრალდებულის ყოველად გაუმართლებელი საქციელი, დამაჯერებლად განმარტებული და ახსნილი არ არის.

ადვოკატის საზოგადოებრივი ავტორიტეტის ამალღებისათვის დაცვის სწორი და გონივრული პოზოციის არჩევასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ადვოკატის მიერ პროფესიის კარგად დაუფლებას, სპეციალური მეცნიერების ცოდნას და საერთო განათლებას. ჩვენ ადვოკატს ვერ წავუყენებთ ციცირონის მოთხოვნას, რომ იყოს დიალექტიკოსი, ჰქონდეს პოეტის ენა და ტრალიკოსის პათოსი, მაგრამ ადვოკატი ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს უნივერსალური განათლების მქონე და მხატვრული სიტყვის ოსტატი.

ქართული ადვოკატურას ყვას ბრწყინვალე ადვოკატები, მაგრამ ჩვენს რიგებში უთუოდ იგრძობა ჩამორჩენილობა, განათლების და კულტურის მეტად დაბალი დონე.

ერთ ადვოკატს, რომელიც ადრე ორი ათეული წლები სახალხო მოსამართლედ მოღვაწეობდა, იურიდიულ კონსულტაციაში კოლეგები ეხუმრენ — „შენ გეძებს ლამაზი რუსის ქალი ანა კარენინა და ვერ განახა. თურმე ქმარს შორდება და პოლკოვნიკ ვრონსკის მიჰყვება ცოლად, შენი აყვანა სურს დამცველად სასამართლოში განქორწინების საქმეზედ. დაიბარა, რომ კიდევ შემოივლის და გთხოვა აქ იყოვო“. დიდი პრაქტიკის მქონე ადვოკატი იმდენად სუსტი აღმოჩნდა მხატვრულ ლიტერატურაში, რომ დღის ბოლომდე ფეხი აღარ გაუდგამს კონსულტაციიდან და ელოდა ლ. ტოლსტოის ცნობილი რომანის გმირს, ანა კარენინას. იყო შემთხვევაც, როდესაც ადვოკატმა, რომელსაც თავის დროზე მაღალი თანამდებობა ეკავა რაიონის და საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურაში, შეურაცხყოფად მიიღო სიტყვა „ცივილისტი“ და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში იჩივლა, „მლანძღეს, მაგინეს, ცივილისტი შეძახესო“. მოყვანილი მაგალითები შეიძლება ვინმემ არც დაიჯროს, რადგან ის უფრო ანეგდოტს ჰგავს, ვიდრე ჭეშმარიტებას, მაგრამ სამწუხაროდ ეს სინამდვილეა. რა თქმა უნდა, რომ ასეთი დაბალი განათლების და კულტურის ადვოკატები საზოგადოების თვალში ვერ აამაღლებენ ადვოკატურის პრესტიჟს.

როგორ უნდა გარდაიქმნას ადვოკატურის საქმიანობა, რომ ის ვახდეს მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლ პროცესიათ და ადვოკატი იქცეს ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ?

ჩვენი აზრით ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის მაღალი განათლება და კულტურა. როგორც აღვნიშნეთ ქართულ ადვოკატურას საკმაოდ ყავს მეცნიერებას კარგად დაუფლებული ადვოკატები, რომლებიც სამართლისადმი პატივისცემით ახორციელებენ პროფესიულ საქმიანობას, მაგრამ სამწუხაროდ ამ ჭეშმარიტად ინტელიგენტ ადამიანებსაც ხშირად უხდებათ სამართლისა და ზნეობის წინააღმდეგ მოქმედება იმ გარემოებათა გამო, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. რომ ეს მდგომარეობა შეიცვალოს და ადვოკატმა შესძლოს იმოქმედოს მხოლოდ თავისი შინაგანი რწმენით და მოქალაქეობრივი პრინციპით,

საჭიროა ის „განთავისუფლდეს“ თანამედროვე მდგომარეობიდან, რომელშიც მას კანონი და ისტორიულად გამომუშავებული პრეცედენტი აყენებს, რომ ადვოკატი არ უნდა იყოს ბრალდებულისაგან „დაქირავებული“, არ უნდა იყოს სისხლის სამართლის დამნაშავეს „კმაყოფაზე“.

როგორ უნდა მოხერხდეს ეს, იმით, რომ მოხდეს დაცვის ინსტიტუტის გასახელმწიფოებრიობა, გადავიდეს საზოგადოებრივ საწყისებზე თუ, აირჩიოს სხვა გზა, ეს სერიოზული გამოკვლევისა და შესწავლის საქმეა.



## უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგნიკით სიახლე\*

დოკტორი ბ. ხორვატი

კონსტიტუციის 38-ე მუხლის შესაბამისად „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ანხორციელებს პრინციპულ ხელმძღვანელობას სასამართლო საქმიანობისა და სასამართლოთა მიერ განაჩენის გამოტანის მიმართ. უმაღლეს სასამართლოს შეუძლია დაადგინოს სახელმძღვანელო პრინციპები და გამოიტანოს ყველა სასამართლოსათვის სავალდებულო, პრინციპული მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი“.

უმაღლესი სასამართლოს ეს როლი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის (1961 წ) მიღების შემდეგ. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდში უმაღლესმა სასამართლომ რამოდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი დაადგინა და პრინციპული მნიშვნელობის გადაწყვეტილება გამოიტანა. ასე მაგალითად, უმაღლესმა სასამართლომ № 23 პრინციპული გადაწყვეტილებით დაადგინა „განსაკუთრებით დიდი ზარალის ცნება, № 25 პრინციპული გადაწყვეტილებით „წვრილმანი ვატაცების“ ცნება, ხოლო № 28 პრინციპულ გადაწყვეტილებაში მოცემულია საკუთარი ბრალით გამოწვეული სიმთვრალის სისხლისსამართლებრივი შეფასება. თუმცა პრინციპული გადაწყვეტილების და სახელმძღვანელო პრინციპის იურიდიული ხასიათი ჯერჯერობით სათანადო სიმკვეთრით არ არის გამოჩენილი, მაინც შეიძლება დადგინდეს, რომ პრინციპული გადაწყვეტილება ჩვეულებრივად დაკავშირებულია სამართლის ახსნა-განმარტების კონკრეტულ პრობლემებთან, ხოლო სახელმძღვანელო პრინციპებს უმაღლესი სასამართლო იყენებს იმ განსაზღვრულ სამართლებრივ-პოლიტიკურ დებულებათა გასახორციელებლად, რაც მთელ მართლმსაჯულებას შეეხება. 1965 წ. განმავლობაში უმაღლესი სასამართლოს პლენარულმა სხდომამ დაადგინა სისხლის სამართლის ხაზით ორი სახელმძღვანელო პრინციპი. № 4 სახელმძღვანელო პრინციპი მიზნად ისახავს სასამართლო პრაქტიკა წარმართოს ადამიანის სიცოცხლის დაცვის გაძლიერებისაკენ, ხოლო სახელმძღვანელო პრინციპი № 6 იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში არაერთგზის მიცემულთა შეფასების შესახებ.

1.

ადამიანის სიცოცხლის კიდევ უფრო გაძლიერებული დაცვის შესახებ № 4 პრინციპის შესავალში ნათქვამია: ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შედარებით დიდი რიცხვი გვიჩვენებს, რომ საზოგადოება არ არის სათანადოდ დაცული ასეთი დანაშაულისაგან. ამგვარად, ასეთი ვითარება ეწინააღმდეგება იმას, რომ „ადამიანის პიროვნული უფლებანი... შესაძლებელია სრულად გაიშალოს მხოლოდ სოციალიზმის დროს“.

რა მდგომარეობაა განზრახი მკვლელობის სფეროში?

შედარებით ხანგრძლივი პერიოდის სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკის გამოკვლევა გვიჩვენებს 1960 წლიდან მოყოლებით დანაშაულის საერ-

\* სტატია დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

თო რიცხვის შემცირების ტენდენციას და დანაშაულის საერთო რიცხვის მნიშვნელოვნად დაბალ დონეს 1938 წელთან შედარებით.

იგივე არ შეიძლება ითქვას ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ. ამ დანაშაულის რიცხვი 1938 წლიდან სხვაგვარ დანაშაულობათა ანალოგიურად არ მცირდება, ორი უკანასკნელი წელი კი გვიჩვენებს განზრახი მკვლელობის რიცხვის ერთგვარ ზრდას.

სოციალისტურ საზოგადოებაში განზრახ მკვლელობის წინააღმდეგ ბრძოლა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ამ მხრივ გამართლებულია ის საერთო დებულება, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა საშუალებას იძლევა შევზღუდოთ, ხოლო შემდეგ სრულიად ლიკვიდაცია ვუყუთ დანაშაულს, როგორც საზოგადოებისათვის საშიშ ქცევის ტიპს, მაგრამ ეს პროცესი შედარებით ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს გულისხმობს, მეორე მხრივ არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებშიც არ არის გამორიცხული ამ საკითხში ზოგიერთი პერიოდული რეგრესიკ კი.

უმადლესი სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო „...მკვლელობის თავიდან აცილება, ადამიანის სიცოცხლის გაძლიერებული დაცვა ჩვენი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა“.

სისხლის სამართლის საერთო ამოცანების მითითების შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპი ანალიზს უკეთებს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ განზრახი დანაშაულის იურიდიულ პრობლემას. უნგრეთის სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომის მეტად დიფერენცირებულ განსაზღვრას იძლევა. სასჯელი განზრახი მკვლელობის ძირითადი შემადგენლობისათვის განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 15 წლამდე (§ 253, I აბზაცი).

კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10-დან 15 წლამდე ანდა სიკვდილით დასჯას, თუ კი დანაშაული ჩადენილია: ა) განსაკუთრებული სისასტიკით, წინასწარი მოფიქრებით ანდა მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში ხერხით; ბ) ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით; გ) თანამდებობის პირის წინააღმდეგ მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან შესრულებასთან დაკავშირებით; დ) რამდენიმე პირის მიმართ ანდა რეციდივისტის მიერ (§ 253 II აბზ.)

მკვლელობა ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იხვევა თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 8 წლამდე.

რამდენადაც სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მოქმედებაში შესვლიდან ცოტა დრო გავიდა, სახელმძღვანელო პრინციპი ეხება განზრახი მკვლელობის მხოლოდ იმ პრობლემებს, რომლებიც გარკვეულ პრაქტიკულ სიმძნელებთან არიან დაკავშირებული:

ა) იმის გამო, რომ უნგრეთის სისხლის სამართლის მიხედვით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას ევენტუალური განზრახვითაც სასამართლო პრაქტიკაში რთულ პრობლემას წარმოადგენს მკვლელობის მცდელობისა და სხეულის დაზიანების ურთიერთ გამიჯვნა, იმ შემთხვევაში როდესაც არ შეიძლება დადგენილ იქნას პირდაპირი განზრახვა სხეულის დაზიანების ან მკვლელობის მიმართ.

ბრალეულობის ამ ფორმების ანალოგიის დროს სახელმძღვანელო პრინციპი მიუთითებს, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლელობის დროს დამნაშავე ითვალისწინებს დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობას, მაგრამ იგი გულგრილად ეკიდება თავისი მოქმედების ამ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს. სასამართლო პრაქტიკას გამოაქვს დასკვნა ბრალეული პი-


რის განზრახვის შესახებ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების საფუძველზე (დანაშაულის იარაღის ვარგისიანობა მკვლელობისათვის, მკვლელობის ჩადენის საშუალება, დაზიანების ადგილი და ხასიათი და სხვ.). სახელმძღვანელო პრინციპში ხაზგასმულია, რომ დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ამ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შეფასება მათ ურთიერთმოქმედებაში. ამ პრინციპით ხაზგასმულია აგრეთვე, რომ შეგნების კონკრეტული შინაარსის გამოკვლევა არ შეიძლება შეცვლილ იქნეს ისეთი დასკვნით, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის საშუალების სიცოცხლისათვის საშიშ ხასიათს, დაზიანების ადგილსა და ხასიათს და აგრეთვე საერთო საყოფაცხოვრებო გამოცდილებას.

ბ) მკვლელობის შემადგენლობის კვალიფიციური სახეებიდან სახელმძღვანელო პრინციპი ორ შემადგენლობაზე ლაპარაკობს: მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით და წინასწარ მოფიქრებული მკვლელობა. ორივე ეს შემადგენლობა ახალია ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ მათი ერთგვაროვანი განმარტება პრაქტიკას მნიშვნელოვან პრობლემებს უყენებს.

სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით მკვლელობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც განსაკუთრებით სისასტიკით ჩადენილი მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩადენილი იყო ისეთი განსაკუთრებული არაადამიანობით, რომელიც აჭარბებს მკვლელობის ჩვეულებრივ სისასტიკეს, ანდა მაშინ, როდესაც მოქმედებამ დაზარალებულს მიაყენა ისეთი ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ჩვეულებრივ განცდას, რაც თან ახლავს ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევას. ასეთი კვალიფიკაცია საფუძვლად შეიძლება დაედოს დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებით არაადამიანური ხერხი. ასეთი არაადამიანობის ფაქტი შეიძლება დადგინდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზარალებული უგრძობ მდგომარეობაში ყოფნის გამო ვერ გრძობდა ტკივილს.

მკვლელობა წინასწარ მოფიქრებული საშუალებით, როგორც შემადგენლობის კვალიფიციური ნიშანი, გარკვეულად ენათესავება წინა განზრახულობის პრემედიტაციის ცნებას, რომელსაც იცნობდა ჩვენი ადრინდელი კანონმდებლობა. სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით წინასწარ მოფიქრებული საშუალებით ჩადენილი მკვლელობა მაშინ თუ დანაშაულის ჩადენი პირი წინასწარ მოფიქრებს მოქმედების ჩადენის ხერხს, ადგილსა და დროს, ასწონ-დასწონის დანაშაულის ჩადენის ხელისშემშლელ და ხელისშემწყობ გარემოებებს, ითვალისწინებს დანაშაულის მომზადებისა და განხორციელების ყველა მომენტებს და ცდილობს იმოქმედოს ამ მომენტების შესაბამისად. მაგრამ ყველა შემთხვევაში ფაქტორის ერთად არსებობა საჭირო არ არის, სუბიექტური მხრივ მოცემული მაკვალიფიცირებელი ნიშანი არ მოითხოვს განზრახვის განსაზღვრული ფორმის არსებობას. ეს მოქმედება ხშირ შემთხვევაში ხორციელდება სწორედ პირდაპირი განზრახვით. სახელმძღვანელო პრინციპი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინასწარ მოფიქრებული მკვლელობა სახეზეა თუ მოქმედების განხორციელება ზოგადად პირს წინასწარ მოფიქრებული ქონდა და ასევე წინასწარ იყო დაგეგმილი ის ქცევა, რომელიც დანაშაულს წინ უძღოდა. ამ მაკვალიფიცირებელი გარემოების დადგენა არ არის გამორიცხული მოქმედების განხორციელების ალტერნატიული გეგმის არსებობის პირობებშიც, აგრეთვე მაშინაც, როდესაც მოქმედების გეგმის განხორციელება დამოკიდებული იყო რომელიმე სხვა გარემოების განხორციელებაზე, ანდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირმა გარემოებათა შეცვლის გამო გამოიყენა წინასწარ შემუშავებული გეგმისაგან განსხვავებული მოქმედების საშუალება.

გ) სახელმძღვანელო პრინციპში ზემოთ მითითებული კვალიფიკაციის საკითხების გარდა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებს, რომლებიც მუდამ ეხება მკვლელობისათვის სასჯელის დანიშ-



ვნაში. სახელმძღვანელო პრინციპი აანალიზებს საერთოდ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით სასჯელის დანიშვნის უმთავრეს პრინციპულ პრობლემებს, ხოლო შემდეგ ვადადის სასჯელის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა განხილვაზე. სახელმძღვანელო პრინციპის ეს ნაწილი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ნუსხას.

სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემებით უკანასკნელ წლებში იზრდება მცდელობის სტადიაზე შეჩერებული მკვლელობის რიცხვი. 1963 წელს უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილულ მკვლელობის საქმეთა ორი მესამედი წარმოადგენდა მოქმედებებს, რომლებიც შეჩერებული იყო მცდელობის სტადიაზე. ამავე დროს სასჯელთა დანიშვნის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სასჯელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ინიშნება მცდელობისათვის, არ შეესაბამება ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას. ჩვენის აზრით მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციისა და მისთვის სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა ცდილობს შეათავსოს ორი საწინააღმდეგო მიმართულების ტენდენცია. სახელმძღვანელო პრინციპი სასჯელზე სწორად სთვლის ადამიანის სიცოცხლის თანამიმდევრულ და ყოველმხრივ დაცვას ცენტრალურ ამოცანად. შესაბამისი ორგანოები ადამიანის სიცოცხლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე აფართოვებენ მკვლელობის მცდელობის ცნებას. კანონი ამისათვის ყველა შესაძლებლობას იძლევა თუ კი მხედველობაში მივიღებთ კანონის მიერ ევენტუალური განზრახვის და მცდელობის ცნების განსაზღვრას. იგივე გარემოებას სასჯელის დანიშვნის საკითხში მივყევართ იქამდე, რომ მკვლელობის მცდელობისათვის დანიშნული კონკრეტული დანაშაული არსებითად რჩება იმ სასჯელის ჩარჩოში, რომლის შეფარდება ხდება სხეულის მძიმე დაზიანებისათვის.


უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპი მიუთითებს იმაზე, რომ დამთავრებული მკვლელობის დროს სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა საერთოდ შეესაბამება განხილული დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას.

საბოლოოდ ვერ არ ჩამოყალიბებულა სასამართლო პრაქტიკა ისეთი საქმეების მიმართ, როგორცაა ჩვილ ბავშვთა მკვლელობა მშობიარობის დროს, ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უნგრეთის სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა უარი სთქვა შვილის მკვლელობის დანაშაულის შემადგენლობაზე, ასეთ საქმეებზე გამოყენებულია ნორმები, რომლებიც მკვლელობას შეეხება ისე, რომ მხედველობაშია მიღებული კანონის მიუთითებანი შეზღუდული შერაცხადობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო პრინციპში ხაზგასმულია, რომ შვილის მკვლელობის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებისა და მისთვის სასჯელის დანიშვნის დროს განსაზღვრელს წარმოადგენს ის, თუ რაოდენ შეამცირა მშობიარობასთან დაკავშირებულმა ფიზიკურმა და სულიერმა მდგომარეობამ დამნაშაის შერაცხვის უნარი.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე უმაღლესმა სასამართლომ შეიმუშავა შემდეგი სამართლებრივი — პოლიტიკური ხასიათის სახელმძღვანელო პრინციპები:

1. რამდენადაც დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია და ბრალულობის ხარისხის მოქმედების ობიექტური მნიშვნელობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით სასჯელის დანიშვნა წარმოადგენს განაჩენის დიფერენცირებული გამოტანის წინამძღვარს, ამდენად აუცილებელია გაძლიერებული იქნეს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კრიმინოლოგიური გამოკვლევა, გახსნილ იქნას დანაშაულის ჩამდენი პირის მამოძრავებელი მოტივები და ყველა პირადი გარემოება; ამასთან ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებებზე, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს მოტივების ჩამოყალიბებაში.

2. მკვლელობის საქმეების განხილვისას განსაკუთრებულნი ყურადღება



უნდა მიექცეს მოქმედების ობიექტურ მნიშვნელობას, მაგრამ ამას ხელს უშლის:

ა) ფაქტორები, რომლებიც სრულიად არ არიან დაკავშირებულნი ან სუსტად არიან დაკავშირებულნი დანაშაულის ჩადენასთან.

ბ) ისეთი გარემოებების გადაფასება, როგორცაა მოქმედების შეჩერება მცდელობის სტადიაზე, შედეგის დაუდგომლობა, დაზარალებულის გამოჯანმრთელების შედარებით მოკლე ვადა, განსაკუთრებით თუ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მედიცინის მეცნიერების დიდი განვითარების შედეგს;

გ) დამთავრებული მცდელობის სიმძიმის შეუფასებლობა.

3. რამდენადაც ალკოჰოლი ძალზე ხშირად ხელს უწყობს მკვლელობის ჩადენას (მკვლელობის 40-50% ჩადენილია სიმთვრალეში და ამავე დროს მას ზრდის ტენდენცია ახასიათებს). საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება და ამიტომ:

ა) საჭიროების შემთხვევაში ჩატარებულ უნდა იქნას სისხლის სამედიცინო გამოკვლევა მასში ალკოჰოლის შემადგენლობის დასადგენად და გარკვეულ უნდა იქნეს ხომ არ არის ბრალდებული ქრონიკული ალკოჰოლიკი.

ბ) საჭიროა შესწავლილ იქნას ალკოჰოლიკების მიმართ იძულებითი მკურნალობის აუცილებლობის საკითხი.


4. მკვლელობის დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით ქმედობის, განსაკუთრებით მცდელობის სტადიაზე შეჩერებულ მოქმედების, განხილვისა და შესწავლის დროს გაცილებით მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დანაშაულის ჩადენის საშუალების საშიშროების ხარისხს.

5. ისეთ შემთხვევებში, როდესაც დედა ჰკლავს ახალშობილს მშობიარობის პროცესში ანდა უშუალოდ მშობიარობის შემდეგ, აუცილებლად უნდა გაირკვეს, ხომ არ ჰქონდა დამნაშავეს შეზღუდული შერაცხადობა.

## 11.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში დანაშაულობის მდგომარეობის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს რეციდივის მაჩვენებლებს. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით რეციდივი საზოგადოებაში წარმოადგენს ისეთ სნეულების კერას, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს სისხლისსამართლებრივმა პოლიტიკამ.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შედგენის დროს კანონმდებელი გამოდიოდა სამართლებრივი პოლიტიკის იმ პრინციპიდან, რომ რეციდივისტიები, რომლებიც ჯიუტად ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესებს უნდა დაისაჯონ კანონის მთელი სისასტიკით. ამ პრინციპის გამოყენება უზრუნველყოფილია მრავალი კანონიერი განკარგულებით. 115-ე პარაგრაფის მიხედვით, სხვა დებულების არარსებობის შემთხვევაში, რეციდივისტად ცნობილია პირი, რომელსაც უკვე მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ისეთივე განზრახვი დანაშაულისათვის, რომელიც მან კვლავ ჩაიდინა, თუ სასჯელის მოზღის ან თავისუფლების აღკვეთის შეწყვეტიდან არ გასულია 5 წელი. რეციდივის ცნების უფრო ფართო გაგებას იძლევა 214 პარაგრაფის მე-3-ე აბზაცი პარაზიტული ხასიათის დანაშაულთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში დამნაშავეს რეციდივისტად ცნობის საფუძველს წარმოადგენს მოტივების მსგავსება, იგივეობა. ამ დებულებით შრომითი საქმიანობიდან თავის ამრიღებელ რეციდივისტად შეიძლება ცნობილ იქნას ის, ვისაც მისჯილი ჰქონდა. თავისუფლების აღკვეთა შემდეგი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის: შრომითი საქმიანობიდან საზოგადოებრივად საშიში თავის არიდება; ხელობის სახით ჩადენილი გარყვნილება, ხელობის სახით სხვისი წაქეზება გარყვნილებისავე, ან ამისათვის ხელის შეწყობა, ხელობის სახით ჩადენილი სუტენერობა ან მაჭანკლობა, თუ კი



ასეთი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდიდან ან მისი შეწყვეტიდან ახალი დანაშაულის ჩადენამდე ჯერ კიდევ არ გასულა 5 წელი. ასევე რეციდივისტის ცნების უფრო ფართო გაგებას შეიცავს 257-ე პარაგრაფის მე-6 აბზაცი, რომელიც სხეულის დაზიანებას ეხება.

რეციდივისტად ჩაითვლება ისიც, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო მკვლელობისათვის ანდა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისათვის. რეციდივისტის ცნების კიდევ უფრო ფართო გაგება მოცემულია § 311-ის II ნაწ. რომლის მიხედვით საზოგადოებრივი და პარალელური ჯიშების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენ რეციდივისტად ჩაითვლება პირი, რომელსაც ადრე მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის განზრახ ჩადენისათვის. ყველა ამ შემთხვევისათვის კანონმდებელი მოითხოვს, რომ სასჯელის მოხდიდან ან მისი მოხდის შეწყვეტიდან გასული იყოს 5 წელზე ნაკლები დრო.

ამგვარად, ჩვენს სსკ-ში რეციდივი, როგორც მკვალიფიცირებელი ნიშანი, ფორმულირებულია სხვადასხვაგვარად და გარდა ამისა სასამართლო პრაქტიკა სასჯელის დანიშვნის დროს დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს საერთო რეციდივსაც, რომელიც არ იძლევა საფუძველს მოქმედების უფრო მძიმე კვალიფიკაციისათვის (წინანდელი ნასამართლობა). ამ დებულებებმა, რომლებიც განსხვავებულ სისხლისსამართლებრივ შეფასებას მოითხოვენ, ბუნებრივად გამოიწვია სასამართლო პრაქტიკაში გარკვეული გაუგებრობა. ეს ხელს არ უწყობდა რეციდივის ერთიან სისხლისსამართლებრივ შეფასების შექმნას და სასჯელის დანიშვნის პრაქტიკაც არ იყო სათანადოდ მკაცრი. მეორეს მხრივ აუცილებელია მხედველობაში ვიჭონოთ ის, რომ მხოლოდ უკანასკნელ წლებში ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შექმნის შემდეგ დაიწყო ის მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც მოწოდებულნი არიან განმარტონ რეციდივისტთა დამანაშაულობის მოვლენა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებაში შესვლის შემდეგ მიღებულმა სასამართლო პრაქტიკის გამოცდილებამ და აგრეთვე უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა კრიმინოლოგიურმა გამოკვლევებმა საშუალება მისცეს უმაღლეს სასამართლოს შეექმნა ამ, როგორც იურიდიულ, ისე კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, მეტად რთულ საკითხთა კომპლექსისათვის სავალდებულო სახელმძღვანელო პრინციპი. ამ მიზნებს ემსახურება № 6 სახელმძღვანელო პრინციპი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში განმეორებით მიცემულ პირთა შეფასების შესახებ.

სახელმძღვანელო პრინციპი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამანაშავე რეციდივისტების წინააღმდეგ ბრძოლა, არ შეიძლება შემოფარგლულ იქნეს რეციდივისტების ზემოთ აღნიშნული სისხლის სამართლებრივი წრით.

სახელმძღვანელო პრინციპი, ეყრდნობა რა კრიმინოლოგიური გამოკვლევების შედეგებს, გამოდის არა რეციდივისტის ცნების სისხლისსამართლებრივი, არამედ ამ ცნების კრიმინოლოგიური გაგებიდან. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რეციდივისტის ცნების კრიმინოლოგიური გაგება მოიცავს განმეორებით დანაშაულის ჩამდენ ისეთ პირებს, რომლებიც ამჟღავნებენ დანაშაულებრივი ქცევისადმი ერთგვარ მყარ მიდრეკილებას. ამგვარად, ამ წრეს ეკუთვნიან რეციდივისტები სისხლისსამართლებრივი გაგებით და ნაწილი იმ პირებისა, რომელთაც აქვთ ნასამართლობა, მაგრამ არ შედიან ზემოთ აღნიშნულ წრეში.

კანონი ზუსტად საზღვრავს იმ პირთა სისხლისსამართლებრივი შეფასების ასპექტებს, რომლებიც კანონის ზოგადი ან სპეციალური განკარგულების საფუძველზე მიჩნეულნი არიან რეციდივისტებად. რეციდივთან, როგორც კვალიფი-



ციურ გარემოებასთან დაკავშირებით უმადლესმა სასამართლომ არა ერთხელ მიიღო დადგენილება სამართლის ახსნა-განმარტების სხვადასხვა სპეციალურ საკითხზე. სხვათა შორის მან დაწესა, რომ ასეთი გარემოების არსებობის საფუძვლად შეიძლება გამოდგეს მსჯავრდება მხოლოდ ისეთივე სიმძიმის დანაშაულისათვის, რომელიც შემდგომია ჩადენილი.

რეციდივი მაკვალიფიცირებელ გარემოებად უნდა იქნეს განხილული იმ შემთხვევაშიც, თუ პირი წინათ მსჯავრდებული იყო ისეთივე დანაშაულისათვის, რომლის შემადგენლობა მოიცავს შემდგომ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობასაც. ასე მაგალითად, ტერორისტული აქტის ჩამდენი პირი სსკ 126-ე პარაგრაფის 1 აბზაცი) შეიძლება ცნობილ იქნეს რეციდივისტად თუ მას ადრე ჩადენილი ჭონდა მკვლელობა (სსკ § 256). პირის რეციდივისტად ცნობისათვის არა აქვს მნიშვნელობა ადრე ჩადენილი დანაშაული შეფასებული იყო, როგორც ძირითადად მაკვალიფიცირებელი თუ პრივილეგირებული შემთხვევა. ასევე არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომელიმე ამ დანაშაულთაგანი შეჩერებული იყო მცდელობის სტადიაზე, თუ მოგვევლინა დამთავრებული სახით, ანდა რა როლში გვევლინება დამნაშავე — აღმასრულებლის თუ დამხმარის.

სახელმძღვანელო პრინციპი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოლო უნდა მოელოს რეციდივისტთა მიმართ უსაფუძვლოდ ლმობიერი სასჯელების გამოტანას.

რეციდივის კრიმინოლოგიური გაგება მჭიდროდ არის დაკავშირებული ნასამართლობასთან. პირი, რომელსაც ადრე ჩადენილი აქვს ნებისმიერი, თუ გინდ შემდეგში ჩადენილი დანაშაულიდან სავსებით განსხვავებული დანაშაული, რისთვისაც იგი მსჯავრდებული იყო, უნდა ჩაითვალოს ნასამართლობის მქონედ. ნასამართლობის მქონე პირთა შორის უნდა განვასხვავოთ უბრალო რეციდივისტები და რეციდივისტები კრიმინოლოგიური გაგებით. ნასამართლობა, როგორც ამაზე ხაზგასმით მიუთითებს სახელმძღვანელო პრინციპი, საერთოდ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს, მაგრამ აქაც აუცილებელია გავატაროთ შემდგომი დიფერენციაცია. ასე მაგალითად, ვამიჯვნის საფუძვლად შეიძლება მოგვევლინოს ის, რომ ორი დანაშაულისაგან ერთი ან ორივე ჩადენილია განზრახ. საზოგადოებისათვის ძალზე საშიშნი არიან პირები, რომლებიც ჩადიან განურჩევლად სხვადასხვა დანაშაულის სერიას და ამით საზოგადოებისათვის ქმნიან მუდმივ საშიშროებას, თუმცა მათი მოქმედება არ იძლევა მათ რეციდივისტად ცნობისა და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემის საშუალებას. ასევე ნასამართლობის მქონეთა შორის უნდა განვასხვავოთ პირები, რომლებიც ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ ასეთივე ან ამგვარივე დანაშაულისათვის, თუმცა მათი მოქმედება კვალიფიკაციის თვალსაზრისით არ შედის სსკ კოდექსის 115-ე პარაგრაფის მოქმედებათა სფეროში. სავსებით ნათელია, რომ არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული სასჯელის დანიშვნის დროს რეციდივი კრიმინოლოგიური გაგებით, ისეთი დანაშაულის დროსაც, რომლებსაც კანონი არ სთვლის რეციდივად და არ განიხილავს, როგორც მაკვალიფიცირებელ გარემოებას (მაგ. ცალკეული დანაშაულთა შემადგენლობაში, რომლებიც მიმართულნი არიან სქესობრივი მორალის წინააღმდეგ).

ამგვარად, ჩადენილი დანაშაულის იგივეობა არ არის აუცილებელი იმისათვის რათა რეციდივი, რომელიც არ წარმოადგენს მაკვალიფიცირებელს, ვცნოთ დამამძიმებელ გარემოებად, ამისათვის საკმარისია, რომ მათი ხასიათი მსგავსი იყოს. საერთოდ იგივეობის მოტივი არ არის საკმარისი, საჭიროა და-

ნაშაულის ობიექტების იგივეობა. რეციდივის წინააღმდეგ ბრძოლაში კანონი სასამართლოს აძლევს ეფექტურ საშუალებას შეაფასოს ნასამართლობა, თუნდაც უკვე მოხსნილი, დამამძიმებელ გარემოებად ( § 8, III აზნაცი).

სახელმძღვანელო პრინციპი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი სასამართლო პრაქტიკა რეციდივისტებს ხშირად მეტისმეტად ლმობიერ სასჯელს უნიშნავს. კრიმინოლოგიური შეხედულებიდან გამომდინარე, რომელიც დამახასიათებელია აგრეთვე სახელმძღვანელო პრინციპისათვის, რეციდივისტის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება რეალურად უნდა შეფასდეს. უფრო მკაცრი სასჯელის საფუძველს წარმოადგენს არა მხოლოდ ადრინდელი მსჯავრდების არაეფექტურობა, არამედ განმეორებით დანაშაულის ჩადენი პირის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება. მასასადამე, ისეთი სასჯელის დანიშვნა, რომელიც ახლოს დგას სასჯელის უმდაბლეს საზღვართან უსაფუძვლოდ ეწინააღმდეგება სასჯელის დიფერენციაციის იმ მოთხოვნებს, რომლის შესახებაც ნათქვამია სამართლებრივ-პოლიტიკურ პრინციპებში და არ ემსახურება რეციდივისტთა წინააღმდეგ ბრძოლას.

სახელმძღვანელო პრინციპი მიუთითებს, რომ მრავალგზის რეციდივის წინააღმდეგ საჭიროა კიდევ უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება. რეციდივისტების მიმართ, სპეციალური პრევენცია პირველ ადგილზე დგას. სოციალისტური სისხლის სამართლის უპირველესი მიზანი დამნაშავის კვლავ აღზრდა და გამოსწორება რეციდივისტის მიმართ ჩვეულებრივად შეიძლება განხორციელდეს მათი ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთით.

სახელმძღვანელო პრინციპის ეს დებულებანი სავსებით იქნა დამტკიცებული უკანასკნელი წლების კრიმინოლოგიური გამოკვლევებით. რეციდივისტის ტიპის დამნაშავეებისათვის დამახასიათებელია, რომ ა) ისინი ამოვარდნილი არიან შრომის საზოგადოებრივი განაწილების ნორმალური წესისაგან; ბ) მათი შეგუება საზოგადოებრივ მოთხოვნებთან წარმოადგენს მხოლოდ გარეგნულ იძულებით შეგუებას; გ) გონიერი მასტიმულირებელი მიზნების არარსებობის გამო მათ პარაზიტის შეხედულებანი უწვითარდებათ; დ) რამდენადაც გამოცდილებამ ისინი დაარწმუნა, რომ შეუძლიათ იოლად დაიკაყოფილონ მოთხოვნილებანი კანონის დარღვევის გზით, ამდენად მათ უვითარდებათ შეხედულება, რომელიც ამართლებს ცხოვრების დანაშაულებრივ წესს (დანაშაულებრივი სუბკულტურა.).

ამ დებულებათა საფუძველზე ჩვენ ლოგიკურად შეგვიძლია მივიდეთ დასკვნამდე, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის დებულებანი, რომლებიც რეციდივისტების პირადი თვისებებიდან გამომდინარეობს და მიმართულია რეციდივისტების წინააღმდეგ, უნდა განხორციელდებულ იქნას არა მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას, არამედ აგრეთვე შრომით—გამასწორებელ დაწესებულებებში (შესაბამისი კრიმინალური პედაგოგიკის სათანადო პროგრამის შემუშავება).<sup>1</sup>

სახელმძღვანელო პრინციპის დასკვნითი ნაწილი მიუთითებს იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულება აუცილებელია რეციდივიზმის შეზღუდვისათვის. ამ მიმართებით სახელმძღვანელო პრინციპის ძირითადი მოტივი არის შემდეგი: რეციდივიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის მიზეზების, მისი შემწყობი გარემოებებისა და აგრეთვე დამნაშავის პი-

<sup>1</sup> იხ. Андраш Сабо: Криминология и криминальная педагогика. Allam — es jogtubomány, 1965, № 4.



როვნების გამოკვლევას, ამისათვის სახელმძღვანელო პრინციპი აუცილებლად სთვლის სასამართლოებმა იქონიონ და ღრმად შეისწავლონ ყველა დოკუმენტები და მასალები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადრინდელ სასამართლობასთან.

რეციდივისტების წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის წინაპირობას წარმოადგენს იმ ფაქტორების ლიკვიდაცია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კვლავ აღზრდის პროცესის ეფექტურობას. აუცილებელია შესწავლილ იქნას ადრე გამოყენებული სასჯელის ნაკლები ეფექტურობის მიზეზები. ამ მიზნით საჭიროა შესწავლილ იქნას რეციდივისტის პიროვნება, ხასიათი, ცხოვრების წესი და ყველა ის გარემოებანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დამნაშავეის საზოგადოებრივ საშიშროებასთან, ასევე აუცილებელია შესწავლილ იქნას ახალი დანაშაულის ჩადენის მიზეზები, ყველა გარემოებანი, რომლებმაც ხელი შეუწყეს მის ჩადენას. ეს მასალები შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შეგროვდეს წინასწარი გამოძიების დროს. სასამართლოს უკიდურეს შემთხვევაში შეუძლია შეაგვსოს ეს მასალები, მაგრამ მის მთავარ ამოცანას შეადგენს მათი შეფასება. საფუძვლიან, კეთილსინდისიერ წინასწარ გამოძიებასა და სასჯელის დანიშვნის სწორ პრაქტიკას შორის ორგანული კავშირი არსებობს და პირიქით წინასწარი გამოძიება და სასამართლოს საქმიანობა არასრულყოფილი იქნებიან თუ კი ისინი სწავლობენ მხოლოდ უკანასკნელად ჩადენილი დანაშაულის მიზეზებს და გარემოებებს. ამავე დროს სახელმძღვანელო პრინციპი მიუთითებს, რომ დამნაშავეის პიროვნების, დანაშაულის ჩადენის მიზეზების შესწავლა სასამართლოსათვის თვითმიზანი როდია, არამედ იგი ყოველთვის უნდა ხდებოდეს კონკრეტულ საქმესთან, დანაშაულის ფაქტებთან და თვით დამნაშავესთან დაკავშირებით.

დასკვნაში სახელმძღვანელო პრინციპი მიუთითებს, რომ რეციდივისტების დამნაშავეობასთან ბრძოლა წარმოადგენს არა მხოლოდ მართლმსაჯულების ორგანოთა, არამედ მთელი საზოგადოების ამოცანას.

### III.

ზემოთ მითითებული სახელმძღვანელო პრინციპის მიმოხილვის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს რამოდენიმე დასკვნა სასამართლო პრაქტიკის მდგომარეობის შესახებ:

1). სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ უნგრეთის სასამართლო პრაქტიკამ უპირველეს ყოვლისა თავისი ყურადღების კონცენტრირება მოახდინა სამართლის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემები ჯერ კიდევ არ ამოიწურა, შეიძლება დადგინდეს, რომ სასამართლო პრაქტიკისათვის დღევანდელ პირობებში უმნიშვნელოვანესია სასჯელის დანიშვნის პრობლემა. უმაღლესი სასამართლოს მიზანია შექმნას სასჯელის დანიშვნის ერთიანი შეხედულება.

2. სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ამოსავალ პუნქტად, რომელიც განსაზღვრავს მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის სამძებრო ორგანოების საქმიანობას, გვევლინება ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურად არსებული დამნაშავეობის მდგომარეობისა და დინამიკის ცოდნა. ამის შემეცნება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მთელ სასამართლო პრაქტიკასა და უმაღლესი სასამარ-

თლოს საქმიანობაზე. დღეისათვის უმაღლესი სასამართლო უკვე წარმოადგენს, არა მხოლოდ ისეთ ორგანოს, რომელიც წყვეტს სასამართლოს პრაქტიკის მიერ დასმულ სამართლის ახსნა-განმარტების პრობლემას, არამედ იგი ამ პრობლემის გადაწყვეტას მჭიდროდ უკავშირებს დანაშაულობის მდგომარეობის საკითხებს, ხოლო მის სახელმძღვანელო საქმიანობის გენერალურ ხაზს განსაზღვრავს გეგმაზომიერი მუშაობა, მიმართული დანაშაულის შემცირებისაკენ.

ეს ცვლილებები უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო საქმიანობაში ნათლად მიგვიჩივებენ სისხლის სამართალში ახალი შეხედულების აღმოცენებაზე. ამ შეხედულების არსია: კრიმინოლოგიური აზრის შეჭრა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და სისხლის სამართლის გამოყენებაში. ეს ცვლილებანი შეიმჩნევა 60-იანი წლების დასაწყისიდან და ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალისტური კრიმინოლოგიური გამოკვლევის აღმავლობამ. მთავრობის 1964 წლის დადგენილება სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის სამართლებრივი პოლიტიკის შესახებ, გამოდიოდა დანაშაულობის ობიექტური მდგომარეობის ტენდენციის ანალიზიდან. სისხლის სამართლის პროცესის შესახებ 1964 წ. № 8 ბრძანებულების მე-13 მუხლი მიუთითებს, რომ აუცილებელია გახსნილ იქნას ყველა ის მიზეზები და გარემოებანი, რომელიც ხელს უწყობდა ან აადვილებდა დანაშაულის ჩადენას, უმაღლესი სასამართლოს ზემოთ მოტანილი სახელმძღვანელო პრინციპი ეყრდნობა ამ კანონიერ განკარგულებებს და მთავრობის დადგენილებას, უფრო ზუსტად ისინი აკონკრეტებენ ამოცანებს ცალკეული კატეგორიის დანაშაულთა მიმართ. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის პლენარულ სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ „არ იქნებოდა სწორი გამოგვეყენებინა სახელმძღვანელო პრინციპი მხოლოდ რეციდივისტების საქმეთა მიმართ, რამდენადაც მისი დებულებები შესაბამისად დაცული უნდა იქნეს ჩვენს მართლმსაჯულებაში“.



# რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის

## პეპიდობის ინსტიტუტის შესახებ „კაუზისწყაოსანში“

პროფ. ი. სურგულაძე

„ვეფხისტყაოსანში“ შემონახულია მეტად საყურადღებო ცნობა ვეპიდობის შესახებ. ტარიელის საძებრად წასულ ავთანდილს სამი ძმა შეხვდა, რომლებიც ჰყვებიან: სანადიროდ ვიყავით, ადგილება მოგვეწონა და ერთ თვეს ვნადირობდით:

„ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი  
დავაწბილენით,  
მით ერთმანეთსა სამნივე ჩვენ კიდე  
დავეცილენით:

„შე უკეთ მოვჰკლავ, მე გჯობო“, სიტყვანი  
ვაგაქილენით,  
ვერ გავიჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ,  
ვითაკილენით“ (201)

როგორც ვხედავთ ძმებს შორის მოხდა შეცილება, კამათი, თუ რომელი რომელს სჯობდა ნადირობაში. საყურადღებო აქ ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სასამართლოსათვის დამახასიათებელი ცნებებია გამოყენებული. საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სასამართლოში არჩევდნენ საქმეს, ხდება ცილობა. ძველ ქართულში კი ცილობა მხარეთა შორის დავას ნიშნავდა. ცილობა ხდებოდა მხარეთა შორის და საბოლოოდ მას განსჯიდა ან განბრტობას მოახდენდა მსაჯული, მოსამართლე<sup>1</sup>. ამ შემთხვევაშიც ცილობის საგანი ყოფილა სროლაში ჯობნის საკითხი. ამის გარშემო ვიკამათეთ, ვეპილობა გავწიეთ ე. ი. ჩვენ ჩვენს მოსაზრებებს ვეპილები, დამცველები ვიყავითო, მაგრამ სიმართლე ვერ გამოვარკვიეთ“, ვერ გავიჩინეთ მართალიო“.

ძველ ქართულში სხვისადმი მიმართულ სამდურავსა და საჩივარს სარჩელი ეწოდებოდა. თბიზართა სიგელის მიხედვით სარჩელი ნიშნავს საჩივარს, რომელიც სასამართლოს წარედგინება და რომელშიც დასაბუთებულია მოთხოვნა. თბიზართა სიგელში საუბარია მხარეთა შორის „საზიდსა და სარჩელზე“.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფში მინიშნულია მაშინდელი სასამართლო პროცესისათვის დამახასიათებელი ტერმინები, კერძოდ: მხარეები, ცილობა, კამათი („ვაგაქილენით“, მართალი ვერ გავაჩინეთ ე. ი. ვერ შევთანხმდით). მაშასადამე, აქ სასამართლო პროცესის ყველა ნიშანია, მაგრამ ამ შემთხვევაში სასამართლო პროცესი არ შემდგარა. აქ მსაჯულები, მოსამართლენი არ არიან, მხოლოდ ძმები კამათობენ ერთმანეთში.

სასამართლო პროცესისათვის დამახასიათებელი ტერმინები, რომლებიც მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ ციტირებულ სტროფში, უჭკველს ხდის ამ ტერმინების სინამდვილისადმი შესატყვისობას. შეცილების, უბრალო კამათისათვის სასამართლო პროცესის სახის მიცემა, საკვებით შესაძლებელია და სასამართლო ტერმინების ასეთი მნიშვნელობით ხმაურებას დღესაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ყველა ამის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ ტერმინი „ვაგაქილენით“, რეალური ტერმინია, რომ ამ პერიოდში ვაქილები სასამართლო პროცესისათვის დამახასიათებელი ყოფილა ე. ი. ვეპილობა ცხოვრებისეულ ინსტიტუტად ჩანს.

სამეფო დარბაზში, მნიშვნელოვანი საქმეების გარჩევისას მოწვეულნი ყოფილან მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი (თბიზართა სიგელი—XI საუკუნისა)<sup>2</sup>. ეს მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი იურისტებია, რომლებიც, შესაძლებელია, ვეპილებადაც გამოდიოდნენ ჩვეულებრივ სახის სასამართლოებში. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საეკლესიო სამართლის სპეციალისტებს მერჩულე ეწოდებოდათ,<sup>3</sup> საერო სამართლის სპეციალისტები კი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ვეპილები ყოფილან.

საკვლევი ტერმინის შესწავლისათვის საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ადგილიც: ინდოეთში ხვა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929 წ., გვ. 476.

<sup>2</sup> „საქართველოს სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედ. II, 1909, გვ. 1—5.

<sup>3</sup> პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩული, 1954, გვ. 18.



რაზმშას უფლისწული ჩამოვიდა. ამის გამო ასმათი დაიბარებს ტარიელს. ტარიელი გაეშორა დანიშნულ ადგილას, მას ასმათი ნამტირალევი დახვდა. ტარიელი ეკითხება ასმათს ტირილის მიზეზს. ასმათი ასე მიმართავს ტარიელს:

„...შენი შესწრობილი ტირალსამცა ვით

აგაცილდი?

გაუწყვედლად ვით გამართლო? რაგვარადცა

გაგვაქილდი?!“ (554)

აზრი ასეთია: როგორ დაიცვა, როგორ გამართლო ყოველთვის, როგორ გაეხდე შენი ვექილი? აქ მინიშნებულაა, რომ ვექილის ფუნქციაა დაცვა ბრალდებული, გამოესარჩოს მას. რასაკვირველია, სასარჩლო აქ არაფერი არ არის, მაგრამ ტარიელი საჭიროებს გამართლებას ნუსტანის წინაშე, დაცვას ბრალდებისაგან. ასმათიც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ შენი ვექილი ვიყავით. მოყვანილი ადგილების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფეოდალურ საქართველოში ვექილობის ინსტიტუტი არსებობდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ეხება ადვოკატის საკითხს ფეოდალურ საქართველოში. მას მოჰყავს გრიგოლ ქართლის ერისთავის ანდერძის ის ადგილი, სადაც ერისთავი წირს შიო მღვიმელას მისამართით: „მას საუკუნესა ორთავე მეოხად წარმოგიდგენს წინაშე საყდრისა ქრისტეს ღმრთისა, ოდეს ყოველთა განსჯიდეს მსაჯული იგი უხილავი“. აკად. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: ვინ იყვნენ ეს „მეოხენი და წარმოადგენდა თუ არა მეოხობა საქართველოში რაიმე დანაწესებს, „ადვოკატუს“-ების ოდნავ მაინც მსგავსად ბრალდებულთა დამცველები იყვნენ, თუ აქ მხოლოდ გავლენიან პირთა მოსარჩლეობა იგულისხმებოდა, ამის შესახებ ცნობების უქონლობის გამო, ჯერჯერობით მაინც არაფრის თქმა არ შეიძლება“.<sup>4</sup>

დავით ბაგრატიონი ეხება თავის ნაშრომში ვექილის საკითხს.<sup>5</sup> ამ ნაშრომის მიხედვით, თუ ერთ-ერთი მხარე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სასამარ-

თლოში, მას შეუძლია სასამართლოში გაგზავნოს თავის მაგიერ „მენაცვლე“, რომელიც სასამართლომ ისევ უნდა მიიღოს როგორც მოჩივარი,<sup>6</sup> ამასთანავე, თუ მოჩივარს (ავადმყოფს) შეუძლია მონაცვლის აყვანა, ეს მან უნდა გააკეთოს, რომ სასამართლოს მუშაობა არ შეაფერხოს.<sup>7</sup>

დავითის ამ შრომის მიხედვით კეთილშობილ თბოლთათვის უნდა გამოარჩიონ ვექილი აზნაურთაგან, ვექილს ვვალევა შეუნახოს თბოლს ქონება, მოახმაროს ის საჭიროებისამებრ და სხვა.<sup>8</sup>

დავითის ამავე ნაშრომში დაწვრილებით არის განსაზღვრული თბლის ვექილის უფლება-მოვალეობა: ვექილი უფლის თბლის ქონებას, ზრდის თბოლს, ცდილობს მისი ქონების გადიდებას: „ვექილთა თანამდებობა არის, რათა იღავოს ნაცვლად თბოლთა რაჟსა ზედაც იყო სარჩელი“.<sup>9</sup> ვექილი ანგარიშს აბარებს ხელისუფალთ და თბლის ვექილობისათვის დებულობს გასამრჯელოს.<sup>10</sup>

თუ „კაცმან თავის მაგიერად მოდავე იქირავოს ვინმე“, წერს დავით ბაგრატიონი, „იგი მოდავე შეირაცხოს ვითარცა ნამდვილი მოჩივარი“, და ეს ვექილი, თუ ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას, არ უნდა შეიცვალოს ის იმ გასამრჯელოს მიცემის გარეშე, რომელიც მას შეპირდნენ, მაგრამ თუ ვექილი თავის მოვალეობას „ვერაგად“ ასრულებს, ის არა თუ შეიცვლება ყოველგვარი „მიზღვის“ გარეშე, არამედ მოსამართლეთაგან კიდევ დაისჯება.<sup>11</sup>

XVIII საუკუნის მიწურულში შედგენილი „სამოქალაქო სჯულცილებაშიც“ გვხვდება ტერმინი ვექილი: ძველის მიხედვით თუ ვინმე უცხო ქვეყანაში იყოს და ამიტომ სასამართლოში არ შეეძლოს გამოცხადება, არც ძმები ყავდეს, რომ მისი მაგიერობა გასწიოს, მაშინ „ვინმე ვექილი“ ააყვანოს, მას მიანდოს სასამართლოში საქმის წარმოება.<sup>12</sup>

1804 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ვინმე ბუჭყიაშვილი თავისი მეუღლათ სწირავს შიო მღვიმის მონასტერს ათ თუმანს იმ პირობით, რომ თავნი ხე-

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929, გვ. 497—498.  
5 „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, 1964.  
6 იქვე, მუხ. 30, გვ. 25—26.  
7 იქვე, C1 გვ. 154.  
8 იქვე, C1, გვ. 154.  
9 იქვე, C11, გვ. 175.  
10 იქვე, გვ. 176.  
11 იქვე, C16, გვ. 183.  
12 დ. ფურცელაძე, სამოქალაქო სჯულცილება, XVIII საუკ. მიწურულის კანონპროექტთა კრებული, 1960, გვ. 63.

ლუბლებლად იყოს, ხოლო პროცენტებით მონასტერმა უწიროს მას. ამასთანავე შემწირველი სთხოვს მონასტრის ხელმძღვანელებს, რომ ეს თანხა — ათი თუმანი „მისცენ ვეჭილსა ერთსა და თვე და თვე მიიღებდნენ სარგებელსა“ ე. ი. ვეჭილის მოვალეობა იქნება გაასესხოს ფული და პროცენტები ყოველთვიურად ჩააბაროს მონასტერს.<sup>13</sup>

საინტერესოა ამ საკითხზე რამოდენიმე ცნობა ლექსიკონიდან.

ტერმინს „მეოხება“ იცნობს სულხან-საბას ლექსიკონი: „მეოხება—შეწევნასავით“ არის, განმარტავს საბა.

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით მეოხი შუამავალს, შემწეს ნიშნავს, ходатай, заступник, покровитель<sup>14</sup>. ამგვარადვე აქვს ეს სიტყვა განმარტებული ნიკო ჩუბინაშვილს: „მეოხი—შუამავალი, შემწე მფარველი, ходатай, „მეოხება—შუამავლობა შველა, შეწვენა, оба представительство, ходатайство“<sup>15</sup>.

ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მეოხი შემწეს, მფარველს ნიშნავს, ხოლო „მეოხება—დახმარებას, შემწეობას, წყალობას“.

ქომაგი დავით ჩუბინაშვილის განმარტებით მოსარჩელეს, მშველელს ნიშნავს.

ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ქომაგი ნიშნავს მოსარჩელეს, მფარველს, მშველელს, თანამდგომს. ამავე ლექსიკონის მიხედვით ვეჭილი არაბული ვაჭილისაგან არის და ნიშნავს ადვოკატს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ტერმინი მოსარჩლე ნიშნავს სარჩლად მიმყოლს, „რომელი მის მაგიერ ირჩოდეს“.

ტერმინებს მოსარჩელეს, ქომაგს, მეოხეს უფრო აღწერილობითი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ამ ტერმინებით, შესაძლებელია ვიგულისხმოთ, როგორც საერთოდ დამხმარე და მფარველი, აგრეთვე სასამართლოში წარმომადგენელიც.

ამგვარად წარმომადგენლობას საერთოდ, და კერძოდ სასამართლოში ადვოლი ჰქონია. უმრავლეს შემთხვევაში წარმომადგენელი შეიძლება ყოფილიყო უახლოესი ნათესავი, მამა, ძმა, ძმისშვილი და სხვა, რომელიც შეეცლიდა ავადმყოფს, ან ისეთ პირს რომელიც საზღვარგარეთ იყო და არ შეეძლო სასა-

მართლოში ყოფნა; წარმომადგენელი შეიძლება ყოფილიყო მეურვე ობლის, მცირეწლოვანის, სულით ავადმყოფის და სხვა. წარმომადგენლობას გამოიხატის სასაბაოთი ჰქონდა. როგორც წესი, მხარეები თვითონვე უნდა გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში. ამიტომაც რომ ვახტანგის სამართლის წიგნში ან მისავე „დასტურლამაში“, რომლებშიაც დაწვრილებით არის საუბარი სასამართლო ორგანიზაციასა და სასამართლო პროცესზე, არ არის მოხსენებული ვეჭილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაერთიანებულ საქართველოში (XI—XIII საუკუნეებში) და გვიანფოდალურ პერიოდში (XVII—XVIII საუკუნეებში) წარმომადგენლობის მხრივ სხვადასხვა მდგომარეობა გვაქვს.

გაერთიანებულ საქართველოში სამართლის სპეციალისტები, იურისტები იყვნენ. „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, რომელთაც სასამართლოში იწვევდნენ როგორც სპეციალისტებს და რადგან იწვევდნენ, ალბათ ამ სასამართლო-პროცესში რაიმე სახით მონაწილეობენ კიდეც.<sup>16</sup>


რასაკვირველია, ადვოკატიც სასამართლოში ამა თუ იმ მხარის წარმომადგენელია, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ადვოკატი ობლის, ან სულით ავადმყოფის მეურვეა, ან პროცესის ამათუ იმ მხარის ნათესავია, არამედ იმიტომ, რომ ადვოკატი პროფესიით ასეთი საქმიანობისათვის არის მოწოდებული. ადვოკატი სპეციალობით იურისტიკა, მას სპეციალურად შესწავლილი აქვს სამართალი, კანონები, პროცესის წარმოება და ა. შ. ადვოკატს მიმართავდა დაინტერესებული პირი, გადაუხდიდა ჰონორარს და მიანდობდა საქმის წარმოებას. საქმის აღების შემთხვევაში ადვოკატი ღებულობდა ვალდებულებას, ყოფილიყო წარმომადგენელი ამ დაინტერესებული პირისა და ეწარმოებია მისი საქმე. ასეთი ხელშეკრულების დადებისათვის, ადვოკატსა და დაინტერესებულ პირს გარდა, საჭირო იყო აგრეთვე სახელმწიფოს მიერ საქმის ასეთი წესით წარმოების დაშვება, მისი ლეგალიზაცია. ასეთი რამ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამართლის წიგნებით, ან ჩვეულებითი სამართლით. ადვოკატს კეთილსინდისიერად უნდა ეწარმოებია საქმე კანონის ფარგლებში.

<sup>13</sup> ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, 1891, გვ. 75.

<sup>14</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.

<sup>15</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887.

<sup>16</sup> „საქართველოს სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედ. II, გვ. 1—5; ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 7—30.



დაინტერესებულ პირსაც უნდა შეესრულებინა თავისი ვალდებულება, — გადაეხადა ადვოკატისათვის გასამრჯელო. თუ ადვოკატი არ შეასრულებდა თავის მოვალეობას, მის კლიენტს სასამართლოსათვის უნდა მიემართა; ასევე ადვოკატი თუ შეპირებულ ჰმონორარს არ მიიღებდა, კლიენტს სასამართლოში უჩივებდა. ადვოკატებს შეიძლება ჰქონოდათ თავიანთი ორგანიზაცია, ამხანაგობა.

საშუალო საუკუნეებში სასწავლებლებში სამართალს ასწავლიდნენ. შეიძლება ვინმეს სპეციალურად სამართალი შეესწავლა, იურისტი გამხდარაყო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ ის ადვოკატი ყოფილიყო.

ასევე ითქმის ოპიზართა სიგელში მოხსენებულ იურისტების შესახებაც. თუ საერთოდ ადვოკატობას მსგავსი ინსტიტუტი იყო ფეოდალურ საქართველოში, ის უნდა ვეძიოთ XI-XII საუკუნეებში, მაგრამ ამ პერიოდის საბუთები ცოტაა, ხოლო იურისტების შესახებ ასეთი ცნობა, რომ ისინი სასამართლო პროცესში ღებულობდნენ მონაწილეობას, მხოლოდ ერთია (ოპიზართა სიგელი).

ფეოდალური საქართველოს კულტურის განვითარება გაერთიანების პერიოდში აღწევს მაღალ საფეხურს. მისი მწვერვალი „ვეფხისტყაოსანია“; კერძოდ, იურადიულმა აზროვნებამ ამავე პერიოდში მაღალ დონეს მიაღწია, ამას მოწმობს ექვთიმე მთაწმინდელის შრომები: „სხელმწიფის კარის გარიგება“

და სხვა. ასეთ ვითარებაში მოსალოდნელია იურიდიული განათლებას მაღალი დონეც, იურისპრუდენციის სხვადასხვა დარგის მიხედვით სპეციალიზაცია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იურისტი სასამართლოში პროცესის რომელიმე მხარის წარმომადგენელი აყო და მის მაგიერ საქმეს აწარმოებდა. ამ პერიოდის წყაროებში, როგორც ვნახეთ ვექილი მოხსენებულა, ის უნდა იყოს სწორედ „საბჭოთა“ საქმის „მეცნიერი“ ე. ი. იურისტი, მაგრამ თუ პირდაპირი საბუთი არ ვნახეთ, რომ ვექილი იმ დროს სასამართლოში საქმეს აწარმოებდა, როგორც პროცესის ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი, ისე არაპირდაპირი მონაცემებით ამის დამტკიცება შეუძლებელია (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ სხვა შრომაში გვექნება საუბარი).

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით რა უფლება-მოვალეობა ჰქონდათ საქართველოში იურისტებს XI-XIII საუკუნეებში, მაგრამ ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ, ფეოდალურ საქართველოში იურისტებს, ოფიციალური აღიარება ჰქონიათ, რამდენადაც მათ სასამართლოში იწვევდნენ.

როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, მაშინდელ იურისტებს ვექილს უწოდებენ. ეს ტერმინი გაქართულებულია, ის მტკიცედ შესულა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში.

ტერმინი ვექილი შემდეგში არ გადავარდნილა ხმარებიდან. XVII-XVIII საუკუნეებში ამ ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობა მიეცა.



## შეუმჩნეველად ყოვლის სუკვილი აქვს მუცა

ნ ა ტ ვ ე რ ი



ბუნდოვნად ახსოვს წალენჯიხა, თავისი დაბადების ადგილი. ბავშვობა — ოცნებების გვირგვინებით შეკონვის ხანა ქართული სილამაზის ქალაქში — ქუთაისში გაატარა. მისი ფიქრები, მისწრაფებები აქ იშლებოდა... როგორც ყველა ბავშვს მასაც ჰქონდა თავისი სამყარო, თავისი სიხარული; ეს წიგნების კითხვა იყო, დედის მიერ ორგანიზებულ ეზოს წარმოდგენებში მონაწილეობა იყო. მაგრამ ყველაზე ძალუმად საღამოს მოლოდინი უძგერებდა პატარას გულს. ამ დროს მამა — ცნობილი ქართველი იურისტი — გრიგოლ პლატონის ძე დადიანი ბავშვებს ჩაუჯდებოდა და თავისი დარბაისლური ქართულით უამბობდა საინტერესო ამბებს საქართველოს ისტორიიდან,

ლიტერატურიდან. და პატარასაც ბავშვური ფიქრის ჯარა ავშლებოდა ხოლმე...

— მამა იყო ჩემი სულიერი წყარო, მაგალითი ჩემთვის, — იგონებს თამარი და სახე ნათელი ღიმილით ებადრება. ღიმილი კი მას გასათვარი აქვს, რაღაც ბავშვური, მოკრძალებული.

პირველდაწყებითი განათლება ქუთაისში მიიღო. შემდეგ დადიანების ოჯახი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. თამარი წარმატებით ამთავრებს თბილისის მერვე შრომის სკოლას.

თექვსმეტი წლის ქალიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია. გაუთავებელ სტუდენტურ კამათში, ლექციებსა და სემინარულ მუშაობაში გაიქროლა განუმეორებლად ლამაზმა წლებმა. მან თავისი ნიჭითა და განათლებით პედაგოგთა და სტუდენტთა ყურადღება მიიპყრო. მოწიწებით იხსენიებს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, ზოზო ნანიევილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, ბიძინა რამიშვილისა და სხვათა სახელებს... სახეზე ეტყობა, თუ რა ანლობელია ეს სახელები ამ ქალისთვის, ახლა ჩემთან ერთად მოგონებებით რომ წარმოიდგენს და თან ისე ლაპარაკობს მათზე, თითქოს თავის ყველაზე უფრო სათუთ გრძნობებს ამუღანებესო.

— ასპირანტურაში არ მისწავლია იმ დროს უნივერსიტეტში შექმნილი არაჯან-

სალი მდგომარეობის გამო, — ამბობს და სახე უნაღვლიანდება.

სტუდენტობის წლები ჩამოთავდა... თამარი ამიერკავკასიის ცაკთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის ინდექსატორად იწყებს მუშაობას, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ცაკის კონტროლიორ-შემსრულებლად. 1932-33 წლებში თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო გამომძიებელია, 1933-38 წლებში კი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

1938 წლიდან თამარ გრიგოლის ასულმა დადიანმა იპოვა თავისი სტიქია—მუშაობას იწყებს უფროს კონსულტანტად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში. ამ დროიდან იწყება მის მოღვაწეობაში ყველაზე ნაყოფიერი ხანა.

— სრულიად გამოუცდელმა დავიწყე მუშაობა. ჭკუის დამრიგებელიც კი არავინ იყო, მომცეს საქმე და მითხრეს შეამოწმეო. სხვა რა გზა მქონდა?!

გადიოდა დრო. დროის გასვლას არბიტრაჟში მუშაობის გამოცდილება მოჭქონდა, გაწაფულობა ემატებოდა თამარს. მისთვის უკვე ადვილი ამოსახსნელია მხარეთა ურთიერთობის რთული საიდუმლოება, გასაგები ხდება ანგარიშებისა და ხელშეკრულებების უფერული ენა. ერთი ერთმანეთზე მიყოლებით არკვევს სარჩელებს სოციალისტურ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, წყვეტს წინასახელშეკრულებო და ქონებრივ დავებს. არბიტრაჟში თამარი თავისი კვალიფიციური კონსულტაციებით ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ანგარიშიანობის, სახელშეკრულებო, საგეგმო და ფინანსური დისციპლინების განმტკიცებას, თავისი წვლილი შეაქვს სახალხო მეურნეობის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

იგი მთელი მონდომებით ესმარება სახალგაზრდა კოლეგებს, ასწავლის, არიგებს. დიდა და დაუფასებელი მისი დამსახურება ამ დარგისათვის კადრების აღზრდის საქმეში.

— იგი ჩვენი მოამაგე და მოჭირნახულეა, მან დაგვაყენა გზაზე, — მოწიწებით ამბობენ მასზე თანამშრომლები.

— ჩვენი თამარი ღრმად ერუდირებული, მდიდარი გამოცდილების მქონე მუშაკია, — ამბობს მთავარი სახელმწიფო არბიტრი, — მისთვის არ არსებობს გადაუწყვეტელი საქმე, თითოეულ მათგანს მთელი სერიოზულობით და საქმის ღრმა ცოდნით უდგება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თამარ დადიანი ზედამხედველობის წესით იხილავდა საქმეს: თბილისის საკონდიტრო კომბინატმა ანგარიშის ინკასოზე წარდგენის საშუალებით „საქბაკალეიას“ ქუთაისის ბაზას ანგარიშიდან ჩამოაწერა ჯარიმა, რომელიც მისი აზრით უნდა გადახდომოდა იმ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებმაც თვითნებურად დაუბრუნეს „საქბაკალეიას“ განრიგით მიწოდებული კაკაოს ფხვნილი. „საქბაკალეიას“ ქუთაისის ბაზამ სარჩელი აღძრა თბილისის საკონდიტრო კომბინატისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც კაკაოს ფხვნილი დააბრუნეს. არბიტრმა განიხილა საქმე და უარი უთხრა მოსარჩელეს იმ მიზეზით, თითქოს განრიგის არასწორ დაშვებაში ბრალი მათ მიუძღვოდათ.

თამარმა ჩვეული გულისყურით შეისწავლა საქმე და გამოარკვია, რომ განრიგი დაშვებული იყო არა მოსარჩელის მიერ, არამედ „საქბაკალეიას“ რესპუბლიკური ბაზის მიერ და ამიტომ მითითება მოსარჩელის რაიმე ბრალზე სწორი არ იყო. გარდა ამისა ჯარიმის თანხის ინკასოს წესით გადახდვინება, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ანგარიშსწორების დადგენილ წესს, რომლისა

თანახმად ინკასო გამოიყენება მხოლოდ სასაქონლო ოპერაციების ჩატარების დროს და არა საპრეტენზიო თანხების ამოღებისათვის. აქედან გამომდინარე, არბიტრაჟს არც უნდა ემსჯელა ეკუთვნოდა თუ არა საკონდიტრო კომბინატს რაიმე ჯარიმა მაძიებლისაგან. აღნიშნული საქმე დაუბრუნდა სახელმწიფო არბიტრს განმეორებით განსახილველად და სარჩელი დაკმაყოფილდა.

თამარის კაბინეტის კარი მუდმივ მოძრახობაშია. შემოდინ მასთან თანამშრომლები, იურისკონსულტები საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან. მოდიან ადვოკატები, მოქალაქეები.

— შეიძლება?

— გთხოვთ, მობრძანდით!

უსმენს მათ უფროსი კონსულტანტი.

— თუ ქსოვილების მიწოდებაზე გარიგების დროს მხარეები არ გაითვალისწინებენ მისაწოდებელი ქსოვილის ფერს, ამით მყიდველს უფლება ესპობა უარი განაცხადოს ამა თუ იმ ფერის ქსოვილის მიღებაზე, — უხსნის იგი.

— სარჩელის ხანდაზმულობის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც წარმოიშობა სარჩელის უფლება, — არიგებს მეორეს.

— მიწოდების გეგმის შეცვლა, მიწოდების პერიოდის განვლის შემდეგ და იმ მიზეზით, რომ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან პროდუქციის მიუწოდებლობისათვის, — ეუბნება მესამეს...

თან ტელეფონის ხმა უხმობს თავისთან.

— დიას, გისმენთ... არა, არა... თქვენ არა ხართ სწორი: თუ მხარეებს შორის დადებული გარიგებით არ არის გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადა, მყიდველს

არა აქვს საფუძველი მოითხოვოს სანქციები საქონლის უკმარისობისათვის.

— თქვენ ჩაითვლებით მოწილადედ ხელშეკრულებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ უშუალოდ იღებდით მონაწილეობას ხელშეკრულების ყველა პირობის დამუშავებაში და ხელს აწერდით ხელშეკრულებას, — აგებინებს ბაზის უფროსს და კიდებს ყურმილს. მაღლობის მოსმენა მას ყოველთვის ეუხერხულება.

— რა არის სამადლობელო? — უკვირს თამარს.

ის ყველას ყურადღებით უსმენს, ამომწურავად პასუხობს და რჩევას აძლევს.

ისევ მაგიდაზე დალაგებული სასარჩელო განცხადებები, ანგარიშები, ქვითრები, ხელშეკრულებები...

ჩნდება კიდევ უამრავი, ერთი შეხედვით თითქოს „წვრილმანი“ საქმეები...

დიდია მისი ღვაწლი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის შემუშავების საქმეში.

სამახსოვროა მისთვის 1965 წელი. ამ წელს მას ერთ-ერთ პირველთაგანს რესპუბლიკაში მიენიჭა დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება. თუმცა მისი საქმიანობა ადრეც იყო სათანადოდ დაფასებული: მიღებული აქვს მედალი „1941-45 წლებში სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, მაღლობები. და რაც მთავარია ადამიანთა უანგარო სიყვარული და პატივისცემა.

თავის შესახებ კიდევ ბევრის თქმა შეუძლია, მაგრამ დუმილს ამჯობინებს. მე კი გეტყვი, რომ იგი არის სახელმწიფო არბიტრატთან არსებული არბიტრების და კონსულტანტების კვალიფიკაციის ამაღლების მუდ-

მივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელი, სა-  
 ზედამხედველო და საკოდიფიკაციო ჯგუ-  
 ფის ხელმძღვანელი... რომ ტატოს ნიჭის  
 დიდი თაყვანისმცემელია, უყვარს თომას  
 მანის დიდბუნოვანი ენა, ჩეხოვის სიდიადე  
 მამამ აგრძნობინა პირველად... მუდამ გან-  
 ცვიფრებაშია შოპენისა და რახმანინოვის  
 მუსიკალური ბგერებით... ლადო გუდიაშვი-  
 ლის ვრაფიკა მისი „მუნჯი მეგობარია“.

ყველას ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქო-  
 ნია, ერთბაშად შეუგრძენია ამ ქალის მომ-  
 ხიბვლელობა, რომელშიც ჰარმონიულად  
 ეხამება ერთმანეთს საოცარი გონიერება,  
 სისპეტაკე, კეთილშობილება და სისადავე-  
 იგი არასოდეს არ ხმაურობს თავისი მიღწე-  
 ვებით, შეუმჩნევლად ყოფნის სურვილი აქვს  
 მუდამ.

ლამარა ისაბაჰე.



# ნსსსსსსს

მ თ ხ რ ო ბ ა\*

დღის სამ საათზე ხომერიკი და მინდელი მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ბალანჩივაძის კაბინეტში იყვნენ. პოლკოვნიკმა თავი მოუყარა ჯგუფის ყველა წევრს. ჩრდილელმა მოახსენა დამსწრეთ, რომ მანქანების შემოწმებას ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ავტოინსპექტორები ძებნას განაგრძობენ და ქალაქგარეთ მიმავალი ყველა მანქანა მოწმდებაო.

ამხანაგებო, — წარმოთქვა ბალანჩივაძემ, — დამნაშავენი შეიარაღებულნი არიან, მათი რიცხვი არ ვიცი, თავშესაფარი კი, შესაძლოა ამ რ საეჭვო სახლში აქეთ. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება სწრაფად შევამოწმოთ ეს სახლები, მაგრამ ვერც ერთი ჩვენი მუშაკი უშუალო მონაწილეობას შემოწმებაში ვერ მიიღებს. სახლებში ჩვენ დამნაშავეთა საძებრად ვერ შევალთ. ქუთაისი არც ისე დიდია, შესაძლოა ჩვენი მუშაკი იცნონ, გარდა ამისა ასე ხელაღებით ბინებს ვერ გაეჩხრკეთ. რჩება ერთი, საეჭვო სახლებში უმნიშვნელო საბაბით შევიდნენ სახალხო რაზმელები. საჭირო 14 კაცი მე უკვე შევარჩიე. ამ საქმეს ისინი გააკეთებენ, თქვენ კი შორიდან უნდა ადევნოთ თვალყური. სახლებში ორ-ორი რაზმელი შევა, მათ გაჰყვება ორი ოპერმუშაკი. რაზმელებს ინსტრუქტაჟი მიცემული აქვთ. საჭირო შემთხვევაში იმოქმედეთ შეხედულებისამებრ. ჯგუფებს შორის კავშირი არ იქნება. სახლები სხვადასხვა ქუჩებზეა. ჩვენთვის საინტერესო სახლის აღმოჩენი ჯგუფის ერთი წევრი ადგილზე რჩება, ერთი რაზმელებითურთ დაუყოვნებლივ ჩემთან გამოცხადდება. ჯგუფის უფროსებად ვნიშნავ ბურდულს, ყორყოლიანს, ჩაიძიებს, ჭანტურას, დავილოვს, მეგრელიძეს და აბშილაძეს. თუ შეკითხვები არ არის, თქვენს სამუშაო ოთახებში დაიცადეთ. 10 წუთში რაზმელები თქვენთან იქნებიან.

ყველა წამოიშალა. კაბინეტში დარჩნენ მხოლოდ ბალანჩივაძე, ხომერიკი და მინდელი.

ბალანჩივაძემ დარეკა და კარებში შემოსულ სერჟანტს უბრძანა მოსაცდელში მყოფი რაზმელები შემოეშვა.

— ამხანაგებო — მიმართა მათ ბალანჩივაძემ, როდესაც ყველანი დასდნენ — ამოცანა ზოგადად თქვენთვის ცნობილია, საქმისათვის საჭიროა რამდენიმე სახლის შემოწმება. შემოწმების მიზანი: დადგენილ იქნას ორსართულიანი სახლი ცალკე ეზოთი, აუცილებლად ორ მარშიანი ქვის კიბით. კიბებს მარცხენა მხარეს კუთხოვანი რკინის სახელური აქვს, შესდგება 17 და 23 საფეხურისაგან და მეორე მარშის მე-8 თუ მეათე საფეხურის მარცხენა მხარე ჩამოტეხილია. შემოწმების საბაბი: თქვენ თელასის წარმომადგენლები ხართ, ამოწმებთ ელექტროწერტილებს, ელექტროენერგიის ხარჯვას. საჭირო მოწმობებს ახლავე გადმოგცემთ. სახლში შესვლისას გასინჯეთ ყველა სათავსო; დაიხსნომეთ ოთახების განლაგება. ყურადღება მიექციეთ წიგნებს, განსაკუთრებით „ჩვენ საუნჯეს“, მაგრამ ისე, რომ ეს ბინის პატრონისათვის შეუუმჩნეველი დარჩეს. რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გააფორმეთ სათანადო აქტი. ინსტრუქტაჟი ამის თაობაზე უკვე მიღებული გაქვთ. დავლება მეტად მნიშვნელოვანია და სიდიდემლო. შეკითხვები გაქვთ?

— საჭირო სახლის აღმოჩენის შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ? იკითხა ხუჭუჭთმიაძმა ახალგაზრდა რაზმელმა.

— დაბრუნდეთ და მოგვასხენოთ, სხვა არაფერი, — უბასუხა ხომერიკმა.

— გასაგებია, გაისმა რამდენიმე ხმა.

— თუ ყველაფერი გასაგებია, მერვე ოთახში უფროს ლეიტენანტ ბურდულთან გამოცხადდით. დრო არ ითმენს. შემოწმება სამუშაო საათებში უნდა დამთავრდეს — დასძინა პოლკოვნიკმა და წამოიღა.

ყველა წამოიშალა.

5 საათზე ხომერიკი და მინდელი ბალანჩივაძის კაბინეტში დაბრუნდნენ.

ხომერიკმა მოუხიდა, შემდეგ მაჯის საათს დახედა, თითქოს არ ენდობო, მზერა კაბინეტის კუთხეში მდგარ ვეებერთელა საათზე გადაიტანა და ჩაილაპარაკა — რატომ დაავიანდათ ამდენი ხანი. ხომ არაფერი შეემთხვათ რა?

— ეგ შეუძლებელია, რაზმელებს ზუსტი ინ-

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1966 წ. № 3, № 4.

სტრუქტურა მიეცათ, — მტკიცედ წარმოთქვა პოლკოვნიკმა.

მას არავინ შედეგებია.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. მინდელი სავარძლიდან წამოდგა, ფანჯრის ფარდა გასწია. ოთახში ჩამავალი მზის სუსტი სხივები აციმციმდნენ. მინდელმა სიამოვნებით მიუშვირა სახე საამოდ მოსალბუნე სიბოზს. ფანჯარაში გაიხედა, ქალაქი თოვლში იყო ჩაფლული. თბილად ჩაცმული ლოყათურაშაული ბიჭუნების ჯგუფი დიდი სახლის ეზოში ყვივლ-ხივილით თოვლის გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს. თოვლისაგან გაწმენდილ ქუჩებში მსუბუქი მანქანები დასრიალებდნენ. შორიდან ბულდოზების გუგუნო ისმოდა. „წერეთლის ქუჩას თოვლისაგან წმენდენ“ — გაიფიქრა მინდელმა.

კაბინეტის კარი გაიღო, ზღურბლზე ბურღული გამოჩნდა.

— შეიძლება?

— შემოდი, შემოდი, რა ხანია გელით, — მიუგო პოლკოვნიკმა.

— რა ამბავი მოიტანეთ? — იკითხა ხომერიკი.

— ჩვენთვის საინტერესო ბინა აღმოჩენილია, იგი ნატალია დევიძეს ეკუთვნის — მიუგო ბურღულმა — რაზემელება მშენებრად იმუშავეს. შესანიშნავად შეასრულეს „ქელასის“ კონტროლიორთა როლი, თუმცა ამაში თვითონვე დარწმუნდებით როდესაც მოუსმენთ.

— სად არიან? — გაეღიმა ბალანჩივაძეს.

„ქელასში“ წავიდნენ. სადაცაა მოვლენ, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე — ღიმილით უპასუხა ბურღულმა.

— ხომ არავინ გამოგყოლიათ უკან? — იკითხა მინდელმა.

— დარწმუნებული ვარ არავინ. რაზემელება დევიძის ბინაში დაახლოებით 20 წუთს იყვნენ. ჩვენ შორიდან ვუთვალთვალდებით. მათ იქ ყოფნაში სახლიდან არავინ გამოსულა, ხოლო „ქელასის კონტროლიორების“ წასვლის შემდეგ თითქმის 20 წუთი ადგილზე დავრჩით, შემდეგ წამოვედი, ზვიადამე კი დავალბისამებრ ადგილზე დავტოვე — მიუგო ბურღულმა.

კაბინეტში სერჟანტი შემოვიდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო ქელასის კონტროლიორები თქვენთან შემოსვლას ითხოვენ.

— შემოუშვი — მოკლედ მოჭრა ბალანჩივაძემ.

სერჟანტი სხარტად გატრიალდა. რამდენიმე წამის შემდეგ ღია კარებში ორი ახალგაზრდა შემოვიდა. მაგიდას უხერხულად მიუახლოვდნენ.

— აბა „კონტროლიორები“ — ღიმილით მიმართა პოლკოვნიკმა, დასხედით და მოგვახსენეთ.

ყველანი მაგიდას მიუსხდნენ.

რაზემელება ერთმანეთს უცქეროდნენ და არ იცოდნენ საიდან დაეწყეთ, ბოლოს ერთი მათგანი წამოდგა, ჩაახველა და დაიწყო:

— დევიძის სახლს მართლაც ორმარშიანი კიბე აქვს კუთხოვანი რკინის სახელურით. კიბე გადაუხურავია. მეორე მარშის მერვე საფეხურის მარცხენა კუთხე ჩამოტეხილია. კიბე პირდაპირ შუშაბანდში შედის.

თვით დევიძე სახლში დავგვხვდა. მისი გადმოცემით დღეს სამსახურიდან თავისუფალია. შევამოწმეთ ელექტრო წერტილები. მრიცხველი არა აქვს. აღმოვაჩინეთ ჩართული ელექტრო ღუმელი, სათანადო ჯარიმაც გამოვწერეთ. ყველა ოთახები დავათვალიერეთ, მაგრამ წიგნების კარადა არ გვიხანავს. მაგიდაზე ვნახეთ ერთი წიგნი „ვაზის ყვავილობა“, სხვა წიგნები დევიძის სახლში ვერ აღმოვაჩინეთ. ბინა რომელიც დევიძეს უჭირავს, სამი ოთახის, შუშაბანდისა და დამხმარე სათავსოებისაგან შესდგება. ოთახები ერთმანეთში გასასვლელია. ყველაზე დიდ ოთახს შესავალი შუშაბანდიდან აქვს. მესამე ოთახის ერთი კარები გაუქმებულია.

— რატომ სამი ოთახისაგან? გაუქვირდა მინდელს — აკი გეგმაში ხუთი ოთახია?

— ზეთია, მაგრამ ორი ოთახი დევიძეს ვაჭირავებული აქვს. მდგმურები ახალგაზრდა ცოლ-ქმარი 10 დღეა ლენინგრადში არიან წასული ოთახები კი დაკეტილია. სწორედ ამ ოთახებში გასავალი კარი გაუქმებულია — უპასუხა მეორე რაზემელმა.

— დევიძე როგორ იქცეოდა? იკითხა ხომერიკმა.

— ჩვეულებრივად, საეჭვო არაფერი შეგვიინიშნავს.


— კარგი — შემოწმების შედეგებზე მოხსენებითი ბარათი დასწერეთ, შემდეგ თავისუფალი ხართ. დავალების საუცხოოდ შესრულებისათვის მადლობას გიცხადებთ — წარმოთქვა პოლკოვნიკმა.

რაზემელება კმაყოფილი სახით გავიდნენ კაბინეტიდან.

— გამოსარკვევია მეტად საინტერესო ფაქტი, შეცდა ექიმი, მდებარეობა შეუტყვალეს ნივთებს თუ სხვაგან უნდა ვეძიოთ დამნაშავეთა თავშესაფარი? დასვა კითხვა ბალანჩივაძემ.

— რას გვეტყვის ჯგუფის უფროსი? მიუბრუნდა ხომერიკი ბურღულს.

— ყველა სხვა სახლის კიბის საფეხურები მთელია, 4 მათგანი სახელურები ხისა აქვს, ესეც არ იყოს თვით მობინადრეთა პიროვნება არ იწვევს ეჭვს. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მაფიქრებინებს, რომ დამნაშავენი დევიძის ბინაში იმალებიან...



— დაკეტილ ოთახებში? — სიტყვა გააწყვეტინა მინდელმა.

დაახლოებით ოთახებში. მე უკვე შეგვრიბე ზოგიერთი ცნობები, ვესაუბრე საუბნო სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარეს, გამორკვე: დღეიქ მთელ სახლში მარტო ცხოვრობს. იგი მეუღლეა ალექსანდრე გაიოზის ძე გიორგაძისა, რომელსაც ძარცვისათვის ხუთი წლის წინათ 15 წლით პატიმრობა მიესჯა. დღეიქს ორი ოთახი, დაახლოებით ორი წლის წინათ გაუქმრავებია. მდგომარეობა — ახლავაზრდა ცოლქმარი — ზავილოვები საავტომობილო ქარხანაში მუშაობენ. ქმარი ინჟინერია, ცოლი მონაგარიშე, ათი დღის წინათ შვეტულებით ლენინგრადში წასულან მშობლების სანახავად. თვით დღეიქ მუშაობს.....

— საავადმყოფოში ექიმად თუ ექთანად — მოულოდნელად ჩაუბრუნო მინდელმა.

— მართალია, მაგრამ თქვენ საიდან იცით? გაუკვირდა ბურდულს.

— ჭალარამ მიაგზო — გაიცინა მინდელმა და დასძინა: დავაიწყებდათ აპარატი? ეს მან მისცა ექიმს სისხლის გადასხმისათვის.

— მართლა, — ეგ აღარ მომგონებია. დღეიქ ექთანია. თითქმის 12 წელიწადია ქალაქის პირველ საავადმყოფოში მუშაობს, წყნარ ცხოვრებას ეწევა და სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარის აზრით ძალზე პატიოსანი ქალია. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე გამოუსწორებელი ქურდია, ნატალიას ან მიუტოვებია იგი და თავის შემოსავლის დიდ ნაწილს სისტემატურად ხან ფულად, ხან ამანათის სახით პატიმარ ქმარს უგზავნის. ბინის პატრონსა და მის მდგომარეობას შორის ძალზე კარგი განწყობილებაა. — დამთავრა ბურდულმა.

პოლკოვნიკს წესად ჰქონდა შემოღებული ყოველთვის მოესმინა განყოფილების მუშაკების აზრი და შეემოწმებინა რამდენად სწორი დასკვნები გამოჰქონდათ მათ შერგოვებული ფაქტებიდან. ამჯერადაც დამთავრა თუ არა ბურდულმა, ბალანჩივაძემ არ დააყოვნა კითხვის დასმა.

ბოგორია თქვენი მოსაზრება?

— ერთი უეჭველია, ზავალოვებმა ოთახების გასაღები დღეიქს დაუტოვეს. მეორე: ჭალარა ამ სახლის შემთხვევითი სტუმარი არ არის. დღეიქ ასეთ სტუმრებს შემთხვევით არ მიიღებდა. ის დაკავშირებულია დამანაშავეებთან. სწორედ ამით უნდა ავსხნათ, რომ ისინი დღეიქს, ზავალოვების ლენინგრადში გამგზავრების შემდეგ ეწვივნენ.

პოლკოვნიკი ჩაფიქრდა, შემდეგ წყნარად წარმოთქვა:

— თქვენს დასკვნას ძირითადად ვეთანხმები, თუმცა მოსაზრება, რომ დღეიქ დამანაშავეებ-

თან დაკავშირებულია, ნაადრევია. შეიძლება მან არც იცოდეს მათი საქმიანობა, ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი ზუსტად უნდა დადგინდეს. რაც შეეხება დამანაშავეების შეპყრობას ესეც ნაადრევია. ჩვენ არ ვიცით, ჭალარა და მისი ხალხი ახლაც დღეიქსთან არიან თუ უკვე გამოიცვალეს ბინა. ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ისინი იქიდან არ წასულან. ბინას მისი აღმოჩენის წამიდან ჩვენ ვუთვალთვალვებთ, ახალი დანაშაული გამორიცხულია. ამის საშუალებას არ მივცემთ, ხოლო დღეიქის დაპატიმრებამ ან დაკავებამ შეიძლება მთელი ჩვენი შრომა წყალში ჩაყაროს და დამანაშავეებიც დროებით ხელიდან გავიკნახლდნენ.

— გარდა ამისა, — ჩაუბრუნო მინდელმა, — შეუპყრობელი არ უნდა დაგვრჩეს დამანაშავე-ექიმმა სამი მათგანი ნახა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მეტნი არ არიან. ახლა ისინი დაჭრილს მომჯობინებებს უტყვიან, რომ სწრაფად გაეცლონ ქუთაისს. უეჭველია ჯერჯერობით ეს მათ ვერ მოახერხებს, ან უფრო სწორად არ უტყვიან. ქალაქიდან გამოავალი ყველა მანქანა ისინჯება, ვუთვალთვალვებთ აგრეთვე მატარებლის მგზავრებს, აეროპორტიც ჩვენი კონტროლის ქვეშაა. პირველი მკვლელობის დღიდან მხოლოდ დღეს იყო ფრენის ამინდი. არც ერთი საექვეო პირი დაჭრილი ან ავადმყოფი მათი პიროვნების შემოწმების ვარაუდს ქალაქიდან არ გასულა.

— დღეიქის ბინის ჩხრეკა მართლაც ნაადრევია, საქმეს გააფუჭებს. უნდა გამოვამყდევინოთ ყველა დამანაშავე და ხელშემწყობი. ამაში თვით ბოროტმოქმედნი დაგვეხმარებიან. ისინი ფრთხილად, მაგრამ ალბათ მაინც ხვდებიან ერთმანეთს. ყველა დამანაშავე არ შეიძლება დღეიქის ბინაში იყოს მოკალათებული. მთავარი გაკეთებულია, ჭალარას ადგილსამყოფელი აღმოვაჩინეთ. ჩვენ უპირატესობა გვაქვს: ჭალარამ არ იცის, რომ მას უკვე ვუთვალთვალვებთ. ეს კი ცოტა როდია. მე საცხები ვეთანხმები ამხანაგ გიორგის. დამანაშავეთა შეპყრობა რამდენიმე დღით უნდა გადავდოთ და ისე მოვახდინოთ მათი დაკავება, რომ ახალი მსხვერპლი არ მოითხოვოს.

— კეთილი, — დასკვნა პოლკოვნიკმა, — ასე მოვიქცეთ, მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ჭალარას ჭკვიანი და გამოცდილი ბოროტმოქმედია. გამორიცხული არ არის, რომ მან უკვე იცნოსა რა კონტროლიორებიც იყვნენ დღეს დღეიქსთან, შეიძლება შეამოწმოს, გავზავნოს ვინმე ქელასში. — ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო — მიუბრუნდა ბურდულს — ეს საკითხი დაუყოვნებლივ მოაგვარეთ. ვაფრთხილეთ ქელასის უფროსი.

პოლკოვნიკმა ზარის დილაქს დააჭირა თითი.

— მაიორ ცინცაძეს უხმეთ.— უბრძანა შე-  
მოსულ სერჟანტს.

სერჟანტი სწრაფად სამხედრო წესზე შეტრი-  
აღდა. ბალანჩივაძემ კი კალმისტარი აიღო და  
სუფთა ფურცელზე რამდენიმე სიტყვა დაწერა.  
კაბინეტში ახოვანი აღნაგობის მელოტი მა-  
იორი შემოვიდა.

— ამხანაგო გრიგოლ— აბ აცადა პატაკი  
პოლკოვნიკმა— სასწრაფოდ გასინჯეთ ბარ-  
თები, დაადგინეთ, როდის და რა დახაშაულზე  
იქნა დაპატიმრებული ალექსანდრე გაიოხის ძე  
გიორგაძე, შეამოწმეთ აგრეთვე ხომ არ მოგ-  
ვეპოვება რაიმე მონაცემები მის მეუღლეზე,  
ნატალია პავლეს ასულ დევიძეზე, შემდეგ დაუ-  
კავშირდით № 1 საავადმყოფოს და გამოარკ-  
ვით, რომელ განყოფილებაში რა თანამდ-  
ბობაზე მუშაობს დევიძე და იყო თუ არა სამ-  
სახურში ა/წლის 12 იანვარს. ცნობები დილის  
9 საათზე მზად იყოს.

— გასაგებია ამხანაგო პოლკოვნიკო. შეიქ-  
ლება წავიდეთ?

— წადი, — ნება დართო პოლკოვნიკმა.

— მაშ ასე ამხანაგებო, — განაგრძო ბალანჩი-  
ვაძემ, როდესაც მაიორი გავიდა. — საკითხი გარ-  
კვეულია. ახლა მთავარია განუწყვეტლივ ვუთ-  
ვალთვალოთ დევიძის ბინას. აუცილებლად უნ-  
და დავადგინოთ, ვის ხედება ჭაღარა, უნდა  
აღმოვაჩინოთ ყველა მათი თანამზრახველი.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ზვიადაძეს  
ორი საათის შემდეგ შეცვლით. სათვალთვალო  
პუნქტად შეიძლება გამოიყენოთ ლუდის ბა-  
რიცი. ის სწორედ დევიძის სახლის გვერდით  
მდებარეობს. იქიდან ნაკლებად შესამჩნევი იქ-  
ნებით— პოლკოვნიკმა საათს დახედა— 5 სა-  
ათი და 50 წუთია. 6 საათზე პარტიული ბი-  
ურო გვაქვს, ჩრდილელის საკითხს ვიხილავთ.

— ამხანაგო გიორგი, მიუბრუნდა ის ხომე-  
რიკს, თუ საშუალება გაქვთ სასურველია თქვენ  
და ამხანაგი მინდელი დაესწროთ.

— სიამოვნებით, თუ მოვასწრებთ— ხომე-  
რიკმა მინდელს შეხედა.

— მოვასწრებთ— უპასუხა მინდელმა— ლე-  
ჟავა და ჩიკვაიძის სხვა ამხანაგები ხვალ დი-  
ლისათვის დავიბარე, პანაშვიდზე წასვლა ჯერ  
აღრეა.

— ჩინებულია— თქვა პოლკოვნიკმა და წა-  
მოდგა. წავიდეთ, ასეთი საკითხის განხილვას  
სასურველია ესწრებოდეთ— ბალანჩივაძემ კა-  
რები გააღო, ოთახში მყოფნი გაატარა და შუქი  
გამორთო.

თ ა ვი V

სახლს, რომელშიაც ნატალია დევიძე ცხოვ-  
რობდა, დღედაღამ უთვალთვალებდნენ, ბალან-  
ჩივაძემ ოპერატიული მუშაუბები ისე გაანაწილა,

რომ ყოველგვარი შემთხვევითობა თავიდან აე-  
ცილებინათ, სახლს ორი შესასვლელი ჰქონდა,  
სადარბაზო და ეზოდან. ორი ფანჯარა მეორე  
სართულისა სულ სხვა ქუჩაზე გადიოდა და გა-  
მორიგებული არ იყო საჭირო შემთხვევაში სწო-  
რედ ფანჯრით ესარგებლათ ბოროტმოქმედებს.

ეს მხარე ბურღულს და ჩრდილელს ებარათ.  
პოლკოვნიკმა პირველად თავი შეიკავა ჩრდი-  
ლელის კანდიდატურაზე, მაგრამ ბურღულმა,  
რომელიც ახლა ჯგუფის უფროსად იყო დანი-  
შნული, დაბეჭივებით მოითხოვა ჩრდილელის  
ჯგუფში მისი ჩარიცხვა. ამან პოლკოვნიკის თან-  
ხმობაზე მეტად გააკვირვა კაპიტანი.

ჩიკვაიძის დაღუპვას ჩრდილელი ძალზე გა-  
ნიცდიდა. პარტიუროს სხდომაზე, სადაც მისი  
საკითხი განიხილეს, კაპიტანს ერთი სიტყვი-  
თაც არ უმართლებია თავი, თვითონვე აღიარა  
შეცდომა. ოპერატიულმა მუშაუბებმა დაუზოგა-  
ვად გააკრიტიკეს და მისი მკაცრად დასჯა მოი-  
თხოვეს. ჩრდილელი იჭდა, სირცხვილით იწყო-  
და და დუმილით უსმენდა ამხანაგების მკაცრ  
გამოსვლებს. განსაკუთრებით მწვავედ განიცა-  
და ბურღულის, მისი სტუდენტობის მეგობრის  
გამოსვლა.

— ჩრდილელი— თქვა მან— თავისთავში ზედ-  
მეტად დარწმუნებული კაცია. მას რატომღაც  
მიაჩნია, რომ სხვაზე მეტად ოპერატიულია და  
გამომძიებლის რაღაც ზებუნებრივი ნიჭით არის  
დაჯილდოებული. თავბრუ დასხსა ორიოდე საქ-  
მის წარმატებით გამოძიებამ, ხშირად ანგარიშს  
არ უწევს ამხანაგების რჩევას. გამომძიებლისა-  
თვის შეუძლებელია თვითდარწმუნება და ყო-  
ყოჩობა, ჩრდილელი კი ამ „სიკეთიდან“ თავ-  
ვისუფალი არ არის. ის რაც მას მოუვიდა შეც-  
დომა როდია, არამედ ყოყოჩობის შედეგა.  
ტყუილიად ცდილობდა აქ ამხანაგი მინდელი თავ-  
ვის თავზე აეღო ჩრდილელის დანაშაული. რო-  
გორ შეიძლება მილიციის ოპერატიულმა მე-  
შაქმა, რომელიც თითქმის 6 წელია საგამომძი-  
ებლო საქმიანობას ეწევა, ასეთი შეცდომა და-  
უშვას? მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩრდილელმა  
გადაწყვიტა ყველასათვის გაესწრო „ოპერა-  
ტიულობაში“ და ელვისებურად გაეხსნა ტყე-  
შელიაძის მკვლელობის საქმე! თუ რა შედეგი  
მოჰყვა ამას, ჩვენ უკვე ვიცით. ის მკაცრად  
უნდა დაისჯოს და ერთელ და სამუდამოდ  
შეიგნოს, რომ ყოყოჩობა საქმის მტრია.

კამათის შემდეგ ბალანჩივაძის წინადადებით,  
ჩრდილელი საყვედური გამოუცხადეს სააღრი-  
ცხო ბრატში შეტანილ და ჯგუფის უფრო-  
სობაც ჩამოართვეს.

კარებიდან გამოსულს ბურღული თითქმის  
პირად მტრად მიაჩნდა და თუმცა ძალზე ვსი-  
ამოვნა, გაუკვირდა, როდესაც სწორედ ბურ-





დღეობა და არა სხვამ ითხოვა მისი ამ მეტად სერიოზულ ოპერაციაზე გაშვება.

ღამის 10 საათზე ბურღული და ჩრდილული დევიძის სახლის წინ მდებარე ბარში ისხდნენ, ლუდს შეეძეოვნენ და საუბრობდნენ. ბარ-



ში თბილდა, თამბაქოს ბოლი ბულივით ტრიალებდა. ბარში საკმაოდ ბევრი ხალხი ირეოდა და სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ ოპერმუსიკებს მაინც და მაინც არავინ აქცევდა ყურადღებას. კუთხის მაგიდასთან მოკალათებულნი თვალს არ აშორებდნენ დევიძის ბინის ჩაბნელებულ ფანჯრებს.

ღამის 11 საათზე ბარში ოთხი კარგად ჩაცმული ახალგაზრდა შემოვიდა. ხმაურით დაიკავეს შემადლებული მაგიდა, კონიაკი, ლუდი და ცხელი ხინკალი დაუკვეთეს. ოფიცრებმა ძალაუნებურად ყურადღება მიაქციეს მხიარულ ახალგაზრდებს, რომლებიც მაგიდის ირგვლივ ფეხზე მდგარი ზედიზედ ცლიდნენ კონიაკს და ტოლინი ლუდს აყოლებდნენ. მალე საკმაოდ შეხურდნენ და მთვრალი კაცის დამახასიათებელი დაუბრუნებლობით ხმამაღალი საუბარი გამართეს.

— ბიჭებო, — დაიწყო მალაღმა გამხდარმა ახალგაზრდამ. — მოდი ანზორის შესანდობარი დავლიოთ. ღმერთმა აცხონოს, თუ რაიმე არსებობს იმ ქვეყნად. მე რომ დღეს დედამისის საცოდობა ვნახე ზეზეურად გავთავი კაცი.

— გაუმარჯოს — უბასუხა მეორემ — ხსოვნა აყოს საწყალი ანზორის.

ოთხთავემ სულმოუთქმელად გადაპკრეს.

— მაინც ნეტავ ვინ მოჰკლა საწყალი ბიჭი? იკითხა მესამემ.

— ვინ მოჰკლა ეგ არ ვიცი, მაგრამ კლავას რომ ვედაყოლა თავი ეს ნაღლია — უბასუხა პირველმა.

ბურღულმა და ჩრდილულმა ერთმანეთს გადახედეს, ყურადღება გაამახვილეს და არც კი შეუმჩნევიათ, როგორ წამოადგათ თავზე უფროსი ლეიტენანტი კურცხალია.

— ბარიდან გადით, გარეთ მინდელი გიცდით, ხმადაბლა ჩაილაპარაკა კურცხალიამ და შემდეგ ხმამაღლა შეეკითხა:

— შეიძლება ჩამოვცდე?

— დაბრმანდით, ჩვენ უკვე მივდივართ — უბასუხა ბურღულმა და წამოგდა.

ჩრდილულმა დანახარჯი გადაიხადა.

ოფიცრებმა ბარი დატოვეს.

კურცხალიამ ტოლია ლუდი დაუკვეთა, ნელ-ნელა წრუბავდა და შეუმჩნევლად ახალგაზრდებს ათვალიერებდა.

— კლავა რა შუაშია — იკითხა ქერა ახალგაზრდამ.

— იმ შუაშია, რომ ფულით ვერ მოპირა. — უბასუხა პირველმა და განაგრძო — ანზორი სიკვდილამდე ორი დღის წინ შემხვდა. დანა კბილს არ უხსნიდა.

— ვინ არის ეგ ვილაკ კლავა? — იკითხა მეოთხემ, დაბალმა შევევრემაწმა ახალგაზრდამ.

— ერთი რესტორანში მუშაობს კელნერად.

— ლამაზია?

— ისე რა, ანზორი დღეფინივით ჰყავდა გამოჭერილი, თვითონ თქვა, შე კლავას ვერ მოეშორებდბო.

— მოიცა დათო, მე მაინც ვერ გავიგე რა დამოკიდებულება აქვს ამ ამბავს ანზორის მკვლელობასთან? — იკითხა აქამდე ჩუმად მყოფმა მესამე ახალგაზრდამ.

— რა და ის, რომ როდესაც ფული გპირდება, სადმე უნდა იშოვო, უფულოდ კლავა ანზორს კი არა მზეჭაბუკს არ იკარებს. ანზორის მისი საყოფი ფული სად ჰქონდა, პოკერს თამაშობდა. ყოველთვის ხომ ვერ მოიგებდა, ჰოდა, ვინ იცის რა მოხდა... გავგიმარჯოს...

კვლავ შეავსეს ჭიქები.

ყმაწვილო, შენზე ნაწყენი ვარ, — შესცვალა საუბრის თემა შავი რატინის მოკლე პალტოში ჩაცმულმა ახალგაზრდამ.

— რა გაწყენინე? გაუკვირდა თამადას, რომელსაც დათოს ეძახდენ.

— მეკითხები კიდევ? რატომ მომატყუე ამ სამი დღის წინ და დამტოვე ქორწილში წაუსვლელი?

— აკი გითხარი.

— არაფერიც არ მითხარი. წედან ანზორის პანაშვილიდან რომ გამოვედი, იქაც გკითხე და

სიტყვა ბანზე ამიღვე. რატომ არ მოხვედი?

— ხომ ვითხარი მანქანა გაფუჭდა მეთქი.

— ჰო და ტყუილი ვითხარი. კი არ გაგაფუჭდა, სადღაც იყავი.

— ღმერთმანი არა ზურაბ.

— როგორ თუ არა, როცა მანქანა სახლში არ გყავდა და თითონაც ორი ღღე დაიკარგე — სად იყავი?

— მაგას კარგი ღღე დაადგა ტყუილისათვის — გაიცინა დაბალმა.

— კარგი ახლა — იწყინა თამადა.

— მოიცა დათო, დასამალი რა არის — კვლავ გაიცინა დაბალმა და განაგრძო — ვილაღ ძმაცს წაჰყავ მგონი სამტრედიამი საქმეფოღ, ჰოდა კარგად შეეეს და ორი ღღე მანქანაც გზაში ჰყავდა დაყენებული.

— როგორ? გაუკვირდა ზურაბს.

— კარგად. მანქანის შალითაც სისხლით იყო შეღებული, კიდევ კარგი დედამისს არ გაუღვია, დაამთავრა დაბალმა და გადაიხარხარა.

— კარგი ერთი მორჩი — დათომ სავსე ჰქია ასწია, მეგობრები აღდევრძელა.

კურცხალია წამოდგა, ლუდის საფასური გადაიხადა და ბარიდან გავიდა.

ბარის წინ გაჩერებული „ვოლგა“ შეათვალიერა. კარგად დაიხსომა ნომრები და ნელი ნაბიჯით წავიდა გაჩერებისაკენ, სადაც მინდელი და მილიციის ოფიცრები სხვებთან ერთად ტროლეიბუსს ელოდებოდნენ.

ქუჩაში ხალხის მოძრაობა შეთხელებულიყო. ყინავდა. ქვაფენილზე დარჩენილი თოვლი საამოთ ქათქათებდა ელექტრო შუქზე.

ტროლეიბუსი ჩამოვდა, მგზავრები ჩამოვიდნენ, მათი ადგილი სხვებმა დაიკავეს.

ოფიცრები ტროლეიბუსიდან ჩამოსულეში გაერივნენ, მინდელმა რამდენიმე სიტყვა უთხრა კურცხალიას და ტროლეიბუსში შევიდა. ქუჩაში დარჩენილებმა კარგად დაინახეს, როგორ ჩაჯდა სავარძელში გამომძიებელი. ხმაურით დაიკეტა კარები და კრიალა მანქანა დინჯად გატურდა თოვლისაგან გაწმენდილ ქუჩაზე.

ოპერმუსიკებმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს, შემდეგ გვერდით ქუჩაში შეუხვიეს და გაჩერდნენ.

— ახალი ხომ არაფერია? — იკითხა კურცხალიამ და ამხანაგებს პაპიროსი მიაწოდა.

— არაფერი, ფანჯრები კვლავ ჩაბნელებულია — ჩრდილელმა პაპიროსს მოუკიდა და შეეკითხა:

— ისინი ბარში დასტოვე?

— კი, ძალზე მთვრალეები არიან. „ვოლგა“ გარეთ უცდით, გამოვლენ მიუჯდებიან საქვს და კიდევ კარგია თუ არავინ იმსხვერპლეს.

— საქმისათვის საჭირო გაიგე რამე? — იკითხა ბურღულმა.

— ჯერ ვერა. მე მათ მინდელის დავალებით ტყუილიაძის სახლიდან გამოვყვევი. იქ მანქანე ლაპარაკობდნენ რალაცს. შემდეგ ბარში წასვლა გადაწყვიტეს. მინდელი დაინტერესდა მათი ვინაობით, მეც იმიტომ შემოვედი იქ.

— აინთო! — უტერად წამოიძახა ჩრდილელმა და ხელი გაიშვირა. ბურღულმა და კურცხალიამ იქით გაიხედეს, საითაც ამხანაგი ანიშნებდა.

ღვევიძის ბინის იმ ოთახებში, რომელიც ცოლქმარ ზავიალოვებს ეკირათ, შუქი კიაფობდა. ბურღულმა საათს დახედა: პირველი სრულდებოდა, ქუჩაში ბარის წინ ხმაური გაისმა. კურცხალიამ ფრთხილად გაიხედა. დათო და მისი მეგობრები ხმაურით მანქანაში სხდებოდნენ. სამთავემ გარკვევით გააჩრის მანქანის კარების მიხეთქების ხმა და იმავე წამს „ვოლგამ“ თავბრუდამხვევი სისწრაფით ჩაიქროლა.

— აბა მე წავედი — აჩქარდა კურცხალია — მანქანა შორს ვერ წავა. მინდელი ხიდთან ინსპექტორს დაახვედრებს, საბაბიც შესაფერია დაკავებისათვის. მთვრალეები უსხედან საჭეს — ლეიტენანტი ნისლივით გაქრა. ყრუ შესახვევში ორნი დარჩნენ.

— მაშ ასე — ჩაილაპარაკა ბურღულმა — ღვევიძის საიდუმლო მღვპურები ადგილზე არიან და ლამის პირველ საათზე იწყებენ „საქმიანობას“.

— ახლა როგორ მოვიქცეთ? იკითხა ჩრდილელმა.

— ველოდოთ. შენ აქ დარჩი, მე ბიჭებისაკენ გავივლი, გავაფრთხილებ. ახლა განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ჭადარასთან ან უკვე მივიდა ვინმე, ან უნდა მივიდეს. შესაძლოა შუქი სამისო სიგნალიც იყოს — უბასუხა ბურღულმა. შემდეგ მთავარი ქუჩა მოათვალიერა, პალტოს საყელო აიწია და მთვრალი კაცის დამახასიათებელი ნაბიჯით გადაჯრა ქუჩა და თვალს მიეფარა.

ქუჩაში გამვლელები აღარ ჩანდნენ. ხანგამოშვებით მსუბუქი მანქანა ან ტროლეიბუსი თუ ჩაიქროლებდა.

ღამე და ყინვა მეფობდა ქალაქში.

ჩრდილელმა პაპიროსი ამოიღო, დიდი სიფრთხილით მოუკიდა და მადიანად მოსწია.

ღამის ჩრდილში შეფარებული ბურღული ისე აკროდა ელექტრო ბოძს, რომ ერთი შეხედვით მისი განუყოფელი ნაწილი ეგონებოდა გამვლელს. ის იღგა სიცივეში, ყინვაში, მთელი ღღის ნაშრომი, დაღლილი და ხალხის ძილს დარაჯობდა. წუთები კი მძიმედ გადიოდა ამ დაუსრულებელ ზამთრის ღამეში.



დათო ქავეარაძე ღამე დააკავეს. ჩხრეის შედეგად ქავეარაძის საზღაფში მანქანის სისხლიალი შალითები იქნა ნაპოვნო.

დილთ ბალანჩივაძე, ხომერცი და მინდელი თითქმის ერთდროულად მივიდნენ სამმართველოში.

— დაკითხე ქავეარაძე?— შეეკითხა მინდელს პოლკოვნიკი.

— არა, წუხელ ძალზე მთვრალი იყო.

— მას დავკითხოთ.

პოლკოვნიკმა ზარის ღილაკს დააჭირა თითო. შემოსულ სერჟანტს ქავეარაძეს მოყვანა უბრძანა. შემდეგ ყურმილი აიღო, ნომრები აკრიფა.

— სალამი ბატონო გივი. პოლკოვნიკი ბალანჩივაძე ვარ. დიახ, გამოიცანით. ძალიან გვჭირდებით... 6 საათზე? კაბგი იყოს. გელოდებით.

პოლკოვნიკმა წყნარად დასდო ყურმილი აპარატზე.

კაბინეტის კარები გაიღო.

თავდახრილი ქავეარაძე უხერხულად აიტუზა კარებთან.

— ახლოს მოდით, დაჯექით,— წარმოთქვა მინდელმა და კუთხეში მდგარ სკამზე ანიშნა.

ქავეარაძე უხმოდ ჩამოჯდა.

ბალანჩივაძემ დაკვირვებით შეათვალიერა თავჩაღუნული ახალგაზრდა. წინალამით ნაბახუსეგს სახე შეუშუბებოდა, თვალბქვეშ ლურჯი არშიები გასჩენოდა, გაფითრებულ შუბლზე დაუვარცხნელი, გაწეწილი ქერა თმა ჩამოჰყროდა.

— დიდი ხანია მანქანას ატარებთ? დაარღვია ღუმლით მინდელმა.

ქავეარაძემ თავი ასწია.

— სამი წელიწადია— ამოილაპარაკა უღიმღამოდ.

— რატომ ჯდებით მთვრალი საუკესთან?

ქავეარაძე ღუმდა.

— სად იყავით წუხელ ბარში შესვლამდე? განაგრძო მინდელმა.

— ანზორ ჩიკვაიძის პანაშვიდზე, — წყნარად მიუგო დათომ.

— იცნობდით ჩიკვაიძეს?

— დიახ.

— როგორი დამოკიდებულება გქონდათ მასთან?

— ჩვეულებრივი, — უპასუხა ქავეარაძემ.

— რაიმე უკმაყოფილება ხომ არ გქონიათ?

— მე და ჩიკვაიძეს? განცვიფრდა ქავეარაძე— არა!

— რატომ სტყუით? — შენიშნა მინდელმა მკაცრად.

— ვსტყუი? მე არა ვსტყუი, მაგრამ რა კავ-

შირი აქვს თქვენს კითხვებს ჩემს მიერ მოთხოვნილ მდგომარეობაში მანქანის მართვასთან? კითხვაზე კითხვით უპასუხა პატიმარმა.

— თქვენ მიპასუხეთ, კითხვებს აქ მე ვიძლევი.

— არავითარი უკმაყოფილება არ მქონია ჩიკვაიძესთან, მიუგო ჯიუტად ქავეარაძემ.

ამ ორი თვის წინათ რატომ იჩხუბეთ?

პატიმარი აირია.

ვიჩხუბეთ... მერე რა რომ ვიჩხუბეთ. მაინც ამხანაგები ვიყავით, მტრები ხომ არა.

— კარგი, ასე იყოს, დათანხმდა გამომძიებელი და განაგრძო. აბა კარგად მოიგონეთ და მიპასუხეთ, სად იყავით თქვენი მანქანით ა/წლის 12 იანვარს?

— 12 იანვარს? თვალები გაუფართოვდა დათოს.

— დიახ, თორმეტ და ცამეტ იანვარს! დააუხსტა მინდელმა.

ქავეარაძე აიღწეო.

— არ მახსოვს... ჩაილაპარაკა გაუბედავად.

— უნდა მოიგონოთ, თქვენს პასუხზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ქავეარაძე გამომცდელად მიაჩერდა მინდელს, შემდეგ ბალანჩივაძეს შეავლო თვალი და მიხვდა, რომ მთვრალ მდგომარეობაში მანქანას მართვა ამჟამად რაღაც წვრილმანი იყო და გამომძიებელს სხვა, რაღაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ინტერესებდა.

— მიპასუხეთ.

— არ მახსოვს, ვერ მოვიგონე— მიუგო დაფანტულად.

— კარგი — რატომ არის მანქანის შალითა სისხლით მოსვრილი?

ქავეარაძეს გაფართოებულ თვალბში შიში ჩაუსახლდა.

— რა სისხლი. შეგიძლიათ ნახოთ, არავითარი სისხლი და საერთოდ...

— ჩვენ უკვე ვნახეთ მოქალაქე ქავეარაძე — მკაცრად შეაწყვეტინა მინდელმა და დარეკა.

— შემოიტანეთ წუხელ ჩხრეის შედეგად ქავეარაძის სახლიდან წამოღებული შალითა — უბრძანა შემოსულ სერჟანტს.

პატიმარი მიცვლებულივით გაფითრდა, უეცრად დაუგრძელდა სახე და ხელები აუკანკალდა.

მინდელს ან გამოპარვია, რა გავლენა მოახდინა პატიმარზე სისხლიანი შალითას ხსენებამ და გადაწყვიტა ესარგებლა ქავეარაძის შეკრთომით.

— უარყოფას აზრი აღარა აქვს — დასძინა მტიცილად.

ქავეარაძე გამოერკვა.

— რა გინდათ ჩემგან? რას მპროვებთ,

კითხა შიშით და ცუდად დაფარული მძულვარებით.

— ჩვენ არაფერს ვაბრალებთ. გვინდა გვიტყვით — სად იყავით 12 და 13 იანვარს ღამით, — მშვიდად შენიშნა მინდელმა.

— ამას თქვენთვის არა აქვს მნიშვნელობა — უპასუხა მკვახედ.

კაბინეტში სერჟანტი შემოვიდა. ფრთხილად დაღობილი მკვახედის დასახელებით თოქმეტიკრული შალითა.

— გახსენით — უბრძანა ბალანჩივაძემ.

სერჟანტმა თოქი შესხრა, გაშალა, ლაპაზ დეკორატიულ ქსოვილს უხვად აჩნდა სისხლის ლაქები.

— თქვენია შალითა? — შეეკითხა პოლკოვნიკი.

ქავეარაძე დუმდა.

— შეხედეთ და გვიპასუხეთ — სიმკაცრე და ეტყო პოლკოვნიკს.

პატიმარმა თავაუწყევლად შეათვალიერა ქსოვილი.

— ჩემია — ჩაიჩურჩულა წყნარად.

— ვისი სისხლით არის დასვრილი? — განაგრძო მინდელმა.

— არ ვიცი.

როგორ თუ არ იცით? — გაიკვირვა ბალანჩივაძემ. არ იცით ვისი სისხლით არის დასვრილი თქვენი მანქანის შალითა?

ქავეარაძე კვლავ დუმდა.

— მიპასუხეთ — ხმას აუწია პოლკოვნიკმა.

— არ ვიცი, გაიმეორა ჯიუტად პატიმარმა.

— თავს ნუ ისულელებთ ქავეარაძე, თქვენთვისვე ჯობს სიმართლე თქვათ.

— აკი ვითხარით არ ვიცი მეთქი — გაიმეორა დათმობა და უტეხად შეხედა ბალანჩივაძეს. მინდელს ბრაზი მოერია, მაგრამ თავი შეიკავა. პაპიროსს მოუკიდა.

— ქავეარაძე — დაიწყო მან წყნარად — თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ ეგ პასუხი არ არის, შალითა თქვენია. ჩვენ ის წუხელ ჩხრეკის შედეგად ამოვიღეთ თქვენი სახლის სარდაფიდან. გესმით? სარდაფიდან და არა გარაჟიდან! და ის ვინც შალითა გადაამალა, დანტერესებული იყო არავის ენახა მასზე არსებული სისხლის ლაქები, ადამიანის სისხლის ლაქები!

— ეს სერიოზული საშიშლია და თქვენც მისი უარყოფა არ შეგიძლიათ. დასძინა ბალანჩივაძემ.

ქავეარაძე არ განძრულა.

— არ გსურთ მიპასუხოთ?

— მე ვითხარით, არ ვიცი სად დაისვარა შალითა.

— მანქანას თქვენს გარდა ატარებს ვინმე?

— დიახ, მამაჩემი.

— 12 იანვარს მამათქვენს ჰყავდა მანქანა წყვეანილი?

— არა, არა! რას ამბობთ მამაჩემმა არც კი იცის თუ... არ დაამთავრა სათქმელი ქავეარაძემ.

— თუ რა? დაამთავრეთ.

ქავეარაძე შეეყოყმანდა, მუდარით შეაჩერდა გამომძიებელს.

— თუ მე სახლში არ ვიყავი — ამოღებდა ბოლოს.

— მაშ მოვიგონეთ რომ სახლში არ იყავით? კარგია, ახლა თქვით სად იყავით? — კვლავ ძველ კითხვას დაუბრუნდა გამომძიებელი.

ქავეარაძე წამით დუმდა, შემდეგ თავი ასწია — გაბედულად შეხედა გამომძიებელს.

— ვხედავ რაღაცას მახარებთ, მაგრამ მე არ მეშინია, რადგან ვიცი არავითარი ბოროტება არ ჩამიდენია, რაც შეეხება 12 იანვარს, ვითხარით, რომ არ მახსოვს, მაგრამ თუ სადმე ვიყავი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიჩხუბე და რაიმე დანაშაული ჩავიდინე.

მინდელი გააკვირვა ქავეარაძის პასუხმა, მისმა ტონმა. დამანაშავეა თუ არა? გაუელვა ფიქრმა და გამომძიებელად მიაჩერდა პატიმარს.

ქავეარაძეს პირველმა შიშმა გაუარა. მშვიდად იჯდა სკამზე და ჯიუტად შეკრულ წარბებზე გულმოსულად შეჰყურებდა გამომძიებელს.

— ასე ფონს ვერ გახვალთ ქავეარაძე — დაარღვია დუმილი გამომძიებელმა — თქვენ არ გინდათ თქვათ სად იყავით 12-13 იანვარს ღამით, არ გინდათ თქვათ რა ვითარებაში დაისვარა სისხლით თქვენი მანქანა, სისხლიანი შალითა სარდაფში დამალეთ. ყოველივე ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სწორედ თქვენს მიერ არის ჩადენილი დანაშაული.

— რა დანაშაული? ბრაზიანად ჩაიხიხინა ქავეარაძემ.

— მკვლელობა — ცივად მოჰყვეთა მინდელმა.

— მკვლელობა? ვისი მკვლელობა? ძლივს ამოილაპარაკა დათმობა.


— ჩიკვაიძის, ანზორ ჩიკვაიძის მკვლელობა, განუმარტა პოლკოვნიკმა.

ქავეარაძე ელდნაცემით წამოიჭრა სკამიდან. გაფითრდა. შემდეგ უეცრად მოწოლილმა სისხლმა წითელი ლაქებით აუფორაჯა მოგრძობა სახე, ცივიანივით აუცახცახა ნიკაბი.

— თქვენ... თქვენ გაგაჟღერებთ თუ ხუმრობთ, იყვითა გამაგებებით.

— აქ არ ხუმრობენ, — შენიშნა პოლკოვნიკმა.

ქავეარაძემ უზაროდ შეხედა ორთავებს. გამომძიებლისა და პოლკოვნიკის მოღუშულმა გამოხედვამ შეაძრწუნა და იგი მოცელილივით დაეცა სკამზე.



— დედა! ვაიმე დედა! დიაგნოზი მან და ხმა-  
მალა ატირდა.

მინდელმა და ბალანჩივაძემ ერთმანეთს გა-  
დახედეს, შემდეგ მიაპყრეს მზერა პატიმარს,  
რომელსაც თავი ხელებში ჩაერგო და მხრები  
უცახცახებდა.

კაბინეტში გამეფებულ ღუმელს ქავეარაძის  
ზღუქუნ ანდევდა მხოლოდ.

ასე გავიდა რამდენიმე წუთი.

ქავეარაძე ოღნავ დამშვიდდა, თავი ასწია,  
თვალცრემლიანი გამოძიებულს მიაჩერდა.

მინდელი ღუმელა და ელოდა როდის ალაბა-  
ჩაკლებოდა პატიმარი.

— ბატონო გამოძიებულო მე... მე არ მეგო-  
ნა გეფიცებით, მწამდა, რომ მეხუმრებოდით,  
მე მკვლელო? როგორ იფიქრეთ, რომ...

— სად იყავით 12 იანვარს ღამით? გაწყვე-  
ტინა მინდელმა.

— ვიყავი სხვაგან, ვიყავი, მაგრამ მანქანა...  
მანქანა თან არ მყოლია... ის სხვას სხვას ვა-  
თხოვე.

— ვის ათხოვეთ?

— არ ვიცი ე. ი. გვარი არ ვიცი! ვახტანგის  
ეძახიან, სახეზე ვიცნობ ამოილულულა ქაე-  
ჟარაძემ.

— მანქანა უცნობს ათხოვეთ? შეეკითხა გა-  
მომძიებელი.

— გეფიცებით, ნამდვილად უცნობს ვათხოვე,  
ორი დღით სამტრედიასში იყო წასული დამი-  
ჯერეთ.

— რატომ ათხოვეთ?

— გეტყვით ყველაფერს გეტყვით, ვახტანგის  
ფული მემართა 1000 მანეთი, ჰოდა უარი ვერ  
ვუთხარი, მითხრა, თუ მანქანას მათხოვებ, ვალს  
გადახდილად ჩავთვლიო და...

დაუჯერებელს ლაპარაკობთ ქავეარაძე! უც-  
ნობს მანქანა ათხოვეთ, უცნობისაგან ფული  
ისესხეთ, ისიც ასეთი თანხა. გესმით რა სუ-  
ლელურად მსჯელობთ.

— მე, მე არ მისესხებია... ეს ფული ... წა-  
ვაგე... ზარში წვაგე... ამოღერდა მან.

მინდელი გამომძიებლად მიაჩერდა.

— წააგეთ? როდის წააგეთ?

— ზაფხულზე... თბილისში. შემთხვევით გა-  
დავეყარე. მას შემდეგ ახლოს არ გავკარებდვარ  
თამაშს. დასანახად შემძულდა კამათლები. შეე-  
პირდი ფულს ჩავუტანდი, ვერ ვიშოვე, შიშით  
თბილისში არ ჩავდიოდი. 10 იანვარს მოულო-  
დნელად აქ, ქუთაისში გადავეყარე, შემეშინდა,  
უარი ვერ ვუთხარი. დამიჯერეთ სიმაართეს  
გეუბნებით.

— ვინ იცის რომ მანქანა სხვას ათხოვეთ?

— არავინ, აბავისათვის მიიტყვამს. სახლიდა-  
ნაც იმიტომ წავედი, რომ ეს არ გაეგოთ.

— სად არის ახლა ის ვიღაც ვახტანგე...  
ჩაერია პოლკოვნიკი.

— არ ვიცი, ალბათ თბილისში. მე ასე მითხრა  
თბილისში მივდივარო ამადამ.

— როდის ვითხრათ?

— 13 იანვარს, როცა მანქანა მოიყვანა.

— ვინ არის ვახტანგი და რა საქმიანობას  
ეწევა?

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. შემთხვევით  
შეგხვდი, სახეზე ვიცნობ მხოლოდ, არაფერი  
ვიცი მის შესახებ.

— სად გაასისხლიანეთ მანქანა?

— მე არაფერ შუაში ვარ, დილით ვნახე,  
რომ შალითა სისხლიანი იყო, შემეშინდა, არა-  
ვინ გაიგოს მეთქი, იმიტომ დავმალე, რას ვი-  
ფიქრებდიო თუ...

— გრძელიძეს იცნობთ? — ახალი კითხვა დას-  
ვა მინდელმა.

— ვინ გრძელიძეს...

— ქირურგს.

— არ ვიცი ვინ არის.

— ნატალია დევიძეს?

— არც მას.

კარგი, ამჟამად კმარა. — გაიყვანეთ — უბრ-  
ძანა მინდელმა ზარის ხმაზე შემოსულ სეგ-  
ჟანტს.

ქავეარაძე წამოდგა, მუდარით შეხედა გა-  
მომძიებელს.

— მე... მე თავისუფალი ვარ? შეიძლება სახ-  
ლში წავიდე?

იკითხა ჩავარდნილი ხმით.

მინდელმა გაკვირვებით შეხედა.

— ის რაც თქვენ მიამბოთ, ჯერჯერობით მხო-  
ლოდ ზღაპარს ჰგავს. ვიდრე არ შევამოწმებთ,  
აქ დარჩებით — გაჰყვივით.

მინდელი და ბალანჩივაძე მარტო დარჩნენ.

— რას იტყვით ლევან? დაარღვია ღუმელი  
პოლკოვნიკმა.

— ჯერ ვერაფერს, ვნახოთ ტას გვეტყვის  
ქავეარაძე შემდეგ დაკითხვებში. თუ ყველა-  
ფერი ის, რაც მან ახლა გვიჩვენა, მოგონილია,  
მე კი მგონია მოგონილია, შემდეგ ჩვენებებში  
იოლად აერევა დეტალები. ორ სამ დღეში მის  
პიროვნებას შევისწავლით. სხვა საკითხებსაც გა-  
ვარკვევ. ახლა კი უნდა ვითხრათ ყველა მონა-  
ცეში მის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ეჭვს არ  
იწვევს, რომ ამ მანქანით წაიყვანეს ბოროტმო-  
ქმედებმა დატყობილი ბანდიტი, სისხლიც უთუოდ  
მისია, ამავ მანქანით არის გატაცებული გრძე-  
ლიძე, ალბათ ქავეარაძესაც ამოიცნობს. მე წუ-  
ხელ ღამითვე შევამოწმე. ქავეარაძის მანქანას  
უკანა სავარძელის მარცხენა კუთხის ზამბარა  
დაზიანებული აქვს. საუკესთან მჯდომი დამნა-  
შავის გარეგნობა, რაც გრძელიძემ აგვიწერა,  
ნაწილობრივ ემთხვევა ქავეარაძის ნიშნებს. ასე,

რომ ჭერჭერობით ფაქტები აშკარად ქავეარადის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.

პოლკოვნიკი ჩაფქრდა.

— თქვენ მართალი ხართ შეკრებილი მხილებები ქავეარადის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ. პირდაპირ რომ ვთქვათ, ბრალდება თითქმის დამტკიცებულია, მაგრამ მისი ქცევა...

— კაბინეტის კარი გაიღო ზღურბლზე ბურღული გამოჩნდა.

— შეიძლება? იკითხა მორიდებით.

— შემოდით, — შემოდით, პოლკოვნიკი წამოდგა, ბურღულს ხელი ჩამოართვა.

— როგორაა საქმე? ჰკითხა ღიმილით.

— კარგად ამხანაგო პოლკოვნიკო. ბურღული მინდელსაც მიესალმა და მაგიდასთან შეჩერდა.

— დაჯექით — შეებატიყა პოლკოვნიკი — დაჯექით და გვიამბეთ როგორ გაიარა დამე.

— როგორც ნაბრძანები გეკონდა — დაიწყო ბურღულმა ჩვენ დევიდის სახლს სამი მხრიდან ვუთვალთვალედავით. თითოეულ პოსტზე ორი ამხანაგი მივამაგტე. ერთერთ პუნქტად თქვენი რჩევით, ამხანაგო პოლკოვნიკო, ლუდის ბარი გამოვიყენეთ, სითბოშიც ვიყავით და ჩვენს საქმესაც შეუძნეველად ვაკეთებდით, მაგრამ —

ბურღულმა ღიმილით გადახედა მინდელს —

ლევანმა მალე გამოგვაბრძანა იქედან. ერთ ხანს გაჩერებასთან ვიდექით, როგორც ტროლეიბუსის მომლოდინე მგზავრები, შემდეგ, როდესაც ქუჩაში ხალხის მოძრაობა შემცირდა, იქვე ჩიხში შევედით. ზუსტად პირველ საათზე ზავილოვების ოთახებში ელექტროშუქი აინთო.

ჩნდილევი ჩიხში დავტოვე. მე კი დანარჩენები გავაფრთხილე და ჩემს ადგილზე დავბრუნდი.

ასე გავათენეთ მთელი დამე. დევიდის სახლიდან არავინ გამოსულა, არც იქით წასულა ვინმე —

დამათავრა ბურღულმა.

— შუქი დიდხანს ენთო? იკითხა პოლკოვნიკმა.

— ზუსტად 40 წუთი. შემდეგ ჩაქრა და აღარ ანთებულა.

— დარწმუნებული ხართ რომ სინათლე ზავილოვების ოთახიდან გამოდიოდა?

— სავსებით ამხანაგო ლევან. დევიდის სახლს ჩიხისკენ ხუთი ფანჯარა აქვს, აქედან უკანასკნელი სამი ფანჯარა ზავილოვების ოთახებისაა.

სწორედ იქ აინთო შუქი. წინა ორ ფანჯარაში კი სინათლე დაღამებდანვე იყო ანთებული. განმარტა ბურღულმა.

— კეთილი, მაგრამ იქნებ გამოგვაბრათ რაიმე.

ბალანჩივაძემ გამომცდელად შეხედა ბურღულს.

— არა ამხანაგო პოლკოვნიკო, სახლის ყველა მისასვლელს განუწყვეტილი ვუთვალთვალე-

დით. სათვალთვალე პუნქტები ჯერ კიდევ დღისით შევარჩიეთ. არც ეზოდან, არც სადარბაზო შესასვლელიდან დევიდის სახლში არავინ შესულა, არც იქიდან გამოსულა ვინმე. მტკიცედ უბასუხა ბურღულმა.

— შუქის ანთების შემდეგ არც ვინმე შეჩერებულა დევიდის სახლთან?

— არავინ? მხოლოდ პირველ საათსა და ორმოც წუთზე ჩაიარა ვიღაც კაცმა, მაგრამ ის იქვე მეორე სახლის ეზოში შევიდა ალბათ იქ ცხოვრობს.

პოლკოვნიკს გაეღიმა.

მე „კაცი“ უეჭველად დევიდეს ესტუმრა, უღაოა სინათლე სიგნალი იყო, რომ მისვლა უხიფათოა. ჭაბუკამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ გამოცდილ დამანაშავეებთან გვაქვს საქმე.

— ესე იგი დამანაშავეებმა უკვე იციან, რომ ვუთვალთვალეთ? — შეშფოთდა ბურღული.

— არა — კვლავ გაღიმა პოლკოვნიკმა — ეგ გამოირიცხულია. უცნობს რომ ოდნავ ეკვიც შეპარვოდა, სათოფედაც არ მიუახლოვებოდა დევიდის სახლს. მან მხოლოდ სიფრთხილედ გამოიჩინა და დევიდის სახლში შესვლა მეზობლის ეზოს წინასწარ შეგულვებულ ადგილიდან აირჩია.

თუმცა ეგ არაფერი — განაგრძო პოლკოვნიკმა — რაკი შეამჩნია რომ ბურღული დანაღვლიანდა — კიდევ რომ გავგეთვალისწინებინათ ის, რაც ვერ შეამჩნიეთ, ამით არაფერი შეიცვლებოდა.

თქვენ ხომ ის გეკონდათ ნაბრძანები სახლიდან გამოსული დაგეკავებინათ, სახლში კი დაუბრკოლებლად გაგეტარებინათ ყველა მიმსვლელი.

— დიახ, მაგრამ... მაინც...

— არავითარი მაინც... თუ ის უცნობი დევიდის სახლში მივიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ მყოფთ კიდევ ერთი ბოროტმოქმედი შეემატათ.

პატიოსანი კაცი სხვის ეზოზე ქურდულად გაჭლით არ მიდის სტუმრად. მაშასადამე ხაფანგში ერთი ვირთხით მეტი შევიდა. ახლა სათაგურის კარი ისე უნდა დაიკეტოს, რომ ვირთხები ყველანი შიგ ადმოიხრდნენ. ამისათვის კი საჭიროა ამ საიდუმლო სავალსაც ვუთვალთვალეთ.

იქ სადაც შესვლა შეიძლება, გამოსვლაც არ არის შეუძლებელი. გასაგებია?

— დიახ — ამხანაგო პოლკოვნიკო!

— კეთილი, სხვები სად არიან?

— ყველანი აქ არიან ამხანაგო უფროსო. რომელ საათზე შეგცვალეს?

— 8 საათზე.

— ვინ უთვალთვალეს ახლა დევიდის სახლს?

— დავიდოვი, ჟორჟოლიანი, ჩაფიძე და ჭანტურია. დღისით მეტი არ არის საჭირო. რადგან ერთმანეთთან კავშირი აქვთ.

— დევიდს სახლშია?

— ვინ უთვალთვალეს ახლა დევიდის სახლს?

— დავიდოვი, ჟორჟოლიანი, ჩაფიძე და ჭანტურია. დღისით მეტი არ არის საჭირო. რადგან ერთმანეთთან კავშირი აქვთ.

— დევიდს სახლშია?

— ალბათ, გუშინ ის ან მუშაობდა. ჩვენს შეცვლამდე სახლიდან არ გამოსულა, ხოლო თუ გამოვა, როგორც ნაბრძანებია „გააცილებენ“.

პოლკოვნიკმა საათს დახედა.

— კეთილი—წარმოთქვა მან—ახლა 12 საათია. წუხელ ვინც მორიგეობდა დაისვენონ, 4 საათზე კი ყველანი აქ იყვნენ. სადამოს აღშათ ყველა ჩვენგანს საკმაო სამუშაო ექნება.

— გასაგებია ამხანაგო პოლკოვნიკო.

ბურღული სხარტად გატრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.

პოლკოვნიკი წამოდგა.

— მაშ ასე ჩემო ლევან, გაიღიმა მან—რკალი თანდათან ვიწროვდება, კიდევ ცოტაც და საშუალება გვექნება პირისპირ ვესაუბროთ ზოგიერთებს. მინდელმა ბადაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, რადგან გარეთ, მოსაცდელში რალაც ხმაური ატყდა.

ხმაური კიდევ უფრო გაძლიერდა.

„უფროსთან გინივლებ, ნახავ თუ გავივა შარი, ახლა პატიოსან...“ გარკვევით გაიგონეს ორთავემ, მაგრამ დანარჩენი სიტყვები ვეღარ გაარჩიეს. რამდენიმე წამის შემდეგ კარები გაიღო და კაბინეტში ლეიტენანტი ჭანტურია შემოვიდა.

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ—მიმართა პოლკოვნიკს.

— რაშია საქმე, ვინ ყვიროდა? შეეკითხა პოლკოვნიკი.

— ახლავე მოგახსენებთ.

— როგორც თქვენ იცით, დღეიძის სახლს ჩემი ჯვული დილის 8 საათიდან უთვალთვალებს. 9 საათსა და 45 წუთზე დღეიძე სახლიდან გამოვიდა. მე და ჩაფიძეს გეგმის მიხედვით სამსახურამდე უნდა მიგვეცილებინა იგი, გავყვივით.

დღეიძე რუსთაველის ქუჩაზე ტროლეიბუსში ჩაჯდა. ჩვენ მის უკან თავისუფალ სავარძელში მოვთავსდით. კიროვის ქუჩაზე ნატალია ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა და იქვე ქუჩის მარჯვენა მხარეს გასტრონომიულ მაღაზიაში შევიდა. ნახევარი კილოგრამი ძხვები და 1 ბოთლი არაყი იყიდა.

ჩვენ ორ გარემოებას მივაქციეთ ყურადღება. თუმცა საღაროსთან არავენ იყო, დღეიძემ რატომღაც ჩეკი არ აიღო, პირდაპირ ძხვებულის სექციის მიადგა და გამოვიდვლ ქალს შეეკითხა დავითი თუ მუშაობსო. — ახლავე უპასუხა ქალმა. შემდეგ ხმამაღლა გასძახა „დავით“. „აქა ვარ“, მოისმა ხმა მაღაზიის შიგა სათაგსოდან და ცოტახნის შემდეგ ვიღაც მაღალი წითური კაცი გამოვიდა. — რა იყო?—იკითხა მან. — თქვენ გკითხულობენ. ქალმა ბვალით უჩვენა დღეიძეზე.



— რა გნებავთ ქალბატონო? — მიუბრუნდა დავითი შემოსულს.

— ნახევარი კილოგრამი სამონადირეო ძხვები და ერთი ბოთლი არაყი გთხოვთ ვახტანგიმ.—სამონადირეო ძხვები ახლა არა გვაქვს. სხვას მოგართმევთ, არაყს კი გავატანო.

— რა გეწყობა, მიუგო ქალმა, საფულე გახსნა, 5 მანეთიანი ამოიღო და გაუწოდა.

დავითმა დაკვირვებით დახედა ფულს, შემდეგ ჯიბეში ჩაიღო, მარჯველ შეახვია არყის ბოთლი ქალდღში და ვიღრე გადასცემდა, ზრდილობიანად იკითხა:

— ძხვები ქუთაისის ნაწარმი მოგართვათ თუ...

— წყალტუბოსი, უსათუოდ წყალტუბოსი, ასე გთხოვთ ვახტანგიმ—არ დაამთავრებინა ქალმა.

— კეთილი, ჩემთვის სულ ერთია — მიუგო გამყიდველმა. შემდეგ თაროდან ძხვები ამოიღო, ასწონა და ისიც ქალდღში გადახვია. ხურდა არ დაუბრუნებია, არც დღეიძეს მოუთხოვია. შეხვეული ჩამოართვა და მაღაზიიდან გავიდა.

დაყვანება არ შეიძლებოდა. ჩაფიძემ დღეიძე გააცილა. როგორც კი ისინი მაღაზიის საკმაო მანძილით დაშორდნენ, გადაეწყვიტე მემოქმედა. იმ წუთში გამოვეცხადე დავითს და ბრალი დავდე მომხმარებლის მოტყუებაში. გამყიდველმა ერთი ამბავი დამაწვია. როგორ მიბედავთ ან მოტყუებული სად არისო. მე აქტის შედგენა დავაპირე, მან კი საბუთი მომთხოვა. ვუთხარი, რომ მასწავლებელი ვარ და საზოგადო კონტროლიორი. ყვიროდა, ერთი ვნახოთ სადაური რევიზორი ხარო, თან უკვე მოგრო-

ვილ ხალხს შესჩიოდა, უყურეთ რა დილის შარი გამომეტყვალა.

ხალხმა მას დაუჭირა მხარი, რადგან დაზარალებული არ ჩანდა, ერთი სიტყვით ვერ აღმოვჩნდი კარგ მდგომარეობაში. ჩემთვის მთავარი ის იყო, დავითი ერთი წუთით არ დამეტოვებინა მარტო, თორემ შემდეგ გვიანდა იქნებოდა. საბედნიეროდ მაღაზიაში მილიციელი ჯიბლაძე შემოვიდა. ვანიშნე არ გაემყდარებინა ჩემი ვინაობა, გამიგო და ორთავენი მილიციაში წამოგვიყვანა. აქ კი, მორიგემ ჩემი თხოვნით დავთოს ყველა ფული, რაც გააჩნდა საბუთებთან ერთად, ჩამოართვა თვითონ დავითი კი მდგომარეობის გარკვევამდე მოსაცდელ ოთახში გააჩერა. არ მოიცადა, თქვენთან გამოიქცა. ძლივს დააკავეს სერჟანტებმა და მორიგემ.

ქანტურამ პოლკოვნიკის მაგიდაზე დაწყო საბუთები და ფული 23 მანეთი და 35 კაპიკი. შემდეგ ფულიდან 1 ცალი 5 მანეთიანი გამოჰყო, პოლკოვნიკს გაუწოდა და დაუმატა—აი ეს ფული გადასცა დევიძემ გამყიდველს.

ბალანჩივაძემ ფული ჩამოართვა და ინტერესით დაუწყო დათვლიერება.

ჩვეულებრივი 5 მანეთიანი ბანკოტი იყო, საკმაოდ ნახმარი, ცოტა შეცრეცილიც. მაგრამ პოლკოვნიკს ფულის ნამდილობაში როდი შეეპარა ეჭვი, ის სულ სხვა რამემ დაინტერესა:

5 მანეთიანის ერთ კუთხეში ქიმიური ფანქრით ციფრები და ტირეები იყო აღნიშნული, იქვე სახელიც იყო მიწერილი „16-10-407“ „Та-  
**ния**“. ხმამაღლა წაკითხა მან.

ბალანჩივაძემ გულდასმით დაათვალიერა ბანკოტი. შემდეგ საწერი მაგიდის უჯრიდან საშუალო ზომის გამადიდებელი შუშა ამოიღო და ახლა მისი საშუალებით დაუწყო სინჯვა. მაგრამ ფულს გარდა ზემოაღნიშნულისა არავითარი წარწერა არ ქონდა.

პოდპოლკოვნიკმა 5 მანეთიანი და გამადიდებელი შუშა უსიტყვოდ გადასცა მიწველს, ახლა გამომძიებელმა დაუწყო ფულს კირკიტი.

ბალანჩივაძე დუმდა. ჩუმად იყვნენ სხვებიც.

— დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ ეს 5 მანეთიანი გადასცა დევიძემ გამყიდველს?— კითხა მიწველმა ქანტურისა და დაუმატა—აქ კიდევ 3 ცალი 5 მანეთიანია.

— დარწმუნებული ვარ. დავითმა დევიძისაგან მიღებული ფული შარვლის მარჯვენა ჯიბე-

ში ჩაიღო და ჯიბიდანვე ამოიღო სამორიგეოში. დანარჩენი კი ხურდა ფულის გარდა კოსტუმის გულისჯიბეში ქონდა.

— რატომ დაგაინტერესა ფულმა?—კითხა ქანტურისა მიწველმა.

— საქმე იმაშია, რომ დევიძის სახლთან რამდენიმე მაღაზიაა. ძეხვისა და არაყის ყიდვა იქაც შეიძლება, ნატალიას კი ამ მაღაზიებში არც შეუხედავს. შემდეგ, როგორც მოგახსენებთ დევიძემ ფული სალაროში არ გადაიხადა, სექციონერ ქალსაც არ სთხოვა პროდუქტი, მაინცა და მაინც ამ დავითისაგან ისურვა ყიდვა. ყოველივე ამან მაფიქრებინა, რომ გამყიდველზე გადაცემული ფული რაღაც პირობით ნიშანს გამოხატავდა წინააღმდეგ შემთხვევაში ნატალია თუ ის მართლაც სამსახურში მიდიოდა, გზას არ გაიმრუდებდა.

— სწორად მოქცეულხართ,—შეაქო პოლკოვნიკმა—აქ მართლაც არის რაღაც და ის რაც თქვენ მოგვახსენებთ უეჭველად ყურადღების ღირსია. შესაძლოა ეს ვიღაც დავითი დაკავშირებული იყოს ჭარასთან, თუმცა ამის დამადასტურებელი ვერ ჩვენ არაფერი გვაქვს გარდა დევიძის დავითთან მისვლისა და ამ ფულისა... ჯერჯერობით ეს წარწერაც არაფერს ნიშნავს. ფულზე ხშირად გვხვდება სხვადასხვა წარწერები, ზოგი გვარს აწერს ზოგიც სახელს, შეიძლება ესეც შემთხვევითი ამბავია და არავითარ პირობით ნიშანს არ გამოხატავს, თუმცა ვინ იცის აქ ქალის სახელი სწერია, ექსპერტის დასკვნით კი ტყეშელიაძის სახლში ლურსმანზე შერჩენილი ძაფებიც ქალის ხელთათმანისაა...

ეს ფული სხვა რამესაც გვეუბნება—მიწველმა 5 მანეთიანი აიღო ღიბხანს სინჯავდა გამადიდებელი შუშით, ხელწერა ქალის არ არის, არც ბავშვის. ასეთი წერა მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ, ეს ერთი. მეორე — ტანისა და მწერის რუსი არ არის. ამ ერთი სიტყვის დაწერაში ორი შეცდომაა დაშვებული, რაც მიუთითებს, რომ მისმა დამწერმა რუსული ენა ცუდად იცის.

— სწორია, — დავითანხმა ხომერკი.

ყოველ შემთხვევაში ფული მის პატრონს უნდა დაეუბრუნოთ, ის ალბათ თვითონვე დაგვეხმარება ამ რთული რეზუსის ამოხსნაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



## საპარტიზო სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გამართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა პირველ საკითხად მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის **ო. გოგაშვილის** მოხსენება „თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახეების განსაზღვრის წესის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 19 ივნისის № 4 დადგენილების (მასში პლენუმის 1962 წლის 3 ივლისის № 1 და 1963 წლის 14 მარტის № 10 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით), 1962 წლის 31 ივლისის № 10 დადგენილების, და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის № 2 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

მოხსენებელმა აღნიშნა: სასამართლო პრაქტიკის შესწავლის მასალები ცხადყოფს, რომ თავისუფლების აღკვეთა მისჯილ პირების მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის განსაზღვრა წარმოებს კანონის შესაბამისად. ამავე დროს არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სახალხო სასამართლო შეცდომებს უშვებს რეჟიმის განსაზღვრის საკითხში, ზერელედ წყვეტს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, ინდივიდუალურად არ უდგება მსჯავრდებულებს, არ ითვალისწინებს დამნაშავე პიროვნების წარსულს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და სხვა გარემოებებს. ამის გამო მსჯავრდებულებს უნიშნავენ სასჯელის მოხდას ისეთი რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში, რომელიც მათ არ ეკუთვნით.

ასეთ დარღვევებს ადგილი აქვს ზესტაფონის (მოსამართლე ა. გველესიანი), ქ. ფოთის (მოსამართლე გ. გვილავა), ახალქალაქის სახალხო სასამართლოში (მოსამართლე ა. მინასიანი) და ა. შ.

მოხსენებელი აღნიშნავს, რომ არ არის ერთიანი გაგება რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში. ისეთი მსჯავრდებულის მიმართ, რომელთაც პირველი დანაშაული ჩაიდინეს არასრულწლოვანების პერიოდში, მსჯავრდებულებს იქნენ თავისუფლების აღკვეთით და ამის შემდეგ ჩაიდინეს მეორე დანაშაული, რისთვისაც კვლავ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სახალხო მოსამართლე მსჯავრდებულ პირს შეფარდებულ

სასჯელის ნაწილის მოხდას უნიშნავს საპყრობილეში მოთავსებით და არ აქცევს ყურადღებას მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რითაც ირღვევა საქართველოს სსრ სსკ 25-ე მუხლის მოთხოვნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **ო. ჯიბლაძე** შეეხო იმ მიზეზებს, თუ რა იწვევს რეჟიმის არასწორად განსაზღვრას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქაჯაია** შეჩერდა გამოძიების როლზე რეჟიმის განსაზღვრის საკითხში.

საქართველოს სსრ სწდს ციხეებისა და კოლონიების სამმართველოს უფროსმა — **მ. ქურდაშვილმა** პლენუმს გააცნო ის ღონისძიებანი, რასაც აღნიშნული სამმართველო ატარებს საპატიმრო ადგილებში მსჯავრდებულ პირთა რეჟიმის სწორად გატარებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. ი. მაისურაძემ** განალიზა რა სასამართლო ორგანოების შემუშავებული რეჟიმის სწორად განსაზღვრის საკითხზე, აღნიშნა, რომ სასამართლოები თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდების განსაზღვრისას ზოგჯერ არასწორად წყვეტენ საკითხს, არ მსჯელობენ და არ უთითებენ ვანაჩენში, სახელდობრ, რომელი სახის შრომა-გამასწორებელ კოლონიაში უნდა მოიხადოს სასჯელი მსჯავრდებულმა. ზოგჯერ სასამართლოები არასწორად იყებენ და იყენებენ თავიანთ უფლებას — გამოხაკის შემთხვევაში შეუთვკვლონ მსჯავრდებულებს რეჟიმის სახე-ვხვებით ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მოსამართლეს, რომელიც უმსუბუქებს ან უმძიმებს მსჯავრდებულს რეჟიმის სახეს, ვანაჩენში არ მოყავს მიღებული გადაწყვეტილების მოტივი.

საქართველოს სსრ პროკურორი **პ. ე. ბერძენიშვილი** შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რაც საქართველოს სსრ პროკურატურამ უკანასკნელ ხანებში განახორციელა მსჯავრდებულ პირთა რეჟიმის სწორად განსაზღვრის საქმეში. შესწავლილი იქნა მსჯავრდებულთა პირადი საქმეები, შემჩნეული ნაკლოვანებანი გამოვასწორეთ. შემდეგ ამხ. პ. ბერძენიშვილი დიდ ყურადღებას უთმობს პროკურორის მონაწილეობას პროცესზე და აღნიშნავს, რომ პლენუმის დადგენილებაში უნდა აისახოს პროკურორის მონაწილეობა და რეჟიმის სწორი განსაზღვრის აუცილებლობა. იგი ეთანხმება კამათში გამოსული ამხანაგების

მოსაზრებას, რომ წინასწარი გამოძიების დროს უნდა გაირკვეს პირის ნასამართლობის საკითხი.

მეორე საკითხზე—სახალხო სასამართლოების მიერ ზოგიერთი პროცესუალური დოკუმენტების შედგენის კულტურისა და მათი იურიდიული დასაბუთების შესახებ, — მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარის მოადგილე ს. ი. ქაჯაიამ.

ამხ. ს. ი. ქაჯაიამ აღნიშნა, რომ მოსამართლეთა უმრავლესობას სწორად ესმის განაჩენისა და სხვა პროცესუალური დოკუმენტების შედგენის კულტურის და იურიდიული დასაბუთების მნიშვნელობა. ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან ვ. არაგვიშვილი (ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო) ბ. სტურუა (ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო), გ. მირიანაშვილი (თელავის რაიონის სახალხო სასამართლო), ლ. პოპოვი (წალკის რაიონის სახალხო სასამართლო), ა. ზამბახიძე (წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლო).

შემდეგ ამხ. ს. ი. ქაჯაიამ აღნიშნავს, რომ ზოგჯერ დაცული არ არის პროცესუალური დოკუმენტების შედგენისა და მათი იურიდიული დასაბუთების წესი. ზოგი განაჩენი არ პასუხობს სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რაც ზიანს აყენებს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეს.

კამათში გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. გიორგაძე, მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ განაჩენში დაცული არ არის საქართველოს სსრ სსსკ 317 მუხლის მოთხოვნები, ასევე განაჩენებში არ უთითებენ სრულყოფილ ცნობებს პიროვნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ა. ფალავანიშვილი აღნიშნავს, რომ ამ საკითხის პლენუმზე განხილვას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან პროცესუალური დოკუმენტის შედგენის კულტურას და მათ იურიდიულ დასაბუთებას აქვს ძალზე დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ პლენუმის სხდომაზე გამოტანილი საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია, იგი მთლიანად ეხება მოკვლევის ორგანოების მუშაობასაც. ზოგჯერ გამოძიების დროს არ იცავენ პროცესუალური დოკუმენტების შედგენის წესს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათ იურიდიულ დასაბუთებას, არ უთითებენ იმ დამატკიცებელ საბუთებზე, რაც საფუძვლად უნდა დაედოს განაჩენს. ასეთი იურიდიული დოკუმენტი კი არასრულყოფილია. შემდეგ ამხ. პ. ბერძენიშვილმა თავისი მოსაზრებანი გამოთქვა აღნიშნულ საკითხზე პლენუმის დადგენილების პროექტზე.

პლენუმზე შემავამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მაისურაძე.

ორივე საკითხზე პლენუმმა შიილო სათანადო დადგენილება.

შემდეგ პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები საშოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

## ზ. მენდენიანი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი



ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სამ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციის და აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების ერთობლივი სესია. პირველ დღეს სესიის პლენარულ სხდომაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა აკადემიკოსმა პ. ფედოსეევმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სკკპ XXIII ყრილობის შედეგები და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ძირითადი მიმართულებანი“. მეორე დღეს სესიამ მუშაობა განაგრძო სექციებში. შეიქმნა სამი სექცია: ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, და, საერთო სექცია ფილოსოფიის, ეკონომიკისა და სამართლის ხაზით.

სამართლის საკითხებზე კამათში მონაწილეობა მიიღო სამმა კაცმა. პირველი გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე პროფ. თ. წერეთელი. მან ილაპარაკა სამართლის მეცნიერების როლსა და მნიშვნელობაზე თანამედროვე პერიოდში: შეეხო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას იურიდიული მეცნიერების განვითარების შესახებ. დადგენილება მოითხოვს სწავლული იურისტებისაგან — განაგრძო პროფ. თ. წერეთელმა—საერთო სახალხო სახელმწიფოს, საერთო სახალხო კონტროლის, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების, ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების, სახალხო მეურნეობის მართვის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მეცნიერულ დამუშავებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის თეორიის და კანონმდებლობის განვითარებას.

ამის შემდეგ ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა გააკეთეს ამ მხრივ აკადემიის სისტემაში მომუშავე იურისტმა მეცნიერებმა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული სისხლის სამართალში. გამოცემულია ნაშრომები, მიძღვნილი ისეთი ძირითადი პრობლემებისადმი, როგორცაა მიზეზობრიობა, ბრა-

ლი, დაუშთავრებელი დანაშაული, თანამონაწილეობა. დანაშაულთა ერთობლიობა. მზადდება ვრცელი კურსი — მოძღვრება დანაშაულზე, საპროცესო სამართალში მუშავდება სასამართლო ექსპერტიზის, დამამტკიცებელი საბუთების და სხვა პრობლემები. გამოიცა აგრეთვე ნაშრომები მიძღვნილი საბჭოთა სახელმწიფოსათვის სოციალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ პერიოდში, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის საერთო სახალხო კონტროლის გაუმჯობესებისათვის. დამთავრებულია ნაშრომი „ნაციონალური სახელმწიფოებრიობის კონსტიტუციური საკითხები“. საერთაშორისო სამართალში გამოვიდა შრომები მიძღვნილი ეროვნულ უმცირესობათა საერთაშორისო სამართლებრივი დაცვისათვის, სახელმწიფოს ნეიტრალიზაციისათვის; ძველ ქართულ სამართალში გამოცემულია რამოდენიმე სამართლებრივი ძეგლი და აგრეთვე მონოგრაფიები, მიძღვნილი ქართული სამართლის სპეციალური საკითხებისადმი. ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში გამოდის საბჭოთა სახელმწიფო და სამართლის ისტორია სამ ტომად, რომლის შედგენაშიც ჩვენს სექტორსაც შეაქვს თავისი წვლილი. ცალკე უნდა აღინიშნოს კანონ-პროექტების შედგენაში მონაწილეობა. სექტორმა დიდი მუშაობა გასწია სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შედგენისათვის. ამჟამად სექტორის თანამშრომლები თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის, უმაღლესი სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობენ ამ კოდექსების მეცნიერულ-პრაქტიკულ კომენტარებზე. რამდენიმე თანამშრომელი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრია საზოგადოებრივ საწყისებზე. დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა კადრების აღზრდას.

ამის შემდეგ პროფ. თ. წერეთელი შეეხო სექტორის მუშაობის ნაკლოვან მხარეებს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად მას სამართლის ზოგიერთ დარგში კვალიფიციური კადრების სიმცირე მიაჩნია. საჭიროა მივაღწიოთ მოსკოვში ან სხვა ქალაქში ახალგაზრდობა გამო-

ჩენილ სპეციალისტებთან. სუსტია კავშირი სხვა მომიჯნავე მეცნიერებებთან. არ სრულდება კომპლექსური გამოკვლევები ეკონომისტებთან, ფსიქოლოგებთან და ფილოსოფოსებთან ერთად. თანდათანობით იღვამს ფეხს კრიმინოლოგია. მაგრამ ამ დარგში ჩვენში ჯერ-ჯერობით სერიოზული კვლევა არ წარმოებს, რადგან არ გვყავს სათანადო კადრები. საჭიროა მომზადდეს სპეციალისტები სასამართლო ფსიქოლოგიასა და სასამართლო სტატისტიკაში. მხოლოდ ამ პირობებში შეგვიძლია შევუდგეთ დანაშაულის მიზეზების შესწავლას. არ მუშავდება სახალხო მეურნეობის მართვის საკითხები. უნდა მომზადდეს ამ დარგშიც სათანადო კადრები.


იურიდიული აზროვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური ლიტერატურის ვაცნობას. აღრე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტი გვაწვდიდა ხოლმე საჭირო ინფორმაციას. კარგი იქნება, თუ ინსტიტუტი განაახლებს ამას. სამართლის სექტორის მუშაეებს კავშირი აქვთ საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების იურისტებთან, მაგრამ ჩვენს თანამშრომლებს რატომღაც არ იწვევენ ხოლმე საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში მონაწილეობისათვის.

დასასრულ, პროფ. თ. წერეთელი შეეხო საქართველოში სამართლის ინსტიტუტის შექმნის საკითხს. შარშან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სამართლის სექტორის ბაზაზე სამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მხრივ მეტი არაფერი გაკეთებულა. ორატორმა გამოთქვა რწმენა, რომ ოთხი აკადემიის ერთობლივი სესია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. ვ. ჩხიკვაძემ თავის გამოცვლაში აღნიშნა, რომ სესიამ დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაზე საბჭოთა კავშირში. ორატორმა ილაპარაკა პარტიის XXIII ყრილობის მნიშვნელობაზე იურიდიული მეცნიერების განვითარების საქმეში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ბრეჟნევის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. კოსიგინის მოხსენებებში XXIII ყრილობაზე — აღნიშნა მან—დასმული და გადაჭრილია მნიშვნელოვანი იდეოლოგიური პრობლემები. შემდეგ ორატორი მოკლედ შეეხო საზოგადოებრივ მეცნიერებათა მდგომარეო-

ბას გასული ათი წლის განმავლობაში, რაათა ნათლად წარმოესახა XXIII ყრილობის მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, დასძინა მან, იგრძნობოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შეუფასებლობა. ეს გამოწვეული იყო სტალინის პიროვნების კულტის თავისებური გაგებით, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში შექმნილი სიძინელებით, აგრეთვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბრძოლით საბჭოთა იდეოლოგიასთან. სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, რომელიც სჭარბობდა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, არ იყო მართო ამ ბოლო წლების ნაყოფი, თუმცა სწორედ ამ პერიოდში გამოვლინდა იგი მთელი ძალით. სუბიექტივიზმის ერთერთ გამოვლინებად მას სახელმწიფოს არსის არასწორი გაგება მიაჩნია, რომელიც ასე ძლიერ იყო დამკვიდრებული იდეოლოგიის დარგში. საერთო სახალხო სახელმწიფოს იდეა, — განაცხადა ორატორმა—საზოგადოდ სწორია, თუ მას მივუდგებით არა ვულგარულად, გაუბრალოებულად, არამედ განვითარებაში. ჩვენ კი დღემდე სუბიექტურად, გაუბრალოებულად გვესმოდა ეს საკითხი. ამან გამოიწვია სახელმწიფო აპარატის როლის ერთგვარი შეუფასებლობა და საზოგადოებრიობის როლის გაზვიადება ქვეყნის მართვაში. საბჭოთა სახელმწიფო ხალხურია თავისი ბუნებით მისი შექმნის პირველივე დღიდან, და არაა სწორი შეხედულება, თითქოს მისი ხალხური ბუნება ორმოციანი ან ორმოცდაათიანი წლების ნაყოფი იყოს. ორატორმა დაიმოწმა ვ. ი. ლენინის გამოთქმები და აღნიშნა, რომ პირველად ლენინმა ახსენა გამოთქმები—სახალხო სახელმწიფო და სახალხო სასამართლო.

სუბიექტივიზმმა თავისი დადი დასევა აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გაოჭრას. ხდებოდა საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების ხელოვნური შერწყმა, რაც ცალკეული რესპუბლიკების სუვერენული უფლებების შეზღუდვას იწვევდა. დღემდე კიდევ არ არის დამუშავებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც ათის დემოკრატიისა და სოციალიზმის ურთიერთობა; ჩვენმა ქვეყანამ დიდი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკის სფეროში, საჭიროა მისი თეორიული განალიზება, რაც ჯერ კიდევ არ გაკეთებულა. ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალიზმის პირობებში პიროვნების უფლებრივ მდგომარეობის საკითხს, აგრეთვე პიროვნების და სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის დამუშავებას, რასაც იყენებენ სოციალიზმის მტრები. ორატორმა მოუწოდა იურის-



ტებს მომზადებული შეხვდნენ ოქტომბრის რეგულაციის ორმოცდაათ და ლენინის დაბადების ასი წლისთავის თარიღებს, აგრეთვე გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თანამშრომელმა მ. იაკობაშვილმა ილაპარაკა საკანონმდებლო მუშაობაზე. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა კანონის სტაბილობის საკითხს და აღნიშნა, რომ რესპუბლიკური კოდექსები მიღებიდან დაახლოებით სამი წლის განმავლობაში თითქმის ერთი მესამედით შეიცვალა. ეს გარემოება მას სუბიექტივიზმის ნაყოფად მიაჩნია. მ. იაკობაშვილის აზრით, აჯობებდა ჯერ ჩაგვეტარებინა საკანონმდებლო ექსპერიმენტი და, იმ შემთხვევაში თუ იგი გაამართლებდა, შემდეგ გვექცია კანონად.

ორატორი შეეხო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126 მუხლს, და დასძინა, რომ ეს მუხლი რამდენჯერმე შეიცვალა. მ. იაკობაშვილმა საკითხის დასმის წესით მოითხოვა, რომ გამოძიება ჩამოსცილდეს როგორც პროკურატურას, ისე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, შეიქმნას საგამომძიებლო სამმართველო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი იქნებოდა გამოძიების ობიექტულობის და ობიექტურობის თვალსაზრისით. დასასრულ, მან საჭიროდ მიიჩნია დისკუსიის დაწყება ამ საკითხის ირგვლივ.

მესამე დღეს მოეწყო დასკვნითი პლენარული სხდომა, სადაც შეჯამებული იქნა სექციების მუშაობის შედეგები და დაისახა ღონისძიებები.



# დახედავადგინო ლიკვიდასია ჩვენი ქალაქის კომუნისტების შენიშნულკვანისი საქმეა

გაიმართა თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ი. შევარდნაძემ**.

მოხსენება — ქალაქ თბილისში დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობის შედეგები და სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად — გააკეთა ქალაქ თბილისის პროკურორმა **ა. ტაკიძემ**.

ქალაქ თბილისის პროკურატურის ყურადღების ცენტრში, — ამოიბს მომხსენებელი, — ყოველთვის დგას დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების საქმე. ტარდება ღონისძიებები გაფლანგვა- მტაცებლობის, სპეკულაციის, მექრთამეობისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

არა ერთი წარმოება-დაწესებულება ჩვენს მიერ შემოწმებული და მიღებულია ზომები კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა აღსაკვეთად. შეტანილია წარდგინებები თბილისის კომიტეტში და ქალაქის საბჭოს აღმასკომში ისეთ საკითხებზე, როგორცაა სოციალისტური ქონების დაცვის, შრომის კანონმდებლობის, უსაფრთხოების წესების დაცვის, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის, სამართალში ნამყოფი პირების სამუშაოზე მოწყობის, ექსპერტთა ბუროს მუშაობის, სასამართლო დასჯითი პრაქტიკისა და რიგ სხვა საკითხებზე, რაც დაცვშირებულია დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმესთან.

მსგავსი სახის ღონისძიებები გატარებულია რაიონის პროკურორების მიერ.

ამხ. ტაკიძე ლაბარაკობს ქალაქის პროკურატურის ორგანოების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოძიებულ საქმეთა ხარისხზე, საგამომძიებლო ვადებზე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი უკანონოდ საქმეთა შეწყვეტისა და არ აღძვრის ფაქტები, ხოლო საქმეთა გაჭიანურების შემთხვევები არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა.

ქ. თბილისის ორგანიკის რაიპროკურორის თანაშემწემ ამხ. ფონიამ ანდრიაჩენკოსა და სხვათა ბრალდების საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ ქუდრობაში, შეწყვიტა სამართალში მიცემის მიზანშეუწონლობის მოტივით. მანვე უსაფუძვლოდ არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბაქრაძისა და პაპაშვილის მიმართ.

ამავე რაიონის პროკურორის თანაშემწემ ამხ. პაპავამ ასევე უკანონოდ არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე №1 ავტოტრესტის სამართლებლოდან მიღებულ მასალებზე.

აღნიშნული დადგენილებით, როგორც უკანონო, გაუქმებულია ჩვენს მიერ და სწარმოებს გამოძიება.

ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწეს ამხ. გედევანიშვილს თითქმის ერთი წლის განმავლობაში უმოძრაოდ ჰქონდა ლავოდების რაიონის საკონსერვო ქარხნიდან თბილის დამამზადებელ ა. მკრტიანის მიმართ მიღებული მასალები, რომლის შემოწმებაც მხოლოდ ქ. თბილისის პროკურატურის ჩარევის შემდეგ დაიწყო.

სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ჯერ კიდევ არსებობენ და იგი მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ზოგიერთი სხვა მუშაკებისთვისაც.

მომხსენებელი ვრცლად ეხება საქართველოს სსრ სწდს ქ. თბილისის საგამომძიებლო განყოფილების საქმიანობას, მილიციის ორგანოებზე, სასამართლო ორგანოებზე საპროკურორო ზედამხედველობის საკითხებს, საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების აუცილებლობას დანაშაულობასთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხი, განაგრძობს ამხ. ტაკიძე, არ შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოების ღონისძიებებით გატარდეს. ამ საქმეში მშობლები, სკოლა, პარტიული და საბჭოთა ორგანოები უნდა იყვნენ წამყვანი.

არასრულწლოვანთა და მოსწავლე ახლგაზრდობის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ ფაქტები არც ისე ცოტაა, განსაკუთრებით ცივი და ცეცხლსროლელი იარაღის უნებართვოდ ტარების ფაქტები. ამ მიმართებით საჭიროა სერიოზული ღონისძიებების გატარება სკოლებს, უმაღლესი სასწავლებლებსა და პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციების მიერ.

უნდა ვეცადოთ, რომ დაუსჯელი არც ერთი დამნაშავე ახალგაზრდა არ დარჩეს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მიმდინარე წელს განუხრელად შესრულდეს მთავრობის გადაწყვეტილება საშუალო სკოლა დამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის შესახებ.

სიტყვის დასასრულს ამხ. ტაკიძემ თათბირის მონაწილეებს განუცხადა, რომ დედაქალაქის ადმინისტრაციული ორგანოები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ღირსეულად შეასრულონ პარტიის დავალება დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსმა **კ. კეთილაძემ**, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. ბარსუკოვმა**, საქართველოს სსრ სწდს ქალაქ თბილისის სამკებრო განყოფილების უფროსმა **დ. მოლაშვილმა**, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორმა **გ. სამხარაძემ**, თბილისის პირველი მაი-

სის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **ო. ისაკაძემ**, 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო რაზმეულთა შტაბის უფროსმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მეორე მდივანმა **ვ. შახდინაროვმა**, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ც. ქოჩეჩიშვილმა**, თბილისის სამგზავრო ავტობუსების ავტოსატრანსპორტო კანტორის პარტიუროს მდივანმა **ვ. კორკოტაშვილმა**, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ვ. შადურმა**, საქართველოს სსრ პროკურომა **პ. ბერძენიშვილმა**.

კრების შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ი. შვეარდნაძემ**.



ილ. ჯავახიძის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების იურიდიული სამსახურის მუშაკთა აქტივის თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს, პროკურატურის, აღვოკატთა კოლეგიის, ვაჭრობის სამინისტროს ცეკავშირისა და სხვა ორანიზაციების წარმომადგენლებმა.

შესავალი სიტყვით თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ე. ტაყაიძემ.

მოხსენებით — „პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი და იურიდიული სამსახურის მუშაკთა წინაშე დასახული ამოცანები“ — გამოვიდა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს გამგე ნ. წერეთლი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპს, — ამოღეს მომხსენებელი, — წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელების დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების მორალურ სტიმულებს, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საწარმოს, დაწესებულების საქმიანობისათვის თითოეული მუშაკის პირად პასუხისმგებლობის გაძლიერებას, რათა უეჭველად მივაღწიოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის მკვეთრ ამაღლებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის, შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა საწარმოთა ეკონომიური ძლიერების განმტკიცება, სოციალისტური შრომის კანონმდებლობის განუხრელი დაცვა, რომელიც წარმოადგენს სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისათვის მებრძოლი კოლექტივების შრომითი არსებობის მათრავანზე პირობას.

სამწუხაროდ, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა ამ მხრივ ჯერ კიდევ არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. ამის დაქადსტურებელია მუშაკთა სამუშაოდან უკანონო, დათხოვნის შეზღუდვები.

გარდა იმისა, რომ ეს იწვევს სახელმწიფო სახსრების უმართებულო ხარჯვას, სამუშაოდროის უნაყოფო დაკარგვას, ამავე დროს სამუშაოდან მუშაკთა უკანონო დათხოვნა მორალურ

და მატერიალურ ზიანს აყენებს მშრომელებს, ავტორიტეტს უკარგავს სამეურნეო ხელმძღვანელობას და პროფესიულ კავშირების ადგილობრივ კომიტეტებს, რომლებიც მონდომებულნი არიან მკაცრი კონტროლი დაწესონ სოციალისტური შრომის კანონმდებლობის ცხოვრებაში ურყევად გატარებაზე.

საქპროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს მიერ ამ უკანასკნელად ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ბევრ საწარმოებსა და ორგანიზაციაში უხეშად ირღვევა შრომის კანონები. რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების გარეგანი ამ კატეგორიის საქმეთა შესწავლამ გამოავლინა, რომ ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულების ხელმძღვანელები არ იცავენ შრომის კანონმდებლობას, ხოლო პროფესიული საბჭოების ადგილობრივი კომიტეტები ვერ იჩენენ პრინციპულობას.

ამხ. ნ. წერეთელი ლაპარაკობს ისეთ უკანონო მოქმედებებზე, როგორცაა მუშაკის დათხოვნა შევებულებაში ყოფნის დროს, სხვა სამუშაოზე გადაყვანა მუშაკის ან ადგილკომის თანხმობის გარეშე, საპენსიო ასაკს მიღწეული მუშების სამუშაოდან განთავისუფლება მათი განცხადებისა და თხოვნის გარეშე.

არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაცია ჯერ მუშაკს ათავისუფლებს სამუშაოდან, ხოლო სასამართლოში მხარს უჭერს მის სამუშაოზე აღდგენას.

სათანადოდ არ სრულდება პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 იანვრის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 13 სექტემბრის დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ დათხოვნაში დამნაშავე თანამდებობის პირებზე იძულებითი განაცდურის ხარჯების დაკისრების შესახებ. ასეთი ხარჯების დაკისრება იშვიათად ხდება და ფაქტიურად არ ხორციელდება.

ადგილი აქვს მუშაკთა სამუშაოზე აღდგენის გაჭიანურების ფაქტებს. ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს 1965 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება თ. ა. ქურციციძის საქწიგნის ჭიათურის № 35 მალაზიაში სამუშაოზე აღდგენის შესახებ სისრულეში ჯერ არ არას მოყვანილი.





ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ საწარმოთა და დაწესებულებათა ზოგიერთი ხემძღვანელი განაგრძობს მუშაკის სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნას, ავიწყდებათ მათ რომ მუშაკის სამუშაოდან მოხსნა არის უკიდურესი ღონისძიება და ასეთი დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიღებული იქნება ყველა სხვა დისციპლინარული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა. იურიდიული სამსახურის ზოგიერთი მუშაკი ურიდდება ასეთ დარღვევას, პრინციპულად არ იბრძვის უკანონოდ დათხოვნილ მუშაკთა შებღალული ინტერესების დასაცავად.

ზედმეტია იმის მტკიცება, ამბობს დასასრულს ამხ. ნ. წერეთელი, რომ იურიდიული სამსახურის მუშაკები ვალდებულნი არიან ყოველდღიური კონტროლი დააწესონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის დაცვაზე, აღკვეთონ დარღვევები ამ დარგში და საწარმოს კოლექტივებთან ერთად იბრძოლონ სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვისათვის.

საქართველოს სსრ ზოგიერთ საწარმოში შრომითი დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე ილაპარაკა ამიერკავკასიის რკინიგზის

იურიდიული სექტორის უფროსმა, საქართველოს სსრ სამსახურებულმა იურისტმა კ. კალანტაროვმა.

იურისკონსულტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ლ. ცაგარელმა** თათბირს გააცნო საქართველოს სსრ ზოგიერთ საწარმოთა იურიდიული სამსახურის მდგომარეობის შემოწმების შედეგები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ჭიათურის „მარგანტრესტის“ იურიდიული განყოფილების უფროსმა **პ. ჯუღელმა**, სოხუმის საკონსერვო ქარხნის იურისკონსულტმა **დ. ჩხარტიშვილმა**, „საქკონსერვზილბოსტნის“ იურისკონსულტმა **შ. რჩელიშვილმა**, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა **ვ. ასეიშვილმა**, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **ნ. დავითიამ**, პენსიონერ **ნ. ნარიმანოვმა**. ცეკავშირის იურიდიული განყოფილების უფროსმა **დ. შავთიშვილმა**.

შემდეგ გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟთან არბული იურისკონსულტთა საბჭოს არჩევნები

8560 50 333.

ИНДЕКС 76185



# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР